№34 (301) • 8 ოქტომბერი, 2014 წელი • გამოდის ოთხშაბათს • E-mail: saertogazeti@yahoo.com • ფასი 1 ლარი

WWW.SAERTOGAZETI.GE

# საერთო გაზეთი

## ზაზა დავითაია: „სისხლიანი ვეგდე ასფალტზე, ვიდეოს მიღებდნენ და დამძახოდნენ: პუტინის მონა!“



## საქართველო — თავისუფალი ზონა პოლიტიკური სკინჰედებისა და ზომბებისთვის



## ორი გაზეთი ერთ გაზეთში

„მარად და ყველგან, საქართველო, მე ვარ შენთანა...“
ილია

# პატრიოტი



## გელა დუმბაძე: სამშობლოსათვის აქ, სამშობლოში, უნდა იბრძოლო

„დიასპორის კონცეფცია, რომელიც ახლახან ჩამოვაყალიბეთ, სულ მალე დაიბადება, ერთი თვის განმავლობაში აუცილებლად, რადგან ფაქტობრივად, მზადაა უკვე.“

## დავით მაღრაძე: ამ ცხრა წლის განმავლობაში საქართველო ჯვარს ეცვა, მაგრამ ჯვარცმის შემდეგ ხომ აღდგომა მოდის?



„ადრე „ნაციონალების“ ერთი ლიდერი ამბობდა, სულს ამოგხდითო, ახლა ტელეარხის ხელმძღვანელი გამოვიდა და მოსახლეობას უთხრა, ჯოჯოხეთს მოგიწყობთო. რომელ ევროპულ ქვეყანაში წარმოგიდგენია ტელევიზიის ხელმძღვანელმა მოსახლეობას უთხრას, ჯოჯოხეთს მოგიწყობთო და იგი თავის ადგილზე დარჩეს?!“

## როდის გამოიძიებს საქართველოს პროკურატურა იმ უმძიმეს დანაშაულს, რაც მიხეილ სააკაშვილმა 2008 წლის აგვისტოში ჩაიდინა?

## როგორ გაძარცვა საქართველო „სუკმა“, შევარდნაძემ და მისმა კლანმა?

## ალისტრახოები და დეზინფორმაციის სახედარზე უკუღმა შემჯდარი საზოგადოება

საერთო გაზეთი – გაზეთი მოაზროვნე მკითხველისთვის

## მსოფლიო პრესის მიხედვით

# ამერიკელებმა მიშა გადაიყვანეს

**ქართული სახელმწიფოს ყოფილი მეთაური მიხეილ სააკაშვილი, რომლის წინააღმდეგ მის სამშობლოში სისხლის საქმეა აღძრული, ნიუ-იორკში თითქოს მშვენივრად ცხოვრობს. ამერიკის შეერთებულ შტატებში სამუშაო ვიზის მოლოდინში სტუმრებს მასპინძლობს თავისი ბიძის სახლში, რომელიც ქალაქის ფეშენებელურ რაიონშია, დასეირნობს ველოსიპედით, დადის ძვირადღირებულ ბარებში. და კიდევ – მემუარებსაც წერს, მსჯელობს დემოკრატიის შესახებ და საქართველოში „ტრიუმფულ დაბრუნებას აპირებს“. ამ ყველაფერზე დაწვრილებით და საკმაოდ ირონიულად წერს The New York Times.**

ამერიკელებმა ექს-პრეზიდენტს უარი უთხრეს სამუშაო ვიზის გაცემაზე, რამაც სააკაშვილის პარტიაში „დიდი გლოვა“ გამოიწვია. ვაშინგტონისა და თბილისის ოფიციალური წყარო ამაზე არაფერს ამბობს, შესაბამისად, ინფორმაციის სანდოობა საეჭვო ხდება, მაგრამ ფაქტია, რომ ამერიკულმა ტაფტსის უნივერსიტეტმა მიხეილ სააკაშვილის სამუშაოდ აყვანაზე უარი განაცხადა.

როცა ასეთ პერსონას ვიზას არ აძლევენ, ეს პოლიტიკური გადაწყვეტილებაა. კონსული და ელჩი ამ პასუხისმგებლობას არ იტვირთებენ. თუკი დადასტურდება, რომ სააკაშვილს ამერიკაში სამუშაოს არ მისცემენ, ეს იმას ნიშნავს, რომ ამერიკის ხელისუფლებამ მას საბოლოოდ ზურგი შეაქცია. რა შეიძლება მოჰყვეს ამას, თუ ვივარაუდებთ მხოლოდ.

კერძოდ, ამერიკის მხარდაჭერის გარეშე „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ დაშლის პროცესი დაჩქარდება. საქართველოს უშიშროების საბჭოს ყოფილი მდივნის გიგა ბოკერიას დაპირება – კანონიერ რევოლუციას მოვაწყობთო, დაპირებად დარჩება, რადგან მათ ამერიკის იმედი ჰქონდათ. მიხეილ სააკაშვილს კიდევ უფრო ცუდად წაუვა საქმეები. მას დიდი იმედი აქვს, რომ თუ ინტერპოლით მისი ძებნა დაიწყება, ამერიკა პოლიტიკურ თავშესაფარს შესთავაზებს. არადა, პირიქითაც შეიძლება მოხდეს, თუ სამუშაო ვიზის გაუცემლობის ფაქტი ოფიციალურადაც დადასტურდება, მაშინ ამერიკა მას არ შეიფარებს.



ბევრი თბილისელი სიხარულს ვერ მალავს იმის გამო, რომ სააკაშვილს ვიზაზე უარი უთხრეს: ეს გადაწყვეტილება საქართველოს მართლმსაჯულებას ხელ-ფეხს გაუხსნის, ანუ სააკაშვილზე საერთაშორისო ძებნას გამოაცხადებს, რაზეც თავს იკავებდა, რომ ვაშინგტონის რისხვა არ დასტეხოდა თავს.

ჯერჯერობით ექს-პრეზიდენტზე შიდასახელმწიფოებრივი ძებნაა გამოცხადებული. დაყადაღებულია მისი საბანკო ანგარიშები, აგრეთვე სააკაშვილისა და მისი ნათესავების მოძრავი და უძრავი ქონება. პროკურატურა სიფრთხილეს იჩენს – ყოფილი პრეზიდენტის ოჯახმა შესაძლოა გაყიდოს ან დამალოს ქონება, მას ხომ სახელმწიფო სახსრების განიავებაში ედება ბრალი.

დაყადაღებული ქონების სიით თუ ვიმსჯელებთ, სააკაშვილი და მისი ოჯახი არც ისე მდიდრები ყოფილან – მათ სახელზეა რამდენიმე მიწის ნაკვეთი, დაახლოებით 20 ათასი კვ. მეტრი; მეუღლეს ეკუთვნის ბინა თბილისის პრესტიჟულ რაიონში. ასეთი ბინებით თბილისში ვერავის გააკვირვებ. გასაკვირია მისი დედისა და, თქვენ წარმოიდგინეთ, ბებიის სახელზე რეგისტრირებული ქონების დაყადაღება.

ყოველივე ეს გვაფიქრებინებს, რომ საქართველოს ყოფილ ხელისუფალს ჯერჯერობით ვერ „გამოუქექეს“ სოლიდური ფინანსური კომპრომატი და მის ოჯახს აშინებენ. სანდრა რულოვსს, სააკაშვილის ჰოლანდიელ მეუღლეს იმედი აქვს, რომ ეს გაუგებრობა აღმოიფხვრება.

ამერიკა სულ უფრო ნაკლებად მფარველობს თავის ერთგულ მოკავშირეს. საქართველოში საზოგადოების უმრავლესობას ანტიამერიკული განწყობილებები სწორედ სააკაშვილის ფაქტორმა გაუმძაფრა. ვაშინგტონმა სხვა დასაყრდენი უნდა იპოვოს საქართველოს მოქმედ ხელისუფლებაში. არ არის გამორიცხული არჩევანი ამჟამინდელ პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილზე და/ან თავდაცვის მინისტრ ირაკლი ალასანიაზე შეჩერდეს.

ჩნდება არაერთი კითხვა. მაგალითად: თუ ამერიკელებმა სააკაშვილს მართლაც უარი უთხრეს სამუშაო ვიზის გაცემაზე, რატომ მაინცდამაინც ახლა? და რატომ აგრძელებს ევროპა სააკაშვილის მხარდაჭერას?

თბილისში ამბობენ, რომ სამუშაო ვიზაზე უარი უკავშირდება ყოფილი პრემიერის ზურაბ ჟვანიას ექსჰუმაციას – სააკაშვილის ხელისუფლებაში ყოფნისას დაზვერვის ფედერალური ბიუროს მონაწილეობით დადგინდა, რომ იგი მხუთავი გაზით გარდაიცვალა. არსებობს საფუძველი ვიფიქროთ, რომ ამ საქმის ხელახალი გამოძიება პროკურატურამ იმიტომაც დაიწყო, რომ სააკაშვილთან „კუდი მიუბან“.

რაც შეეხება ევროპას – ამ დღეებში ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ, 103 ხმით 27-ის წინააღმდეგ, მიიღო რეზოლუცია საქართველოს შესახებ, რომელშიც ახალი ხელისუფლების მიღწევებთან ერთად გამოთქმულია უკმაყოფილება სააკაშვილისა და მისი თანამოაზრეების სისხლისსამართლებრივი დევნის გამო. საქართველოზე მომზადებული მოხსენების ავტორმა მოითხოვა, სააკაშვილის დევნა სამართლიანი სასამართლოსა და ადამიანის უფლებების დაცვის ყველაზე მაღალი სტანდარტებით წარიმართოს. ევროსაბჭოს საყვედური „ეროვნული, რელიგიური და სექსუალური უმცირესობების გადაუწყვეტელ პრობლემებსაც“ შეეხო.

საქართველოს ხელისუფლებაში ტრადიციულ თვითდამშვიდებას მიმართეს, რადგან მათი აზრით, ასამბლეის რეზოლუციაში ბოლო პერიოდის დემოკრატიულ მიღწევებზეა ლაპარაკი და იგი სხვაგვარი აჟიოტაჟის საფუძველს არ იძლევა.

ამ რეზოლუციით ნათლად გამოჩნდა, რომ ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეა საქართველოს ახლანდელი ხელისუფლებით არც კმაყოფილია და არც ლოიალური. გაუმართლებელია, ეს შეფასებები მხოლოდ იმით ავხსნათ, რომ სააკაშვილის ლობისტებს ევროსაბჭოს ასამბლეაში დიდი გავლენა აქვთ. არც თავის დამშვიდებაა გამართლებული იმით, რომ ისინი საქართველოს წინა ხელისუფლებას ხოტბას აღარ ასხამენ.

# საბჭოური სიყვარული ქართული კინემატოგრაფიისადმი



**გაეროს ასამბლეის ამასწინანდელი სხდომის პარალელურად, ნიუ-იორკის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმში დაიწყო ქართული კინოს – საბჭოთა კავშირის ყველაზე პოპულარული ეროვნული კინემატოგრაფის ძალზე შთამბეჭდავი რეტროსპექტივა. ცნობილი რეჟისორი და სცენარისტი მიხაილ ტროფიმენკო პასუხს ეძებს კითხვაზე – მაინც რატომ უყვარდათ საბჭოელებს ქართული კინო?**

ამ რეტროსპექტივამ გააჩინა კითხვა – დაინახავენ კი ამერიკელები ქართულ კინოში იმას, რის გამოც ასე უყვარდათ იგი საბჭოთა კავშირში 60, 70, 80-იან წლებში? საბჭოელებს უყვარდათ არა მხოლოდ ქართული კინო, არამედ სწორედ საბჭოთა კინო, თუმცა ქართულ კინემატოგრაფს მთლად საბჭოურსაც ვერ დაარქმევ – ალტერნატიული და ეგზოტიკურიც იყო.

როცა საბჭოთა კავშირი მოკვდა, მასთან ერთად მოკვდა ქართული კინოც, რომელიც გვიყვარდა, მაგრამ ვიგებდით კი მას? ალბათ – არა.

რეტროსპექტივის პირველ ნაწილი კონცეპტუალურად არის დასათაურებული – „ოჯახი“. ყველა ქართული კინო ხომ ოჯახზეა. არა, ამერიკულიც, ფრანგულიც, იაპონურიც და რუსული კინოც ოჯახზეა, მაგრამ ქართული კინო ოჯახზე კია არა, სწორედაც რომ გვარზე, მოდგმაზე, ჩამომავლობაზეა.

ამის ნათელი მაგალითია ნიკოლოზ შენგელაიას გენიალური „ელისო“: ანტიკოლონიური ისტორიული ფილმი, ერთდროულად მელოდრამაც და ვესტერნიც. მოულოდნელად აქტუალური კინოა: მასში მოთხრობილია მეფის რუსეთის მიერ 1864 წელს ჩეჩნეთის სოფლების მოსახლეობის აყრასა და გადასახლებაზე და ამის ფონზე თამაშდება ჩეჩენი ელისოს და ქრისტიანი ხევსურის ვაჟიას სიყვარულის დრამა.

გვარეულობის მძლავრი ხმა ისმოდა რეზო ჩხეიძის ფილმში „ჯარისკაცის მამა“, რომელშიც ომის ბოლო წუთებში ჯარისკაცი ჯარისკაც-მამას ხელებში მისი ჯარისკაცი შვილი უკვდება. ეს არა ოჯახური ტრაგედია, არამედ კოსმიური, მოდგმის, გვარის ტრაგედიაა. საგვარეულო წყევლა გამოისყიდა თენგიზ აბულაძის „მონანიების“ გმირმა, როცა მამა საფლავიდან ამოთხარა და შეურაცხყო იგი.

ქართული კინო, რომელიც საბჭოელებს უყვარდათ, უყვარდათ მისი შეუპოვრობისა და სიამაყის, სითბოს და ინტიმურობის გამო. ასეთი ინტიმიზმი, ოჯახურობა სხვა ნაციონალურ კინოებსაც ჰქონდათ, მაგრამ საბჭოთა კავშირში ის მაინც ქართული კინემატოგრაფიის დამახასიათებელ თვისებად აღიქმებოდა. 60-80-იანი წლების საბჭოელ კინომაყურებელს სურდა, „ბებია, ილიკო და ილარიონთან“, „ჩიტო-გვრიტოსთან“ და მაგდანას ლურჯასთან ერთად ამ ოჯახის წევრი გამხდარიყო. ოჯახისა, სადაც „არ დარდობენ“ და თუ კვდებიან, ყანწს მაინ ბოლომდე ცლიან; სადაც ფანჯარაში გაიხედავ და ყველგან ვერის კვარტალია, მთელი მსოფლიო კი „პასტორალია“.

ქართული კინოს სიძლიერეს (ისევე როგორც პოლონურისას) განსაზღვრავდა სასტიკი ნაციონალური თვითკრიტიკულობა. ანუ ყველაფერ იმის კრიტიკა, რაც საშუალოსტატისტიკურ საბჭოთა ინტელიგენტს გულს ულბობდა, ეგზოტიზმის კრიტიკა.

ყოფის სიმსუბუქე, რაც ასე აღგვაფრთოვანებდა მიხეილ კობახიძის მოკლემატრაჟიან ფილმებში ან ირაკლი კვირიკაძის „ქვევრში“, ყოფიერების უაზრობის ტრაგედიად შემობრუნდებოდა. ოთარ იოსელიანის ფილმში „იყო შაშვი მგალობელი“ ახალგაზრდა კომპოზიტორი გია ისე კვდებოდა, რომ ვერ შეასხა ხორცი თავისი სულის მუსიკას, რადგან არც არაფერი ჰქონდა ხორცშესასხმელი. ელდარ შენგელაიას „ცისფერ მთებში“ მწერალი თავის მოთხრობას ცენზურის კი არა, თავისთავზე შეყვარებული ახლობელი ხალხის იდიოტიზმის გამო ვერ ბეჭდავდა,. გიორგი შენგელაიას გენიალური „ახალგაზრდა კომპოზიტორის მოგზაურობა“ სახელმწიფო ტერორზე შექმნილი ერთ-ერთი საუკეთესო ფილმია, რომელშიც მორიგი „მგალობელი შაშვის“ უდარდელობამ და დაუდევრობამ პროვოკატორების წისქვილზე დაასხა წყალი და ურიცხვი მსხვერპლი გამოიწვია.

დიდი ქართული საბჭოთა კინოს ძლიერი ფინალური აკორდი იყო თემურ ბაბლუანის „უძინართა მზე“, რომელშიც გუშინდელი პასტორალი კრიმინალური სამოქალაქო ომის ჯოჯოხეთში გადაიზარდა.




„საერთო გაზეთი“
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, ალმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით.
შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს.
ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში.
შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „გამომცემლობა სამშობლოში“; ტელ.: 599 95 31 90

◆ ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.



## ზაზა დავითაია:

# „სისხლიანი ვეგდე ასფალტზე, ვიდეოს მიღებდნენ და დამძახოდნენ: პუტინის მონა!“

გასულ კვირას „თავისუფალი ზონის“ წევრებმა, რომელთაც „ზონის“ აქტივისტები დავით გოგოხია და ფარნაოზ ჭკადუა ხელმძღვანელობდნენ, ჟურნალისტი ზაზა დავითაია სასტიკად სცემეს. გოგოხია და ჭკადუა სასამართლომ გირაოს საფუძველზე გაათავისუფლა.

ჩვენ შევხვდით **ზაზა დავითაიას** და მასთან ინტერვიუ ჩავწერეთ.

**— ზაზა, „ნაციონალები“ და მათი მხარდამჭერები ამბობენ, რომ „თავისუფალი ზონის“ წევრები, ახალგაზრდები თქვენ გამოიწვიეთ, მიხვედით მათ ოფისთან და პროვოკაცია მოაწყვეთ. მოგვიყევით, სინამდვილეში როგორ მოხდა ყველაფერი.**

— „ნაციონალებს“ სინდისი რომ არ ჰქონდათ, ეს ვიცოდი, მაგრამ ასე მთლად უნამუსოები თუ იყვნენ, ვერ წარმოვიდგენდი.

თავდასხმა მოხდა არა „თავისუფალი ზონის“ ოფისთან, არამედ ბულაჩაურის და იოსებიძის კუთხეში. იქ, შემეჩეხნენ. მე მაშინვე ვიცანი **ფარნაოზ ჭკადუა** და კიდევ რამდენიმე ადამიანი „თავისუფალი ზონიდან“. მათ მომენტალურად შემოემატნენ სხვებიც. სხვა დროს შეიძლებოდა, არც მივსალმებოდი, მაგრამ მოულოდნელობის ეფექტით მივესალმე ფარნაოზ ჭკადუას.

**— იცნობდით?**

— სახით ისიც მიცნობდა და მეც ვიცნობდი.

მოკლედ, ჩემი მისალმების პასუხად ფარნაოზ ჭკადუამ შემაგინა და მერე დამარტყა. ამის შემდეგ წრეში მომაქციეს და დამიწყეს წიხლებით და მუშტებით ცემა. მე რამდენჯერმე დავეცი და, ფაქტობრივად, ვერ მოვახერხე მათთვის რაიმე ზიანის მიყენება... ჩემდა სამწუხაროდ, ასე იყო.

ახლა რომ ვფიქრდები, ალბათ, იმიტომ, რომ ყველაფერი ეს მოულოდნელი იყო, თანაც ისინი საკმაოდ გაწაფული არიან სხვის ცემა-ტყეპაში და მათ იცოდნენ, როგორ და რანაირად უნდა ვეცემე, ამ კონკრეტულ შემთხვევაში მე. ერთ-ერთმა ზურგიდან თოკი თუ მაისური შემომიჭირა ყელზე და ჩემს დახრჩობას ცდილობდა, ყელზე ახლაც კარგად ჩანს ეს.

„ნაციონალები“ რომ ამბობენ, ზაზა დავითაიამ მოახდინა თავდასხმის პროვოცირებაო. საქმე ის გახლავთ, რომ ყველაფერი მოხდა ხალხის თვალწინ და ამ ამბავს უამრავი თვითმხილველი ჰყავს. ეს ადამიანები ისეთი აგრესიით ცდილობდნენ ჩემს მოკვლას, რომ ხალხს საშუალებაც არ მისცეს შუაში ჩამდგარიყვნენ და გავეშველებინეთ. ზოგიერთ მათგანს მუშტიც მოხვდა. მათი მხრიდან აგრესია პოლიციის მოსვლის შემდეგაც არ დასრულებულა.

**— უხმოდ გცემდნენ? აქაც მიშა-მიშას ხომ არ ყვიროდნენ, გასაკვირი უკვე აღარაფერია.**

— არა, **მირტყამდნენ, მაგინებდნენ და იძახდნენ, რომ მე ვარ პუტინის მონა, რუსეთის აგენტი და ასე მოუვა ყველა პუტინის აგენტს და რუსეთის მონას.**

ესენი მეძახდნენ რუსეთის მონას, როცა თავიანთი მამების სათესლე ჯირკვლებშიც კი არ ჭანჭყარებდნენ, როცა მე რუსეთის საბჭოთა იმპერიას ვებრძოდი. მათ არ იციან, რა არის რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლა, არ იციან, რას ნიშნავს პროქართული ორიენტაცია და რაც ყველაზე სამწუხაროა, პროქართულ ორიენტაციას ეს ყმაწვილები პრორუსულს უწოდებენ. პრორუსულს უწოდებენ ყველაფერს, რაც ნაციონალურ-ლიბერასტულ ანტიქართულ და ანტიმართლმადიდებლურ მიზნებს არ ემსახურება. ამ თვალსაზრისით, ვარ მე პუტინის აგენტი. სინამდვილეში აგენტები ესენი არიან. სააკაშვილი არის სწორედ ის ადამიანი, რომელმაც გააღვიძა მძინარე დათვი და საქართველოში რუსეთის ტანკებს შემოუძღვა.

როცა დათვს გააღვიძებ და მერე სოფლისკენ გამოიქცევი, ესეც თავისთავად პროვოცირებაა იმის, რომ მძინარე დათვი იმ სოფელს დაატყდეს თავს, სადაც თვითონაც ცხოვრობ.

რუსმა გაინაღდა ის, რაც ხონჩით მიართვა სააკაშვილმა, დაიხია უკან და მიშა და მისი ხელის ბიჭები დატოვა ხელისუფლებაში, თორემ, ასე რომ არ ყოფილიყო, პუტინი თბილისში შემოგრიალდებოდა ტანკებით.

სწორედ ესენი არიან პუტინის და რუსეთის მონები.

რაც თავად არიან, ის გვიწოდეს. თავიანთი აგენტობა, ღალატი რომ დაფარონ, სხვისკენ იშვერენ ხელს.

**— „ზონა“ სხვა რამეა, „ნაცმოძი“ — სხვაო...**

— ესენი ყველანი არიან „ნაცმოძრაობა“. **ყველა არასამთავრობო ორგანიზაცია, ყველა სტუდენტური და ახალგაზრდული ორგანიზაცია, რომელიც ამ ორბიტაზე იმყოფება, „თავისუფალი ზონიდან“ დაწყებული, ჩვეულებრივი ლიბერასტული მიმართულების და მსოფლმხედველობის ორგანიზაციების ჩათვლით, ყველანი არიან რუსეთის აგენტები და ასრულებენ იმ საქმეს, რომ რუსმა იხეიროს საქართველოს ხარჯზე.**

მე ვსვამ კითხვას: თუკი ქვეყანას ჰყავს ხელისუფალი, რომლის მოქმედებების შედეგად მოგებული რჩება თუნდაც იმპერიული სახელმწიფო, ასეთ შემთხვევაში ან ხელისუფალი არ ვარგა, ან ეჭვი უნდა მივიტანოთ, რომ არიან უცხო ქვეყნის რეზიდენტურა.

მიშა სააკაშვილს რეზიდენტი ჯერ კიდევ 2006 წლის ზაფხულში ვუწოდე და ჩემი დაპატიმრების ერთ-ერთი მიზეზი ესეც იყო.

**— კვლავ სააკაშვილზე ვლაპარაკობთ. არადა, გვეტყვიან, მიშა გუშინდელი დღეაო.**

— ვინმეს თუ მიშა წასული ჰგონია, ძალიან ცდება. სააკაშვილი მართავს დღეს ყველაფერს საქართველოში — მას თავისი ხალხი ჰყავს ხელისუფლებაშიც. სააკაშვილის არის ოპოზიციაც „ნაცმოძრაობის“ სახით.

მარგველაშვილიც, რესპუბლიკელებიც და ყველა მათი სატელიტიც, რომლებიც თითქოსდა „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში არიან, იდეოლოგიით „ქართულ ოცნებასთან“ კი არ არიან, არამედ სწორედ მიხეილ სააკაშვილთან და „ნაცმოძრაობასთან“ დგანან.

**— საყოველთაოდ ცნობილია ექსპრეზიდენტის და მისი პარტიის მიერ მედიის უზურპაციის შესახებ. მედიასაშუალებები სავსეა „ნაცმოძრაობის“ ფარული წევრებით და გულშემატკივრებით. ამის შედეგი ხომ არ იყო ის, რომ თქვენი ცემის ფაქტზე არც ერთ მედიასაშუალებას პროტესტი არ გამოუხატავს?**

— ეს იყო ლუსტრაცია. თუმცა აქვე უმდა გამოვტყდე, რომ ამ დღეებში ძალიან ბევრმა ჟურნალისტმა დამირეკა, ისეთებმაც, რომლებიც სააკაშვილის მიერ კონტროლირებად ტელევიზიებში მუშაობენ. მათ სახელებს და გვარებს, ცხადია, არ დავასახელებ, პრობლემები რომ არ შევუქმნა. თუმცა ორგანიზებულად არც ერთ მედიასაშუალებას ჩემს მიმართ სოლიდარობა არ გამოუხატავს. მინდა დიდი მადლობა გითხრათ ყველას, ვინც თანადგომა გამიწია და სოლიდარობა გამომიცხადა. „საერთო გაზეთი“ და რამდენიმე კიდევ, კანტიკუნტად გამოეხმაურნენ ჩემი ცემის ფაქტს და მორჩა, მაშინ, როცა ადამიანთა უფლებას თუნდაც უმნიშვნელო კანონდარღვევაზე, ან რომელიმე წინა რეჟიმის მომხრე ჟურნალისტს რომ ოდნავ რამე დაშავებოდა, ტელეკომპანიები ერთ ამბავს ატეხდნენ და არმაგედონს დაუხატავდნენ საზოგადოებას.

ესეც ლუსტრაციაა. ესეც ორმაგი დამოკიდებულებაა იმ კრიტერიუმებისადმი, რომელსაც დემოკრატია ჰქვია, იმიტომ რომ, ჩვენთვის, უფლებადამცველებისა და ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლებისთვის, დემოკრატია უმაღლეს ცნებადაა წარმოდგენილი და ლამის უფალთან და სამშობლოსთან გვაქვს გაიგივებული, ლიბერასტული მიმართულების ორგანიზაციებისა და მედიასაშუალებებისგან განხვავებით, რომლებიც სიტუაციის შესაბამისად იქცევიან: „ასე ჩემო მანასეო, ხან ისე და ხან ასეო“.

თუმცა ხალხი არ იბნევა, ჩემო კარგო. საზოგადოება ყველაზე კარგად ერკვევა. ინტუიტიური სიბრძნით გრძნობს ჭეშმარიტებას და მე მინდა გითხრათ, რომ ამ დღეებში, როცა ეს ამბავი დამატყდა თავს, ჩემს ტელეფონზე ზარები არ წყდება. ვერც ვახერხებ ვუპასუხო. უამრავი მესიჯი შემომდის სრულიად უცნობი ადამიანებისგან. მირეკავდნენ ციხეებიდანაც... ეს მამხნევებს და მაფიქრებინებს, რომ ყველაფერი არ არის დაკარგული და ჩვენი დასაყრდენი არის არა ილუზიაში, რომელსაც ქმნის სააკაშვილის რეჟიმის მიერ კონტროლირებადად მოაზრებული მედიასაშუალებები, არამედ ობიექტურ რეალობაში, რომელიც არსებობს საქართველოს მოსახლეობაში.

**— ზაზა, ბოლო ხანებში სოციალურ ქსელში აშკარად ემუქრებოდი ნაციონალებს და „ზონის“ წევრებს. თვითონ ხომ არ დაგასწრეს?**



ფარნაოზ ჭკადუა

დავით გოგოხია

6 gv.

# საქართველო — თავისუფალი ზონა პოლიტიკური სკინჰედებისა და ზომბებისთვის



„თავისუფალი ზონის“ ე.წ ოფისთან (თბილისი, პეკინის ქ №34) კონკრეტულად რასთან დაკავშირებით გაიმართა კიდევ ერთი საპროტესტო აქცია, მიმდინარე მოვლენებს მიზეზთა გამო ჩამორჩენილი ადამიანი ვერ გაიგებდა. ორიოდე დღით ადრე გაზეთ „ასავალ-დასავალის“ ჟურნალისტის, ზაზა დავითაიას წინააღმდეგ ჩადენილი კრიმინალური ქმედების დასაგმობად იყო მისული ხალხი აღნიშნულ ოფისთან თუ „თავისუფალი ზონისთვის“ თვითლიკვიდაციის შესახსენებლად, მნიშვნელობა აღარ ჰქონდა, მშვიდობიანმა აქციამ მშვიდობის სახე დაკარგა და გაბრაზებული ხალხის გამოხატვის თავისუფალ არენად იქცა.

უპირველესად მხოლოდ ერთი რამ ვიკითხოთ: — ვინ არიან „თავისუფალი ზონის“ ის ახალგაზრდა გოგო-ბიჭები, რომლებთაც იმის ფასს ვერაფერს დაუშავებდა ახალი ხელისუფლება, რომ ამხელა სიძულვილი ჰქონდეთ მის მიმართ? ანდა, საკუთარივე ხალხი რატომ სძულთ, ის ადამიანები, რომლებსაც სრულებით არ იცნობენ და მხოლოდ ის „დანაშაული მიუძღვით“, რომ ისინიც „თავისუფალი ზონელები“ ან „ნაცმოძრაობის“ წევრები არ არიან?

სოციალურ ქსელში არა ერთმა ადამიანმა (რომელიც მეორე დღეს აღნიშნულ აქციაზე აპირებდა წასვლას) გამოხატა საკუთარი პოზიცია გარკვევით, რომელიც მთლიანობაში ამგვარი შინაარსის მატარებელი იყო: „სრულებით არ მაინტერესებს „ოცნება“, მივდივარ იმიტომ, რომ „ნაცების“ ხელოვნურად გამოყვანილი ამ სისხლსმოწყურებული ზომბირებული სკინჰედების არსებობა უნდა შეწყდეს!“ — ფაქტია, „თავისუფალ ზონას“ გვერდში დაუფარავად ედგნენ „ნაცმოძრაობის მამები.“

ერთის მხრივ, გამოხატული სიძულვილი ზოგადად ხალხისადმი და აგრესიული ოცნება-გამოხტომები ცალკეული პირების მისამართით და მეორეს მხრივ უპირობო მხარდაჭერა იმ „ნაცკრიმინალებისა“, რომელთაგან ერთი-ორი „მატროსოვზეა“, დანარჩენი კი, ნაწილი „მატროსოვის“ სავარაუდო კანდიდატია (სამართლიანი სასამართლოს შემთხვევაში), ნაწილი — საქართველოდანაა გაპარული. და კიდევ, რაღაც პროვოკაციული ქაოსის შექმნა ყველაფრისგან — აი, თავი და თავი ფორმულა „თავისუფალი ზონის“ არსებობისა და მათი უშურველი დაფინანსებისა დისკრედიტირებული ადამიანების მხრიდან.

ცოტა უცნაური, მაგრამ რეალობა იყო — „მონებო!“ — სკანდირებდნენ „ზონელები“ და პასუხად გინებას, წყლიან პრეზერვატივებსა და კვერცხებს იღებდნენ; „ბოზებო!“ — სკანდირებდა ხალხი და „ზონელების“ მხრიდან პასუხად ტაში იყო...

მანამდე „თავისუფალმა ზონამ“ განცხადება გაავრცელა: — „პროვოკაციას გვიწყობენ დაკომპლექსებული, გონებაჩლუნგი პატარ-პატარა ჯგუფები. მაინტერესებს, ნუთუ მართლა გგონიათ, რომ ასეთი იაფფასიანი მეთოდებით შეგვაჩერებთ? ამაზე უარესები გაგვივლია და გპირდებით, თუ საჭირო გახდა, საკუთარ სისხლსაც დავღვრით, ოღონდ თქვენ და თქვენი პატარა კაცუნები ჩამოგაშოროთ საქართველოს!

მივმართავ იმ პროვოკატორებს, რომლებიც ჭიკაიძის, ივანიშვილის და ღარიბაშვილის დაკრულ ფანდურზე დატინგიცობთ: — ივანიშვილმა თავისი უკ...ის შესასვლელს უკვე მოუჭირა, ასე რომ, ტყუილად ნუ მიძვრებით!“

განცხადება რომ ერთი პირის მიერ არის დაწერილი და „ზონის“ სახელით ვრცელდება, ეს იქით იყოს, სისხლი და ფიზიკური შეურაცხყოფის დაუოკებელი სურვილი რატომ უნდა ჰქონდეთ ამ ადამიანებს ქალიან-კაციანად, ასე რითი აქვთ მოწამლული გონება? მამრობითი სქესის ახალგაზრდაზე კიდევ იტყვის ადამიანი, ახალგაზრდაა, სისხლი უდუღსო, მაგრამ გოგოს რაღა უნდა უდუღდეს ასეთი დაუოკებელი?

„თუ ჩემი ხელით არ მოგკლა, კაკაბაძე (ირაკლი-ავტ), მე არ ვიყო სალომე მახარაშვილი... გახსოვს? გადამირჩი ორჯერ, ახლა კი ნამდვილად ელოდე სიკვდილს. შენ ვანოს სურათს როგორ შეეხე შენი ბინძური ხელებით. თქვენ ვანოს შეეხეთ? ხოდა, კაკაბაძე პირადად მე შეგეხები შენ, თან ნამდვილად დაგასისხლიანებ“ (ირაკლი კაკაბაძემ ზედმიწევნით განმარტა, ჯერ უნდა გავეუპატიურებინე და მხოლოდ ამის შემდეგ უნდა მოვეკალიო...)

„როგორ მინდა დაგლეჭოთ, თქვენ ხო აზრზე არ ხართ, ამ დღეს ველოდებიიი... თქვენი შეშინებული მორდები რო ავლეწოოო... სულ ცხელი ტაფებით მოგეფერებით...“ — სხვადასხვა დროს ნათქვამი ეს „მარგალიტები“ მცირე ამონარიდია იმ „ზონელი“ ყვითელთმიანი გოგოს ოცნებებიდან, რომელსაც „ზონის“ ყველა აქციაზე ერთ-ერთი გამოკვეთილი ლიდერის პოზიცია აქვს მინიჭებული.

გასაგებია, რომ „ზონა“ და „ნაცმოძრაობა“ საერთო დესტრუქციული გეგმით მოქმედებს და საერთო მიზანი აქვთ, ანტიკონსტიტუციური გზით ხელისუფლებაში დაბრუნება, უფრო სწორად, ხელისუფლების ხელში ჩაგდება, მაგრამ რას აკეთებს ხელისუფლება, რომელიც ვალდებულია აღკვეთოს ყველას, მათ შორის უპირველესად, „ჰიტლერიუგენდის“ პროტოტიპი ანტისახელმწიფოებრივი ახალგაზრული ორგანიზაციის ყოველგვარი



ქმედება? სამართლიანობის აღდგენის მომლოდინე საზოგადოებას (ახალ-ახალი პოლიტსიურპრიზების დართვით) მოთმინება ელევა და როგორც კერძო საუბრებში ამბობენ, თავისთავად ახლოვდება ის დღეები, როცა 9 წლის მანძილზე უსამართლოდ ნაცემნაგვემი, ღირსებაშელახული თუ აწ გარდაცვლილი ადამიანების ახლობლები პირად ანგარიშსწორებაზე მასიურად გადავლენ...

„ქართველებო! „თავისუფალი ზონის“ ოფისთან წყდება ჩვენი ბედი. გამოდით და დაიცავით საქართველო, რომელიც ჰაკიმ ფაშამ დააყადაღა“, — ნახირ-ნახირ ფეხი გამოყო სააკაშვილის გაპიარებულმა პოლიციელმა კარინა გრიგორიანმაც, მაგრამ გიგი თარგამაძეს ვინ შეედრებოდა „ეპისტოლარულ ჟანრში.“

**გიგი თარგამაძე:** — „უნიათობისა და ქვეყნის მტრობის ორი წლისთავი პატარა კაცუნებმა შესაბამისად აღნიშნეს. ფულით შეაგროვეს ყველა ჯურის ეფესბეშნიკები, ბურჯანაძის, იგორის, ხომერიკის, ებრალიძის და კრემლის სხვა უსახურ იმბეცილთა მომყოლები, ჟურნალისტებად, გამოჩენილ პოლიტპატიმრებად და კიდევ ღმერთმა უწყის, რად წოდებულთი გამყიდველთა კლოაკის ბინადარნი.“

გივის და კარინას მოწოდებას რამდენი მათებრ „სამშობლოს დამცველი“ გამოეხმაურა, სახეზე იყო; ისიც ცხადი გახდა, რომ განრისხებული ხალხი უკიდურესი ზომის მიღებას „ზონისთვის“ სასურველი ქაოსის სასარგებლოდ, არ აპირებდა, თორემ პოლიციის ის კონტინგენტი, რაც იქ იყო მობილიზებული, საკითხავია, შეძლებდა თუ არა იქ მისული ადამიანების შეკავებას...

გიგა ბოკერიამ, რომელიც დამცველებით მჭიდროდ გარშემორტყმული ადევნებდა თვალყურს მიმდინარე ლანძღვა-გინებას, თითი ივანიშვილიკენ გაიშვირა, მას ეკისრება პასუხისმგებლობაო. რამდენად ეკისრება გადამდგარ პრემიერს ხალხის თავისუფალი ნების გამოხატვაზე, აიკრძალოს აგრესიული ორგანიზაცია, ცალკე საკითხია, მაგრამ თუ ჩავთვლით, რომ მართლაც პასუხისმგებელია, პასუსუხისმგებელია იმ ხალხის წინაშე, ვინც იგი მოიყვანა და არა „თავისუფალი ზონისა“ და ბოკერიას წინაშე...

შინაგანი სიბინძურე და გარყვნილება მაინც ვერ დამალა გივის ზიზღისგან მოღრეცილმა მეხსიერებამ, თორემ რატომ უნდა გახსენებოდა ზემოთაღნიშნულ კონტექსტში ინგლისური შეგონება ქალებისადმი „თუ იძულებით გაუპატიურებენ და ხვდები, ვერ გაექცევი მოძალადეს, მოდუნდი და მიიღე სიამოვნება...“ არადა, რა თქვა ღარიბაშვილმა ასეთი გადასარევი? — „დღეს საზოგადოებას ჭკუას ასწავლის ბოკერია, რომელიც წლების განმავლობაში ატყუებდა მთელ საერთაშორისო თანამეგობრობას. რაც ხდებოდა სააკაშვილის დროს — პატიმრების წამება, გაუპატიურება, ამ ყველაფრის შეფუთვა ევალებოდა ბოკერიას.“)

მართალია, „თავისუფალი ზონის“ თავგასულობითა და ხელისუფლების მხრიდან რბილად მოქმედების გამო განრისხებული ხალხის ნება გასაგები ემოციის გამო მთლად ვერ ჯდებოდა კორექტულობის ჩარჩოებში, მაგრამ თუ გავითვალისწინებთა რა „დამსახურებისთვის“ მისდიოდათ ხოშკაკალასავით მკვდარ-ცოცხალის გინება ჯალათებად სახელდებულ ადრესატებს, ფაქტობრივად, არც არაფერი მომხდარა განსაკუთრებული და აღსანიშნი...

**დიმიტრი ლორთქიფანიძე:** — „დღეს ჩვენ მოვედით იმისათვის, რომ ხელისუფლებამ აქტიურად იმოქმედოს იმ „ნაციონალური ბანდის“ წინააღმდეგ, რომლის არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები რეალურად წარმოადგენენ ტერორისტულ ორგანიზაციას და სამოქალაქო სექტორთან მათ არანაირი შეხება არ გააჩნიათ.“

**რეზო ამაშუკელი (ჟურნალისტს):** — „რა იხვს მეკითხები, რატომ ვიმყოფები — ლექსები უნდა წავიკითხო!.. არ იცი რატომ ვიმყოფები? — ამათი დედები უნდა ვატირო — ამიტომ ვიმყოფები! („ზონას“): — თქვე პეტუხებო, საკუთარ ცოლებს მიხედეთ, თქვე ბოზებო, თქვე ნაბიჭვრებო!“

**ელიზბარ ჯაველიძე:** — „ამ ევროკავშირის დროშით დაიმშვენეთ ერთი ადგილი! თქვენ ხართ ნაგვები, თქვე მიშას მონებო, ფულზე გაყიდულო ქართველებო, მანეთ-მანეთ ხართ გაყიდულები! საქართველოს გადარჩენა უნდა, თქვენ რას აკეთებთ, სააკაშვილის გვერდით დგახართ? ეს პოლიცია-მილიციაც კიდევ თქვენ რომ გიცავთ, ესაა უბედუ-

რება. დამთავრდა თქვენი ზონდერობა! მკლავებზე იყურებით? – ამ მკლავებსაც მოგაჭრიან!“

მისი უდიდებულესობა ხალხი:

**ვ. ტ.** – „მოკლედ, ასეთი ნაყოფიერი აქცია ჯერ არ მახსოვს. ადრე ჰაერზე ვიგინებოდით და აბსტრაქტულად ვიოხებდით გულს, დღეს მოხდა საოცრება და მთელი „ნაცმოძრაობის ელიტა“ 20 მეტრში გვედგა პოლიციის კორდონს მიღმა და „ლაივში“ გვისმენდა როგორ ვუტრიალებდით დედის პ...ებს. ძალიან ბევრი დაკარგეთ ვინც არ გამოხვედით ასეთი კარგი შანსის გამოსაყენებლად ნაცების პირდაპირ საგინებლად...“

**ა. ტ.** – „200% ეს ნაბიჭვრები ქვეშაფსია სასტავია, მშიშრები კი, როგორც წესი, ყველაზე გაბოროტებული არსებები არიან ქვეყანაზე. შაყოფაცხოვრებო დონეზე უნდა აფურთხო მაგათ (ფიგურალურად რომ არ ვთქვათ).“

**ლ. ზ** – „ქუჩაში რომ თავისუფლად ვერ გაივლიან, ეგ ცხადია...“

**მ. ხ.** – „ყველა არასრულფასოვნების კომპლექსით დაავადებული სირი მანდ როგორ შეიყარა ერთად, სუნზე ცნობენ ერთმანეთს...“

**ს. კ.** – „ამჯერად მინდა მივმართო საზოგადოებას და არა მთავრობას! დღეს პეკინზე კიდევ ერთხელ ვნახე მშიშარა ნაბიჭვრების სიფათები, იმ მშიშარა ნაბიჭვრებისა, რომსაც გყავთ ასეთი, უყურეთ მას როგორც კეთროვანს, აშკარად აგრძნობინეთ რომ ნაგავია! გაივლის უბანში – გადაუკურთხეთ! შალმის თქმას დააპირებს – მიაფურთხეთ ფეხებში! ანახეთ მხოლოდ ერთი რამ – ზიზღი!

ესეც ჩვენი გასაკეთებელია, როგორც ჩანს, ხალხო – მე ასე მიმაჩნია მაგათთან ბროლა ეფექტური!

და ჟურნალისტებო, თქვე ტრ...ის მიმცემებო, გაანებეთ ამათ გაფეტიშებას თავი, თქვენი დედები მო...ან გაზეთების რულონით!“

აბსოლუტური სიმართლეა, თითზე ჩამოსათვლელი მედიის გარდა, მხოლოდ გადაკვრით ახსენეს ზაზა დავითაიაზე თავდასხმა, თუმცა, რა გასაკვირია, როცა ინგა გრიგოლიას „რექციაში“ ყოველ პარასკევს, სკამ(ებ)ი დათმობილი ჰქონდა „ზონას“ და განსხვავებული აზრის ეგიდქვეშ ფასს ადებდნენ მათ სიტყვას, სხვა მედიასაშუალებები კი ყველა საინფორმაციო გამოშვებაში „თავისუფალ ზონას“ აპიარებდნენ, მაგრამ მაინც, რატომ მხოლოდ ჟურნალისტები? ჟურნალისტის დაუნდობლად ცემის ფაქტზე აბსოლუტურად გასუსულია „დიდი ტროიკა“ (კოჟორიძე, გიგაური, ლომჯარია) და მთელი რიგი ე.წ არასამთავრობოები და უფლებადამცველები, არადა, ხომ ადვილი წარმოსადგენია, ვინმეს „ნაციონალების“ კონტროლირებადი მედიიდან რომელიმე ჟურნალისტი რომ გაელახა, რამხელა ამბავი ატყდებოდა შინ და



ლებიც ისევე იყვნენ ამოფარებული პოლიციისკალთას, როგორც მათის ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში! ესენი არიან „პა ჟიზნი ჩმორები“, კატეგორია, რომელიც ვერასდროს პოულობდა საკუთარ თავში გამბედაობას და მუდმივად უკანა პლანზე იყო. ეგეთებს, ჩემს ახალგაზრდობაში, „ატბრისკი ნაროდა“ ერქვათ. ამასთან, ესენი არიან უბოროტესი არსებები. არ ვიცი საიდან არიან ჩამოთესლილები, არ ვიცი რატომ მაინც და მაინც აქ, მაგრამ ის ვიცი, რომ არაფერი ღირებული და წმინდა ამათთვის არ არსებობს. დღეს მე მათ სიფათებზე დავინახე სიხარული იმისა, რომ შუაში პოლიცია იდგა და ესენი დაცულები იყვნენ; სწორედ ის პოლიცია, რომელიც გუშინ ჩვენ გვირტყამდა; ის პოლიცია, რომელსაც ხვალ ესენი ისევ გინებას დაუწყებენ, არადა, ტრაკზე უნდა კოცნონ თითოეულ პოლიციელი ამ ნაბიჭვრებმა! პოლიცია რომ არა, გარეთ გამომსვლელები კი არა, ოფისშიც აღარავინ დარჩებოდა შიშით!

მოკლედ, ამათ ისევ ჩვენ უნდა მივხედოთ, საზოგადოებამ უნდა დავაყენოთ ესენი თავის ადგილზე, ჩვენ და არავინ სხვამ!

ხელისუფლება ამ პროცესში იმპოტენტია!

ჩვენ, ყველამ ერთად უნდა გავაკეთოთ ერთი რამ, ვანახოთ მათ ჩვენი ზიზღი და იგნორი! სამეზობლოში ვიგარეთ? აარა, კი თქვა ბოლო-ბოლო კოჟორიძემ სეფე-სიტყვა, მაგრამ ეს იყო პრემიერის კრიტიკა და სხვა არაფერი, ორაზროვნად გასაგები ფრაზა: „კარგია, რომ ის აღშფოთდა ჟურნალისტის ცემის გამო, მაგრამ კარგი იქნებოდა, აღშფოთებულიყო და უპირობოდ დაეგმო ის ძალადობა, რასაც ადგილი ჰქონდა „თავისუფალი ზონის“ ოფისშიო... შეშფოთებულები ვართ, დაკავებულ დავით გოგოხიას, მისი თქმით, სასტიკად ექცეოდნენო...“ – ველარ თქვა სათქმელი, თორემ იკითხება, ცრუ ალიაქოთი გვაქვს ასატეხი, ერთი თქვენი დავითაიას შერყეული ტვინი და ჩამტვრეული ნეკნიცო...

ბატონმა პრემიერმა კომენტარის სახით თქვა: – „ეს არასამთავრობოები, რომლებიც მოქმედებენ მათი („ნაციონალური მოძრაობის“ – ავტ) ეგიდით, ეს არის „ზონა“ თუ სხვა გაუგებარი ორგანიზაციები, ესენი არიან დესტრუქციული ძალები, ყოველ შემთხვევაში, მათ ქმედებაში მე ვხედავ მათ დესტრუქციულ ხასიათს...“

დიახ, ბატონო პრემიერო, სიმართლეს ბრძანებთ, მაგრამ სახელმწიფოს მხრიდან გადასადგმელი ლოგიკური ადექვატური პასუხი ვის მოთხოვოს ხალხმა?!

**დავით ქავთარია**

# „სისხლიანი ვეგდე ასფალტზე, ვიდეოს მიღებდნენ და დამძახოდნენ: პუტინის მონა!“

3 gv.

– რაც შეეხება მუქარას. არც უმაგისობაა. დიახ, ვემუქრებოდი მას შემდეგ, რაც ჩემს მიმართ „თავისუფალი ზონის“ წარმომადგენლების მხრიდან მუქარისა და ჟურნალისტურ საქმიანობაში ხელის შეშლის ფაქტზე პოლიციამ და სამართალდამცავმა ორგანოებმა ვერ აღასრულეს სამართალი.

**– ასეთი შემთხვევა იყო? როდის?**

– ეს დაიწყო სექტემბრიდან. **სექტემბრის დასაწყისიდან ჩემთან ბრძოლაში ჩაება „თავისუფალი ზონა“ და მისი პატრონი „ნაცმოძრაობა“, ამჯერად უკვე ღიად.**

ამას გარდა, მინდა პირდაპირ გითხრათ, ოღონდ არ დავასახელებ კონკრეტულ მედიასაშუალებას და ამ მედიასაშუალებას კონკრეტულ წარმომადგენლებს, რომლებიც იდეოლოგიურ ფონსაც კი ქმნიდნენ ჩემზე თავდასხმისთვის.

**– დაასახელეთ, ვინ იყვნენ, რატომ არ ამბობთ?**

– ამჯერად თავს შევიკავებ. ამ ინტერვიუს წაკითხვის შემდეგ ის კონკრეტული ადამიანი თავის თავს ამოიცნობს.

უკვე აშკარა გახდა, ვინ რომელ მხარეს არის და ამ დამოკიდებულებამ გალაკტიონის ლექსის სტრიქონი გამახსენა: „ძველ მეგობრებსაც ვამჩნევ მე ღალატს“. **ზოგიერთი, ვისაც მეგობრად ვთვლიდი და ვინაც თავიანთ თავს ჩემს მეგობრად თვლიდა, უცებ აღმოჩნდა, რომ „ნაციონალების“ გუნდში ყოფილან** და რომ მიმტკიცებდნენ, ღამეები გვითენებია „ნაცმოძრაობასთან“ დაპირისპირებასა და ბრძოლაშიო, აღმოჩნდა, რომ ნაცების მეგობრები არიან და მათ უჭერენ მხარს. ცხადია, თანაგრძნობაც ვერ დავინახე მათგან. იმედია, ის ადამიანი ამოიცნობს საკუთარ თავს. ეს არის ვითომ თავგადაკლული პატრიოტი და ვითომ ჩემი მეგობარი. მეგობარი ბრჭყალებში ჩასვით ამ შემთხვევაში.

**– ფაქტი, ჩემი აზრით, საგანგაშო იმდენად არის, რამდენადაც ჟურნალისტს თუ** მერე მე ხომ დამარქვა მიშამ რუსეთის აგენტი, რიგის მიხედვით, მათაც უწოდა რუსეთზე მომუშავეები. შეიძლება, ისინი მართლაც იყვნენ აგენტები, რადგან ხმამაღალი პროტესტი არ გამოხატავთ, მაგრამ ახლა მახსენდება პასტორის სიტყვები: როცა ფაშისტებმა კომუნისტებს მიაკითხეს, ხმა არ ამომიღია, ებრაელებს რომ მიაკითხეს, არც მაშინ მითქვამს რამე, პროფკავშირებს რომ მიადგნენ, მაშინაც ვდუმდი, ბოლოს ჩემთან მოვიდნენ, მაგრამ აღარავინ იყო დარჩენილი, ხმა რომ ამოეღოო.

ასეთ მდგომარეობაში აღმოჩნდება ყველა. აქ ზღვარია გავლებული სიკეთესა და ბოროტებას შორის.

ყველა დამემოწმება, რომ ყოველთვის ღიად ვუპირისპირდებოდი სააკაშვილის რეჟიმს ჯერ კიდევ ხელისუფლებაში მოსვლის პერიოდში, მაგრამ საქმე, იცით, რაშია? თუ დროზე არ გამოხატავ საკუთარ დამოკიდებულებას, აუცილებლად აღმოჩნდები გამოუვალ მდგომარეობაში, რადგან სიმართლე ბუმერანგივითაა, ხოლო გაჭირვება ისეთი აქლემია, ყველას კართან რომ დაიჩოქებს.

სააკაშვილის ზონდერები კლავდნენ ადამიანებს და იღებდნენ კამერით, იჭერდნენ ადამიანებს და იღებდნენ კამერით, სცემდნენ და იღებდნენ, ციხეებში აწამებდნენ და იღებდნენ, შემდეგ ეს ჩანაწერები მიდიოდა, სავარაუდოდ, მათ პირველ კაცთან, სააკაშვილთან, რომელსაც პათოლოგიური მისწრაფებები აქვს და სიამოვნებას განიცდის ადამიანების წამების ყურებისას.

**როცა სისხლიანი ვეგდე ასფალტზე, ვიდეოს მიღებდნენ და ფარნაოზ ჭკადუა თავზე დამძახოდა: პუტინის მონა! როგორც ჩანს, მისი ხმა რომ იქნებოდა დაფიქსირებუ-**

**„სააკაშვილის ზონდერები კლავდნენ ადამიანებს და იღებდნენ კამერით, იჭერდნენ ადამიანებს და იღებდნენ კამერით, სცემდნენ და იღებდნენ, ციხეებში აწამებდნენ და იღებდნენ, შემდეგ ეს ჩანაწერები მიდიოდა, სავარაუდოდ, მათ პირველ კაცთან, სააკაშვილთან, რომელსაც პათოლოგიური მისწრაფებები აქვს და სიამოვნებას განიცდის ადამიანების წამების ყურებისას.“**

**ქუჩაში სცემეს, ეს ნიშნავს, რომ დაცული უბრალო მოქალაქეც არ არის, ხოლო ჟურნალისტებს თუნდაც იმიტომ უნდა ამოეღოთ ხმა, რომ მოქალაქეების დაცვა ჩვენი მოვალეობაა და კიდევ ის, რომ არავინ იცის, ხვალ ქუჩაში ან სხვაგან რომელ ჟურნალისტს დაესხმებიან თავს.**

– დიახ, ამის თქმა მინდოდა, იცოდნენ ჩვენმა კოლეგებმა, რომ ხვალ, მოსალოდნელია, თვითონ აღმოჩნდნენ ჩემს მდგომარეობაში.

2004-05-06 წლებში მრავალრიცხოვან მიტინგებზე სწორედ ამას ვამბობდი. როცა დამაპატიმრეს, პოლიტიკურმა ძალებმა იპასიურეს და თანადგომა არ გამომიცხადეს.

**ლი სააკაშვილისთვის გასაგზავნ კადრებში, მამა-მარჩენალი გროშებს გამოუგზავნიდა. ასეც იქნება, ალბათ.**

ბოლოს კი მინდა ვთქვა: თუ ხელისუფლებამ დროზე არ აღკვეთა ამ ბოროტების მანქანის თარეში, ეს დაპირისპირებები აუცილებლად მიიღებს უფრო ფართო სახეს. შეიქმნება დესტაბილიზაციის კერები და მომზადდება ნიადაგი თბილისის მაიდნად გადასაქცევად. აქეთკენ მიდიან სააკაშვილი, „ნაცმოძრაობა“ და მათი სატელიტები.

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18



გიგლა გოზეჩია:

# ქართული ჟურნალისტიკა „ნაცებისგან“ ჟურნალისტებად დანიშნულმა ადამიანებმა გააუპატიურეს და გაათახსირეს

**გვესასუბრება ჟურნალისტი, ბატონი გიგლა გოზეჩია**

**— ქართულ ჟურნალისტიკაში ხშირად გაიგონებთ მოსაზრებას, რომ ჟურნალისტმა სამუშაო პროცესში არ უნდა გამოხატოს პოზიცია. რას იტყვით ამაზე?**

— არის ასეთი ცნობილი ჟურნალისტი და ჟურნალისტიკის თეორეტიკოსი **დენ გილმორი**, რომელმაც პოზიტიურ ჟურნალისტიკას ჩაუყარა საფუძველი. მისი შეხედულებით, ჟურნალისტი არ შეიძლება იყოს მხოლოდ ე. წ. „გადამცემი სადგური“, ანუ მოუსმინოს ერთს, მერე მეორეს და მორჩა. დენ გილმორის და სხვათა შეხედულებით, რასაც აბსოლუტურად ვეთანხმები, ჟურნალისტი არის, პირველ რიგში, მოქალაქე და მას აქვს საკუთარი მოსაზრება, რომელსაც, ცხადია, როგორც უზურპატორი, თავს არავის არ ახვევს.

90-იან წლებში მსოფლიოში პოლიტიკური ჟურნალისტიკა განვითარდა, რადგან ბევრი ცდის მიუხედავად, ჟურნალისტი მოექციათ ჩარჩოებში და ის მხოლოდ „ჩიტკორესპონდენტებად“ მოეაზრებინათ, ვერ განხორციელდა.

ამას წინათ **ედუარდ სნოუდენის** ინტერვიუ წავიკითხე. მოგეხსენებათ, მას ხელთ ჰქონდა ინფორმაციები იმის შესახებ, როგორ უსმენდა ფარულად აშშ-ი მსოფლიოს ორასამდე სახელმწიფოს პირველ პირებს და სნოუდენი ამბობს: მე დიდხანს ვეძებე და ვერ ვიპოვე ჟურნალისტი, რომელსაც ვენდობოდი და ამ ინფორმაციას გადავცემდი და ის ჟურნალისტი შეძლებდა ამ ინფორმაციის გაანალიზებას და დაცვასო.

დიახ, ეს უბედურება სჭირს დღეს ჟურნალისტიკას.

უარეს დღეშია ქართული ჟურნალისტიკაც.

საქართველოში ჟურნალისტიკა სურსათის მაღაზიის კარივითაა, ვისაც მოესურვება, შედის და გადის და ყოველივე ეს კარგ შედეგს არ მოიტანს.

დღეს საქართველოში ყველას შეუძლია შექმნას რაღაც ინფორმაცია, სინამდვილეში დეზინფორმაცია, შეფუთოს ის და მიაწოდოს საზოგადოებას. პასუხისმგებლობა კი ნულის ტოლია. სამწუხაროა, რომ ჟურნალისტიკა ე. წ. 50-ცენტიანების სტილით მუშაობს, ანუ სპეციალურად დაქირავებული ადამიანებით ინტერნეტსივრცეში, როგორც სახელმწიფო სამსახურების აგენტები, რომლებსაც 50 ცენტს უხდიან დეზინფორმაციის გავრცელებაში.

ასეთ დროს ძნელი ხდება და თავისთავად, იზრდება ჩვენი, როგორც პროფესიონალი ჟურნალისტების პასუხისმგებლობა.

**აშშ-ის წამყვანი მედიასაშუალებების კარს ვერ შეაღებს ისეთი კადრი, რომელსაც ჯიბეში ჟურნალისტის დიპლომი არ უდევს. ჩვენთან კი სტომატოლოგი, პროქტოლოგი, ან პოლიციელი გამოხტება და ჟურნალისტი ვარო, გაიძახის, ამიტომ გვიდგას კარგი დახლი...**

**— იმ, დავუშვათ და, სტომატოლოგს, თურმე, 25 წელიწადია ჟურნალისტიკაში უმუშავია.**

— მერე რა, მან იცის წერა-კითხვა, უფრო სწორად, ისწავლა, მაგრამ არ აქვს პროფესიული პასუხისმგებლობა და ამ პროფესიის სიყვარული.

**— პროფესიული პასუხისმგებლობით ეკიდება ნათია მიქიაშვილი ახალ გადაცემას, რომელიც „რუსთავი-2“-ზე უნდა გავიდეს? ანუ პროფესიულ საქმიანობას გაყიდულ არხზეც მოახერხებ, თუ „გული გულობს“?**

– **ნათია მიქიაშვილი** არის სახე და ტრაგედია ქართული ჟურნალისტიკის – იყიდა „ნაცმოძრაობამ“ და წავიდა „რუსთავი-2“-ში. ვისია ეს ტელევიზია, ყველამ ვიცით. „რუსთავი-2“ 100%-იანი მეწილე არის მიხეილ სააკაშვილი.

რით ვერ მოუარეს, რა გახდა ასეთი „რუსთავი-2“?

2003 წელს, როცა „ნაცმოძრაობა“ მოვიდა ხელისუფლებაში, მაშინ ვწერდი, რომ „რუსთავი-2“-ის მთელი შემადგენლობა უნდა გასამართლდეს ქვეყნის წინაშე ჩადენილი დანაშაულისა და ინფორმაციული ნაგავისთვის, რასაც მაშინ აწვდიდნენ და ახლაც აწვდიან.

მთელი სახელმწიფო აპარატი ,ჟვანიას მეთაურობით, მუშაობდა „რუსთავი-2“-ზე. მე კარგად მახსოვს ეს პერიოდი. ხომ ნახეთ, ვალერი ასათიანს რა გაუკეთეს. ხარება დღეს საშინელება მიახარეს ქრისტიანულ საზოგადოებას. ბატონმა ვალერიმ მოიგო ეს სასამართლო „ნაცების“ ზეობის პერიოდში, როცა მიშას ეგონა, ღმერთივით გავლა შეეძლო, იმდენად ბინძური საქმე გააკეთა მაშინ გოგიჩაიშვილმა, რომ „ნაცმოძრაობამაც“ ვერაფერი გააწყო და „რუსთავი-2“ 50 000 ლარით დაჯარიმდა. ახლა თანაფარდობა ნახეთ — გირგვლიანის მკვლელებს 4 წელი, 12 რომ მოიპარა მშიერმა ბიჭუნამ — 7 წელი მისცეს.

**— ბატონო გიგლა, ქართულ მედიაში, მოგეხსენებათ, არის ასეთი ტიპის დაყოფა: მედია, რომელიც იცავს აბსოლუტურ ნეტრალიტეტს საკუთარი ე. წ. მედია-ბიზნესის გადასარჩენად, მედია, რომელიც კვლავ „ნაციონალებს“ უჭერს მხარს ხან ღიად და ხან — შეფარვით და მედია, რომელიც აკეთებს მედია-საქმეს, რამდენად მიზანშეწონილია ასეთი რამ საზოგადოებისა და ქვეყნისთვის?**

— ეს, ცხადია, კარგს არაფერს მოგვიტანს, მაგრამ მინდა გითხრათ, საქართველოში გაბატონებული აზრი, თითქოს მედიას ხელისუფლება არ უნდა აფინანსებდეს, არის აბსურდი. **მსოფლიოს ყველა ძლიერ სახელმწიფოში მედიას ქვეყნის მმართველობა აფინანსებს, განსაკუთრებით, ბეჭდურ მედიას.**

სახელმწიფო ბეჭდურ მედიას უნდა აფინანსებდეს, პირველ რიგში, იმიტომ, რომ მედია არ ჩახტეს რომელიმე ოლიგარქის ნავში, ან არ გადაითრიოს რომელიმე კორპორატიულმა ჯგუფმა, არ გაამრუდოს საზოგადოებრივი აზრი, მიაწოდოს პუბლიკას ის ინფორმაცია, რაც ხდება ქვეყანაში და სახელმწიფოს მიერ გაკეთებული საქმე ობიექტურად მიიტანოს მსმენელამდე, მაყურებლამდე და მკითხველამდე. თუმცა არის ცალკეული შემთხვევებიც, როცა იყიდებიან ჟურნალისტები და ცხადი მაგალითი მოგახსენეთ ზემოთ ნათია მიქიაშვილის სახით. ჩემთვის ის, როგორც ჟურნალისტი დღეს უკვე აღარ არსებობს.

მე 32 წელიწადია ჟურნალისტიკას ვემსახურები, არასდროს არ გავყიდულვარ და დღეს ვცხოვრობ ისე, როგორც ცხოვრობს ჩემი ქვეყანა და ხალხი.

**— მიუხედავად იმისა, რომ თქვენ სამი ათეულ წელზე მეტია ამ საქმეს ემსახურებით, მომიტევეთ და, შეიძლება, ბევრი ახლანდელი ჟურნალისტი ვერც კი გცნობდეთ.**

— ნუ მიბოდიშებთ. როდესაც ნაცებმა გამომცემლობა „სამშობლოდან“ წიხლებით გამოგვყარეს, ეკა ხოფერიამ განაცხადა: იქ დახავსებული ჟურნალისტები მუშაობდნენო. ადამიანი, რომელიც წინადადებას ერთმანეთს ვერ აბამს, ამას რომ იტყვის, უნდა გაგვეცინოს თუ უნდა ავტირდეთ?! ნანუკა ჟორჟოლიანი, ხოფერია და მათნაირები თუ არ აღმიქვამენ ჟურნალისტად, ეს მათი უცოდინარობის გამოხატულებაა. რა თქმა უნდა, კუდის ფულით გადაცემის კეთება უფრო ადვილია, ვიდრე ჩემი გაცნობა...

ერთხელ თამარ ჩერგოლეიშვილმა თქვა: ჩემი ხელფასი 11 000 ლარს შეადგენსო. მისი „ჟურნალი „ტაბულა“ 2 ლარი ღირდა და უმაღლესი პოლიგრაფიული დონის გამოცემა იყო. საიდან ჰქონდა ან ამდენი ხელფასი, ან ასეთი ჟურნალის გამოცემის შესაძლებლობა? უშიშროების საბჭოს თავმჯდომარის მეუღლე იყო. თანხები მიდიოდა მდინარესავით და ილვრებოდა და ილვრებოდა დეზინფორმაციული თუ სხვა სახის მომწამვლელი ინფორმაცია იქედან.

უცხოეთში არის ასეთი სტანდარტი,:როცა ჟურნალისტი გაავრცელებს ცრუ ინფორმაციას, სათანადო ორგანო, ისეთი კი არა, ჩვენთან რომ არის ქარტია-მარტია თუ რაღაც, უპირველესად, ამ დეზინფორმაციის შესახებ, დაბეჭდავს იმ ქვეყნის ყველა მედიასაშუალება, კიდევ თუ გაიმეორებს მსგავსს, კვლავ გაფრთხილება მიეცემა და გამოაშკარავდება ყველა მედიასაშუალებით — მისი ავტორიტეტი ეცემა, ხოლო მესამედ — ჩამოერთმევა აკრედიტაცია და ყველა ჩინოვნიკმა, სახელმწიფო მოღვაწემ და ცნობილმა პირმა იცის, რომ ამ მედიასაშუალებას არ უნდა დაეკონტაქტონ. ანუ მოქმედებს პრესერატების სისტემა. ეს სისტემა მუშაობს გერმანიაში, საფრანგეთში, იტალიაში. ჩვენ ჯერ „გამოქვაბულში“ ვართ.

**— „ეთიკის ქარტია“?**

— „ეთიკის ქარტია“ ხომ ვიცით, ვინც არის? ერთი ბატონი ბრძანდება **ზვიად ქორიძე**, ჟურნალისტი ვარო, ამბობს. მე არ ვიცნობ ასეთ ჟურნალისტს, მართალი გითხრათ. ამ კაცს ჟურნალისტიკაში ყველაფრის მცოდნედ მოაქვს თავი და ვინაა საერთოდ?

ვსვამ კითხვას: ვინ დაპატიჟა, მაგალითად, **ია ანთაძე** ჟურნალისტიკაში? ესენი არიან ნაცებისგან ჟურნალისტებად დანიშნული ადამიანები.

ყველა საკვანძო და მნიშვნელოვან სიტუაციაში ეს ადამიანები სდუმან.

**— ია ანთაძემ ამ დღეებში ჟურნალისტი ზაზა დავითაიას ცემის ფაქტზე განცხადება გააკეთა. მან თქვა, რომ ორივე მხარეს ეკისრება პასუხისმგებლობა — როგორც ზაზა დავითაიას, ისე „თავისუფალი ზონის“ წევრებს.**

— 12 კაცი დაესია ერთ ადამიანს და კვლავ მას ეკუთვნის პასუხისმგებლობა? ამიტომ ამ ქალბატონის აზრები ჩემთვის აბსოლუტურად არავითარ ღირებულებას არ წარმოადგენს და კარგად იცის საზოგადოებამ, ვინც არის ია ანთაძე. მოვა დრო და ოდესმე შერცხვებათ.



ია ანთაძე



ლაშა ტუღუში



ზვიად ქორიძე



ნათია მიქიაშვილი

ამ ქალს ჟურნალისტიკის მეტრად რომ მოაქვს თავი და ეხება თუ არ ეხება, ყველაფერზე კომენტარს აკეთებს, მიხედოს თავის პედაგოგიკას, არ არის ის ჟურნალისტი.

**— მან თქვა ერთხელ, რომ იგი ჟურნალისტიკაში ვასილ მაღლაფერიძემ შემოიყვანა.**

— **ვასილ მაღლაფერიძეს** რა აქვს, საერთოდ, სალაპარაკო. ის იყო და არის ჩვეულებრივი ზონდერი. იყო მცხეთა-მთიანეთის გუბერნატორი და ძოვდა და ჭამდა „ნაცებთან“ ერთად. ეს „გვინიშნავს“ ჟურნალისტებს?! ახლახან ბიძინა ივანიშვილის ხელფასით და ჰონორარით დაიწყო ყელყელაობა. ამ კაცის რეკომენდაციით „დანიშნული“ ჟურნალისტის ფასი ერთი თეთრიც არაა. მაღლაფერიძე ის ადამიანია, მისი პოლიტიკაში შემომყვანი, პატრონი და ძმაკაცი **ზურაბ ჟვანია** თხასავით რომ გაყიდა. რა შუბლით ჩნდება ეს კაცი აუდიტორიის წინაშე.

ჟურნალისტიკის ნგრევა საქართველოში 90-იანი წლებიდან დაიწყო, **ზვიად ქორიძემ** და **დავით პაიჭაძემ** გამოაძევეს უნივერსიტეტიდან ჟურნალისტიკის ნამდვილი მამა **ნოდარ ტაბიძე** და მაშინ ჩაეყარა საფუძველი ძალადობრივ ჟურნალისტიკას. მაშინ შევუთვალე ზვიად ქორიძეს: წვერებით გითრევ-მეთქი. მისი დიპლომის ოპონენტი ვიყავი და მე გაჩვენებთ, რა დიპლომი აქვს გაკეთებული, რა ცოდნა ჩანს იქ. საცოდაობაა პირდაპირ.



**ყველაფერი, რაც ხდება, იმიტომ ხდება, რომ ვისაც სიტყვა ეთქმის ქართულ ჟურნალისტიკაში,**

# ჩვენთან სტომატოლოგი, პროქტოლოგი და პოლიციელი ჟურნალისტობას რომ იბრალებს, იმიტომ გვიდგას კარგი დახლი...

**ისინი სდუმან. სდუმან იმიტომ, რომ თავჩარგული მუშაობენ არსებობისთვის. არამზადა ჟურნალისტები კი ზოგი გაიყიდა, ზოგს გრანტები ამოსდის ყელში. ხელისუფლებამ უნდა მოხედოს ამ საქმეს, მაგრამ, როგორადაც არ უნდა ემცხეთოთ, ამ ხელისუფლებამ ამ საქმის არაფერი იცის.**

ორიოდე დღის წინ „თავისუფალი ზონაა“ თუ „ნაციონალური ზონა“ იქ ვიყავი აქციაზე. ისეთი ადამიანები დავინახე იქ, ბოლმა ყელში მომაწვა. აი, ეს საზოგადოება შექმნა დღეს ქართულმა ჟურნალისტიკამ და როცა იქნება, პასუხს აგებს ამაზე.

**— ვინ ნახეთ ასეთი?!**

— **ბოკერია** და **დარჩიაშვილი** ბრძანდებოდნენ. ესენი არიან დამნაშავე რეჟიმის დამნაშავე სუბიექტები და თუ არ გასამართლდებიან, ხალხი დასჯის მათ.



1995 წელს „მხედრიონმა“ დაგვარბია გაზეთ „შანსის“ რედაქციაში. პირადად მე დავზარალდი. მაშინ ნომრის რედაქტორი ვიყავი და მგონი, ყველაზე მძიმედ მე მომხვდა „მხედრიონის“ ხელი.

მას შემდეგ გავიდა წლები. „შანსის“ რედაქტორი **ბონდო ქურდაძე** ახლა ემიგრანტია და 2011 თუ 2012 წელს, საფრანგეთის სასამართლოს წარუდგინა ამ შემთხვევის დეტალები და სასამართლომ, როგორც დევნილ ჟურნალისტს და რედაქტორს, უყოყმანოდ შესთავაზა სამუდამო თავშესაფარი.

სხვათა შორის, 90-იანი წლებიდან ვიცი, რომ ბატონ **ლაშა ტუღუშს** ზურგს „ნაცმოძრაობის“ ახლანდელი წარმომადგენლები უმაგრებდნენ. პირველი მილიონები 1998 წლიდან შემოვიდა საქართველოში უცხოეთიდან, აქედან 4 მლნ 700 000 დოლარი გადაეცა „რუსთავი-2“-ს და 300 000 დოლარი, სტამბა და სხვა აუცილებელი რამეები უყიდეს გაზეთ „რეზონანსს“. ვინ იდგა გრანტების გამცემი ორგანიზაციის უკან?! პარლამენტის თავმჯდომარე **ზურაბ ჟვანია**, კომიტეტის თავმჯდომარე **მიხეილ სააკაშვილი** და ა. შ. ესენი იყვნენ არასამთავრობო ორგანიზაციების სათავეებთან და შანსი არ ჰქონდა ვინმეს, რაიმე სახის გრანტი აეღო, თუ ამ ადამიანებთან არ იქნებოდა დაახლოებული.

მახსოვს, მაშინ, მეც წარვადგინე პროექტი, გულუბრყვილოდ. მეცინება ახლა ამაზე. პრეზიდენტ **ზვიად გამსახურდიას** მკვლელობის გამოძიების საქმეზე ჟურნალისტური გამოძიებისთვის მჭირდებოდა გრანტი. დარჩიაშვილი ბრძანდებოდა მაშინ იქ მთავარ ფიგურად. პასუხიც კი არ გაუციათ.

**— ბატონო გიგლა, თქვენ ახლა კოლეგები გააკრიტიკეთ, რამდენად კორექტული და კოლეგიალური ბრძანდებოდით ამ კრიტიკაში?**

— ჩემო ირანდა, პირველ ნაბიჯებს რომ დგამდი ჟურნალისტიკაში, მაშინ შევხვდით ერთმანეთს. მე რედაქტორი გახლდით, შენ — კორესპონდენტი. ამიტომ თავს უფლებას მივცემ და გეტყვი: **არასდროს ჩათვალო შენს კოლეგებად გაყიდული, მოძალადე, რეჟიმის მონა და მორჩილი ე. წ. ჟურნალისტები. არ დადგე მათ გვერდით. ძალადობა და კრიმინალი დაგმე, მაგრამ მოითხოვე: პასუხი ყველა დამნაშავე უნდა აგოს!**

ალისტრახოროხვაძე და სხვა მისნაირი გაურკვეველი სუბიექტები ჩვენი კოლეგები არ არიან!

**ირანდა კალანდაძე**
**593 56 11 18**

# როდის მოსთხოვენ პასუხს კახა შენგელიას და რამაზ ნიკოლეიშვილს?

*ჩვენი გაზეთის 24.10.2014 ფურცლებზე გამოქვეყნებული იყო ინტერვიუ სააქციო საზოგადოება „ინჟმშენის“ გენერალურ დირექტორთან ბატონ **ნიკოლოზ შარაბიძესთან** — „როგორ და რატომ გაასწორა მიწასთან „ნაცმოძრაობამ“ რესპუბლიკაში ერთ დროს უძლიერესი სამშენებლო კომპანია?“*

*საინტერესოა ის მეთოდები, რომლებსაც იყენებდა „ნაცმოძრაობა“ ორგანიზაციების გაკოტრების მიზნით. როგორც ცნობილია, ამ მეთოდებს სისტემური ხასიათი ჰქონდა და ფართოდ იყო გამოყენებული საქართველოში არსებული მრავალი სხვადასხვა პროფილის კომპანიის გაკოტრების გზით „ნაცმოძრაობის“ და მათი სატელიტი კომპანიების წინ წასაწევად და დიდძალი ქონებისა და თანხების ხელში ჩასაგდებად. ეს ქონება და თანხები დღესდღეობით კვლავ მათ ხელშია. მათ ხელში დარჩა სახელმწიფო მართვის ორგანოებიც. ეს ბერკეტები, სამწუხაროდ, საკმაოდ ეფექტურად გამოიყენება „ქართული ოცნების“, როგორც პოლიტიკური ორგანიზაციის წინააღმდეგ და ხელს უშლის სახელმწიფოს, პოლიტიკური და ეკონომიკური წინსვლის განხორციელებაში.*

*ჩვენ კვლავ მივმართეთ ბატონ **ნიკოლოზ შარაბიძეს**. გთავაზობთ ინტერვიუს:*

**— ბატონო ნიკოლოზ, რა ბედი ეწია თქვენს საქმეს, არის თუ არა წინსვლა გამოძიების მიმდინარეობაში?**

— პროკურატურას 2012 წლის ნოემბერში მივმართე პირველად. მაშინვე, როდესაც გაიმარჯვა ახალმა ხელისუფლებამ. საჩივრის შეტანამდე საუბარი მქონდა გენერალურ პროკურორთან, ბატონ **არჩილ კბილაშვილთან**. მე მივიღე თანხმობა, რომ ის მიიღებდა ზომებს, რათა უზრუნველეყო საქმის ობიექტური, ხაზს ვუსვამ, ობიექტური გამოძიება, რის შემდეგაც შევიტანე განცხადებები მის სახელზე, მაგრამ, ჩემდა საუბედუროდ, ბატონმა არჩილმა, ალბათ, პროკურატურაში ჩანერგილი „ნაცმოძრაობის“ ელემენტების შიშით თუ სხვა მიზეზის გამო, ვერ მოახერხა, რომ უზრუნველეყო ჩემი საქმის სრულფასოვანი გამოძიება და



რამაზ ნიკოლეიშვილი

შემოიფარგლა საქმის საფინანსო პოლიციაში გადაგზავნით. საქმე გადააგზავნა იმ ორგანოში, რომელმაც თავიდანვე უკანონოდ დამაპატიმრა. მათი მეშვეობით მომისაჯეს წინასწარი პატიმრობა და 4 თვე გამატარებინეს საპყრობილეში მაშინ, როდესაც ჩემი საქმე, პრაქტიკულად, გამოსაძიებელიც აღარ იყო, რადგან, ვიცოდი ნაცისტების ბინძური მეთოდები. პირველი დაკითხვისთანავე ვაღიარე „დანაშაული“ და ამით თავიდან ავიცილე წამება და ტანჯვა, რაც შეიძლება მიმეღო „დანაშაულის“ ობიექტური გამოძიების მოთხოვნის შემთხვევაში. ამავე დროს, წინასწარ, ჩემს თავზე ავიღე ყველა „დანაშაული“, რომელიც ჯერ კიდევ არ იყო გამოვლენილი და რასაც შეიძლებოდა სხვა თანამშრომლების დაპატიმრება მოჰყოლოდა. საქმე უკვე 2 წელია გამოძიების სტადიაშია, ჩვენ კი ვიმყოფებით გაკოტრების და პირადი ქონების კონფისკაციის პრესის ქვეშ, რასაც აწარმოებს „საქართველოს ბანკი“ სააღსრულებო ბიუროს მეშვეობით.

ვინაიდან ვითანამშრომლე გამოძიებასთან, გამაფორმებინეს საგადასახადო შეთანხმება სახელმწიფოსთან 2 000 000 ლარის ოდენობით და გამომიშვეს საპყრობილედან 1 000 000 გირაოს ხარჯზე. საგადასახადო შეთანხმების თანხა ჩემს მიერ გადახდილი იქნა ჩემი და ჩემი ახლობლების პირადი ქონების ბანკში იპოთეკით დატვირთვის ხარჯზე, რისთვისაც, როგორც ზემოთ აღვნიშნე, ვიმყოფებით სახლებიდან გამოსახლების საშიშროების ქვეშ.

რაც შეეხება გირაოს გადახდას, ეს სხვა ისტორიაა.

გირაოს თანხა უსახსრობის გამო ვერ გადავიხადე 3 თვის ვადაში, თანაც ყოველდღიურად ვიმყოფებოდი დაპატიმრების რისკის ქვეშ, მაგრამ „ნაციონალების“ ფაშისტურმა მთავრობამ მიმართა ერთგვარ ხრიკს — 2011 წლის ივნისში გამომიძახეს საქართველოს პროკურატურაში და მომთხოვეს გირაოს ხარჯზე მონაწილეობა მიმეღო. ქ. თბილისის პროკურატურის მშენებლობაზე საქველმოქმედო საწყისებზე, უარის შემთხვევაში დამემუქრნენ, რომ დამაპატიმრებდნენ, ვინაიდან გირაო არ მქონდა გადახდილი და უსახსრობის გამო ვერც გადავიხდიდი. იძულებული ვიყავი დავთანხმებოდი და ხელი მოვაწერე საქველმოქმედო წესით მშენებლობის ხელშეკრულებას,



კახა შენგელია

მაგრამ ვითხოვე, რომ დაგვეხმარებოდნენ დამატებითი სესხის აღებაში „საქართველოს ბანკიდან“. რაც განხორციელდა კიდეც. „საქართველოს ბანკმა“ გასცა ჩვენზე კრედიტი 1 000 000 ლარის ოდენობით. აქედან 530 000 ლარი მოხმარდა პროკურატურის მშენებლობას, ხოლო დანარჩენი მოხმარდა წყალტუბოში მშენებარე ობიექტებს, რომელიც ასევე ცალკე საუბრის თემაა.

აღნიშნულზე საჩივრით მივმართე საქართველოს ახალ იუსტიციის მინისტრს ქალბატონ თეა წულუკიანს, მოვითხოვე თანხის უკან დაბრუნება, მაგრამ ეს საკითხი სამინისტრომ გადასცა ისევ პროკურატურას განსახილველად ე. ი. ეს საკითხიც სხვებთან ერთად მოხვდა ჩემს საერთო საჩივარში და განხილვას ბოლო არ უჩანს.

ამასთან ერთად, უნდა გაგაცნოთ ერთი კურიოზი, რომელიც ამ საქმეს შეეხება.

საბოლოოდ გამასამართლეს უკვე ახლად არჩეული ხელისუფლების პირობებში. უკვე 2013 წელს და მომისაჯეს 2 000 ლარი ჯარიმა (რატომ არ ვიცი), ხოლო საპყრობილეში გადაუდებელი 4 თვე ჩამითვალეს 32 000 ლარი ზარალად, რაც აღარ გადამახდევინეს.

პროცესის დამთავრების შემდეგ მოსამართლეს მოვთხოვე, რომ ჩემთვის დაებრუნებინათ გირაოს თანხა 530 000 ლარი, რომელიც დაიხარჯა პროკურატურის მშენებლობაში. მაგრამ მოსამართლემ განმიმარტა, რომ ეს თანხა არ წარმოადგენს გირაოს, რადგანაც მას ჩემთვის საქველმოქმედო მშენებლობა არ ჰქონდა მისჯილი.

აი, ასე განვითარდა მოვლენები ს/ს „ინჟმშენის“ ირგვლივ ჩემი გირაოთი გამოშვების შემდეგ, არის მთელი რიგი საკითხები, რომელიც ამ ინტერვიუში ვერ გავაშუქე. თუ მკითხველი დაინტერესდება.

სამართლიანობის აღდგენა ჭიანურდება. უნდა დასჯილიყვნენ უკვე გამოვლენილი დამნაშავე პირები — მოქალაქე კახა შენგელია და მოქალაქე **რამაზ ნიკოლაიშვილი**. მათ უნდა აანაზღაურონ ის ზარალი, რაც მიაყენეს ჩვენს ორგანიზაციას, გამოვლინდნენ სხვა დამნაშავეები და დაისაჯონ, რათა შემდგომში აღარ მოხდეს მსგავსი სახის დანაშაულობანი რაც, არადა, განხორციელდა არა მხოლოდ ჩვენი ორგანიზაციის, არამედ სახელმწიფოს წინაშე.

**ირანდა კალანდაძე**
**593 56 11 18**

# ორი წელი და ოთხი მთავარი თავისუფლება

**„საერთო გაზეთი“ საპარლამენტო უმრავლესობის დეპუტატს ზაქარია ქუცნაშვილს ესაუბრა.**

**— ბატონო ზაქარია, უკვე 2 წელია, რაც „ ქართული ოცნება“ ხელისუფლებაშია ხელისუფლებაში თქვენი ყოფნის 2-წლიანი მოღვაწეობა შეგვიფასეთ, რა გააკეთა ოცნებამ განვლილი 2 წლის გნმავლობაში?**

— რა გავაკეთეთ ხელისუფლებაში მოსვლიდან დღემდე, ანუ 2 წლის განმავლობაში? ახლავე მოგახსენებთ. მთავარს და არსებითს, რასაც მე მივიჩნევ, ეს გახლავთ ის თავისუფლება, რომელიც 1 ოქტომბერმა ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვან 4 სფეროში მოიტანა. პირველი, ეს არის მედიასივრცე. მოგეხსენებათ, მედიასივრცეში ყველაზე სახიფათო გავლენა პოლიტიკური გავლენაა, შემდეგ უკვე ფინანსური გავლენა. არ შეიძლება, სიუჟეტი იქმნებოდეს პოლიტიკური კონიუნქტურით ან ანგარებითი მიზნით. შესაბამისად, მთავარი, ანუ პოლიტიკური კონიუნქტურა მედიასთან მიმართებაში მოიხსნა და ამის კარგი გამოხატულება არის ის, რომ დღეს ხელისუფლებას არ აქვს საკუთარი ტელევიზია. შესაბამისად, ჩვენ, როგორც ყველა სხვა სუბიექტს, გვიწევს კონკურენტულ გარემოში სიუჟეტის გატანა. მეტიც, ჩვენ გვქონდა ტელევიზია, და ისიც კი დახურა ბატონმა ბიძინამ, შესაბამისად, უარია ნათქვამი ქართული საზოგადოების ფულის ხარჯვაზე სოციალურ რეკლამაში, რაც, ერთის მხრივ, ნიშნავს იმას, რომ ტელევიზიებში იმდენი ფული აღარ მიდის, როგორც წინათ, მაგრამ მეორეს მხრივ, არ ხდება ხელოვნურად საზოგადოებრივი აზრის ფორმირება. მედიათავისუფლება ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია. მედიათავისუფლება ნიშნავს იმას, რომ არსებობს მეოთხე ხელისუფლება, რომელიც აკონტროლებს პირველ სამს. და თუ ჩვენ შებოჭილი ვართ ორი რამით, ეს არის კანონი და ზნეობა, გამოდის, რომ მედია არის მესამე შემბოჭველი და ძალიან მნიშვნელოვანია, ნებისმიერი ხელისუფლების თავნებობის შესაკავებლად. ვიმეორებ, კანონი, ზნეობა და მედია. თუ კანონი არ გშველის, უზნეო ხარ, თავისუფალი მედია კი არ მოგცემს იმის უფლებას, რომ შენი უკანონობა და უზნეობა არ გამოიტანოს სააშკარაოდ და ამით ნათელი არ გახადოს შენი სახე.



**— შესაძლოა, ხელისუფლებისგან მედია თავისუფალია, არ კონტროლდება, მაგრამ ნაციონალებისგან?!... ნაციონალები დიდ ფულს დებენ მედია-სივრცეში, არაერთი ტელევიზია და გაზეთი იკვებება მათი ფინანსებით....ხელისუფლება კი ამას არ იმჩნევს, რატომ ? დემოკრატია პასუხისგაუცემლობას არ ნიშნავს...ეს საბოლოოდ თქვენ გირტყამთ, თქვენს დისკრედიტაციას ახდენს, არ მეთანხმებით?**

— კარგი კითხვაა. ქეთი, თქვენ მართალი ხართ, მაგრამ მედიათავისუფლება პირდაპირ კვეთაშია ბიზნესის თავისუფლებასთან. მე ვაპირებდი დამესახელებინა ოთხი მთავარი თავისუფლება, მათ შორის, სწორედ ბიზნესის თავისუფლებასაც ვგულისხმობდი. დღეს ბიზნესი თავისუფალია, შეუძლია თავისი ფული წარმართოს იმ პოლიტიკურ ჯგუფში ან იმ ტელევიზიაში, რომელშიც უნდა. აქედან გამომდინარე, ჩვენ ვთვლით, რომ ეს ბევრად ღირებულია, ვიდრე ის, რომ დღეს ამ ბიზნეს-ჯგუფებს დავუწყოთ იგივე კონიუნქტურით მოქმედება, როგორითაც წინა ხელისუფლება მოქმედებდა - ეუბნებოდა, ორ სფეროში არ გაბედოთ ჩვენთან შეუთანხმებლად ფულის ჩადებაო. ეს იყო მედია და პოლიტიკური პარტიები. ჩვენ ეს, რომ გაგვეკეთებინა, მაშინ ის მეოთხე, მთავარი თავისუფლება (ოთხივე თავისუფლების ნუმერაცია პირობითია, ოთხივე თანაბარი დონისაა და ერთმანეთს აძლიერებს და არა ასუსტებს) არ იქნებოდა. მედიათავისუფლება გადის ბიზნესის თავისუფლებაზე. მედიის თავისუფლება აუცილებელია, როგორც ხელისუფლების კონტროლისთვის, შეკავებისთვის, მისი წარმოჩინებებისა თუ ნაკლოვანებების გასაშუქებლად, ასევე ბიზნესის დასაცავად. ასე რომ, ამ შემთხვევაში, მედიათავისუფლება არის მთავარი მიღწევა. მეორე მთავარი მიღწევა კი, როგორც გითხარით, ბიზნესის თავისუფლებაა. დღეს ვერავინ იტყვის, რომ ვიღაცას წაართვეს ბიზნესი, ან ვიღაცის ბიზნესს ვიღაც ეპოტინება.

**— სხვათა შორის, ჯონდი ბაღათურია აცხადებს, რომ ხელისუფლება თავისი წინამორბედის მსგავსად ბიზნესმენებს წილში უჯდება...**

— თუ ჯონდიმ იცის, რომ ვიღაც ვიღაცას ჩაუჯდა წილში, პირდაპირ მითხრას, მომაწოდოს დოკუმენტები და მე პირადად ავიღებ ამ დოკუმენტებს, გადავხედავ, მეტიც, მზად ვარ პრემიერ-მინისტრის დონეზე მივიტანო ეს საკითხი. ეს ჩვენი მიღწევაა, ამ მიღწევას ძალიან ვუფრთხილდები და არავის აქვს უფლება, რომ ეს მიღწევა შელახოს. ასეთი შემთხვევები, რომ იყოს დარწმუნებული ვარ, თავისუფალ მედია-გარემოში, ეს დაფარული არ დარჩებოდა, მით უმეტეს, ნაცმედიაში. მოკლედ, მეორე მთავარი მიღწევა თავისუფალი მეწარმეობაა. მესამე მთავარი თავისუფლება კი საარჩევნო გარემოს თავისუფლებაა. და როცა საარჩევნო გარემოს თავისუფლებაზე მეკითხებიან დილეტანტები, რას ნიშნავს საარჩევნო გარემოს თავისუფლებაო, ვპასუხობ, მთავარი საარჩევნო გარემოს თავისუფლებაში ამომრჩევლის ნების თავისუფლად ფორმირების პროცესი და ხმების დათვლის თავისუფლებაა. დიახ, ეს არის ორი მთავარი ღირებულება. ამომრჩევლის ნების თავისუფალი ფორმირება ნიშნავს იმას, რომ არჩევანის ჩამოყალიბებაზე არავინ უნდა მოახდინოს უკანონო, ძალადობრივი ან ანგარებითი ზეგავლენა. და ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველოში ამას წერტილი დაესვა. ჩვენ მივისწრაფით ევროპული პარტიული სისტემისკენ, ეს არის, დაახლოებით, 10 პარტიული სისტემა, როცა მონაცვლეობით 10 პარტია არსებობს და ყველას აქვს შანსი მოხვდეს ამ საუკეთესო ათეულში. დღეს პარლამენტში უკვე არსებობს 7 პარტიული სისტემა, რა თქმა უნდა, 2 პოლიტიკურ ჯგუფად დაყოფილი 7 პარტიული სისტემა, მაგრამ უკვე გამოიკვეთა 2 ოპოზიციური პარტია - ნინო ბურჯანაძის გაერთიანებული დემოკრატები და ირმა ინაშვილის ალიანსი, რომლებმაც გადალახეს ბარიერი. უკვე შეიძლება ითქვას, რომ ქართული პარტიული სისტემა 9 წარმატებული პარტიისგან შედგება. რა თქმა უნდა, ამ 9 პარტიას განსხვავებული მხარდაჭერა აქვს, მაგრამ აკმაყოფილებს იმ დადგენილი კვალიფიციური პარტიის მოთხოვნებს. მეოთხე თავისუფლება არის სასამართლო თავისუფლება. თქვენ იცით, რომ თუ ვინმე გვსაყვედურობს ამაზე, ჩვენივე მხარდამჭერები. მათ მიაჩნიათ, რომ ის, რაც გავაკეთეთ არასწორია, ანუ ჯოხით რომ არ გავყარეთ დისკრედიტებული მოსამართლეები, არ ვიკადრეთ ის, რაც მიშამ 2004-05 წლებში იკადრა. ამბობენ, რომ ეს არის ჩვენი შეცდომა. ვფიქრობ, ეს შეცდომა არ არის, რადგან ის მექანიზმები, რა მექანიზმებიც არსებობს დისციპლინარული დევნისთვის დღეს საკმარისი არ არის სასამართლოში არსებული ბალანსიდან გამომდინარე დევნის საწარმოებლად. დევნა არ შეიძლება თვითმიზანი იყოს და ეს არის ჩვენი პრინციპული პოზიცია, ამიტომაც სასამართლო ხელისუფლებასთან მიმართებაში ჩვენ ავირჩიეთ არა რევოლუციური გზა, არამედ ევოლუციური გზა.

**— რა არ გააკეთა ხელისუფლებამ, რომელი დაპირება დარჩა დაპირებად და რა მიგაჩნიათ თქვენს მთავარ შეცდომად?**

— ჩვენ მთავარ შეცდომად პრემიალური და საკადრო სისტემის ნაკლოვანებები მიმაჩნია. პრემიალური სისტემის გადახედვა და შებოჭვა ჩინოვნიკების პრემიების განაწილების ნაწილში ძალიან გვიან მოხდა. მთავარი გამოწვევები კი, რაც რჩება, არის სიღარიბე და უმუშევრობა. ეს საქართველოს სამი ათწლეულის მთავარი გამოწვევაა. პირველი ათწლეულის გამოწვევაც ეს იყო, მეორე ათწლეულის გამოწვევაც და მოგეხსენებათ, 2011 წლიდან დაიწყო მესამე ათწლეული, რაც დამოუკიდებელ ქვეყანას ვაშენებთ და 2011 წლის მესამე ათწლეულის გამოწვევის მთავარი პრობლემაც ეს არის. შეუძლებელია, შევპირდეთ ჩვენს მოქალაქეებს სიღარიბისა და უმუშევრობის დამარცხებას, თუ ის ბალანსი, რაც დღეს არის დასაქმებულთა და შესანახთა მიმართებაში არ შეიცვალა, პირიქით. დღეს ერთ დასაქმებულზე მოდის სამი შესანახი პირი. და შეუძლებელია, ამ სისტემაში, ამ სუსტი ეკონომიკის პირობებში, რომ შექმნა თვითმკმარი ძლიერი სოციალური უსაფრთხოების სისტემა, იმიტომ რომ ერთი დასაქმებული, როცა ინახავს სამ შესანახ პირს, შეუძლებელია, სისტემამ გაუძლოს. ეს მიღწევადი იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პირიქით შეიცვლება სიტუაცია. ანუ 3 დასაქმებულზე მოვა ერთი შესანახი. და ეს როგორ მიიღწევა ?ეკონომიკა უნდა შევქმნათ. ამიტომაც მიმაჩნია, რომ თავისუფალი მეწარმეობა, შექმნის ნოყიერ საფუძველს შეჯიბრისთვის, განვითარებისთვის, რადგან მეწარმეს უკვე აღარ ეშინია განვითარების, იმის, რომ ქონებას წაართმევენ, იმის, რომ მოგებაში ვიღაც წილში ჩაუჯდება და ა.შ. ამიტომაც მივიჩნევ, რომ ბიზნესის თავისუფლება არის მთავარი საფუძველი ეკონომიკის შექმნის, ეკონომიკის შექმნა არის მთავარი საფუძველი სამუშაო ადგილების შექმნის, სამუშაო ადგილების შექმნა არის სიღარიბის დამარცხების საფუძველი, აი, ეს არის, ლოგიკური ჯაჭვი. რა თქმა უნდა, სხვა ცალკეული მიღწევებიც არის, მაგრამ, როცა ვაჯამებთ 2-წლიან მუშაობას, მე, ძირითად აქცენტს, არსებითზე ვაკეთებ, თორემ ცალკეული მიღწევები არის იგივე განათლებისა და ჯანდაცვის სფეროში, პოლიციურ სისტემაში და ა.შ. ვიმეორებ, არსებითზე ვლაპარაკობ (გაზეთის ფურცლებიც არ დაიტევს, რომ ჩამოვთვალო ამ სფეროებში მომხდარი მიღწევები). არაარსებითიც არ არის ნაკლებად მნიშვნელოვანი, მაგრამ ისეთზე უნდა გავაკეთოთ აქცენტირება, რაც გრძელვადიანი თვალსაზრისით, სარგებელს მოგვიტანს. მოკლედ, ჩვენი ამოცანაა, შევეჭიდოთ იმ სამიათწლეულის მთავარ გამოწვევას, რაც არის, სიღარიბე, უმუშევრობა, უსაფრთხოება და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა.

**ზაქარია ქუცნაშვილი: „ჩვენი ამოცანაა, შევეჭიდოთ იმ სამიათწლეულის მთავარ გამოწვევას, რაც არის, სიღარიბე, უმუშევრობა, უსაფრთხოება და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა.“.**



**ქეთი ხომერიკი**
592 53 53 03

M K

„მარად და ყველგან, საქართველო, მე ვარ შენთანა...“
ილია

# პატრიოტი

„საერთო გაზეთის“ დამატება

№34, ოქტომბერი, 2014 წ.



# ოთარ ჭილაძე

## ფრაგმენტები წიგნიდან „ჩანაწერები“

● ჩვენ თუ მართლა თავისუფლებას ვესწრაფვით, ანუ, თუ მართლა თავისუფლებისათვის ვიბრძვით, ჩვენს შორის ნებისმიერი დაპირისპირება — სოციალური იქნება ის თუ ინტელექტუალური — დაუშვებელია. ჩვენ ყველანი ერთად უნდა გავთავისუფლდეთ: ურწმუნონიც და მორწმუნენიც, უვიცნიც და მცოდნენიც, უცოდველნიც და ცოდვილნიც, უპოვარნიც და მდიდრებიც, უნიჭონიც და ნიჭიერნიც... არც ერთი ხალხი მარტო მორწმუნე ან მარტო მდიდარი ადამიანებისგან არ შესდგება, სადაც ალხანაა, იქ ჩალხანაცაა. რასაკვირველია, თუკი ხალხი ვართ და არა ტომი, ეთნიკური ჯგუფი, ანდა კიდევ უარესი — რელიგიური სექტა. ჩვენ, საბედნიეროდ, ხალხი ვართ, თანაც ერთ-ერთი უძველესი ხალხი დღევანდელ მსოფლიოში და უპირველეს ყოვლისა, დადასტურებულია ჩვენივე ისტორიით, ჩვენივე ბუნებით, ჩვენი კულტურით...

● **ვინც გარეწარს ხელს ართმევს, თავადაც გარეწარია. გარეწრობა გადამდებია, შეხებითაც გადადის. ამიტომაც დავლპით ზეზეულად, გარჩევა არ არის. ან გვეშინია, ან გვერიდება, ან იმ წუთას ასე მიგვაჩნია საჭიროდ. მეორე წუთს კი შენც იმისთანა ხდები, შენდაუნებურად. შენდაუნებურად კი არა, შეგნებულად, მიზანდასახულად, რადგან იცი, როგორ უნდა მოიქცე და მაინც ისე იქცევი, როგორც არ მოიქცეოდი, სიმტკიცე რომ გქონებოდა, ღირსება რომ შეგენარჩუნებინა.** არ ჩამოვართვათ ხელი გარეწქრებს, თუ გინდათ, რომ გადავრჩეთ. ყველანი გადავრჩებით. ღარიბი, მაგრამ პატიოსანი ცხოვრება ყველა სატკივარს ჩაგვიწყნარებს თანდათანობით და, ერთ მშვენიერ დღეს, მოულოდნელად, ენით უთქმელი შვებითა და ნეტარებით ვიგრძნობთ... თუმცა არა! ჩვენ შეიძლება ვერ ვიგრძნოთ, მაგრამ ჩვენივე სიბინძურიდან, ჩვენივე სიბნელიდან პეპელასავით ამოფრინდება ჩვენი განწმენდილი და, რაც მთავარია, გადარჩენილი სული!

● რატომ გარბიან საქართველოდან ქართველები? მარტო ეკონომიკური სიდუხჭირის ბრალია? პოლიტიკური მოსაზრებით სტოვებენ სამშობლოს? მე მგონი, უფრო სერიოზულ მოვლენასთან გვაქვს საქმე. ქართველებს მობეზრდათ ქართველობა. დაიღალა, გაწამდა. ქართველობა მხოლოდ ეროვნება არ არის — გარკვეული თვალსაზრისით, სასჯელიცაა და, რაც ყველაზე ძნელი ასატანია, სასჯელია ჩაუდენელი დანაშაულისთვის. მხატვრულად რომ ვთქვათ, ქართველი ძირგახვრეტილი ნავის მგზავრია და, გადარჩენა თუ უნდა, განუწყვეტლივ წყლის სახაპავი უნდა ეჭიროს ხელში — ერთი წამითაც თუ მოხუჭა თვალი, ნავი წყლით აივსება. ეს ნავი მისი სამშობლოა, საქართველო, რომელსაც საუკუნეების მანძილზე უბურღავდნენ ძირს აშკარა თუ შენიღბული მტრები. საბჭოთა ხელისუფლებამ ყველაზე ვერაგული გამოსავალი ნახა საქართველოს მოსასპობად — ქართველი „გაათავისუფლა“ ქართველობისგან, ანუ თანდათანობით დაუჩლუნგა, მოუსპო ეროვნული



ღირსების გრძნობა. აქედან გამომდინარე, ქართველის „გადაჯდომა“ ძირგაბურღული ნავიდან (საქართველო) სხვა, უფრო საიმედო ნავში (რუსეთი, საბერძნეთი, კვიპროსი, გერმანია...) სამშობლოს ღალატად კი არ ითვლება, არამედ გადარჩენად. გაქცეულებს არათუ რცხვენიათ, უკაცრავად, გამომწვევადაც უჭირავთ თავი — აი, როგორი ჭკვიანები, როგორი მოხერხებულები აღმოვჩნდით ჩვენო! დარჩენილებს დასცინიან კიდეც, რას უდგეხართ, წამოდით მაგ ძირგახვრეტილი ნავიდანო.

● თურქეთი და რუსეთი ერთი და იგივე მოვლენაა, ორად გაყოფილი, თხილის სატეხის ორი ყბაა — თხილი კი საქართველოა.

● წესად იქცა უკვე, შვილები უცხოეთში, მშობლები შინ, აქ, ეგრეთწოდებულ სამშობლოში. მაგრამ უბედურება ისაა, რომ ეგრეთწოდებული სამშობლოც უკვე დროებითი ცნებაა: მშობლები დაიხოცებიან, შვილები კი აღარ დაბრუნდებიან უკან, ან ისეთები აღარ დაბრუნდებიან, აქაურობას რომ სჭირდება, პირვანდელ სახეს რომ დაუბრუნებს აქაურობას. დაფიქრდით, ვიდრე კიდევ დროა! თუ ქართველობა და საქართველო აღარ გინდათ, განა ღირს კი, საერთოდ, თქვენი სიცოცხლე?!

● **ვიდრე ჩემი სამშობლოს, ჩემი ხალხის ბედი არ გაირკვევა, ვიდრე ჩვენს არსებობას არ აღიარებს და არ შეეგუება დანარჩენი მსოფლიო, ჯიუტად, უსასრულოდ გავიმეორებ იგივეს, რაც აქამდე მითქვამს ლექსითაც და პროზითაც...**

● როცა ილია ჭავჭავაძე „საახალწლო მოლოცვას“ წერდა, მიუხედავად იქ აღწერილი ეროვნულის სიბნელისა, სიძაბუნისა, ქვეყანას, ხალხს, მაინც მისალოცად ჰქონდათ საქმე: ნელა, მაგრამ აშკარად ილვიძებდა, გამოდიოდა საუკუნოვანი ძილისგან, უკვე არჩევდა ღამურას მერცხლისაგან... დღეს გაცილებით უარესი მდგომარეობაა, დღეს პირიქითაა — კი არ ფხიზლდება — შეგნებულად ბრიყვდება, ძილიდან კი არ გამოდის, უფრო ღრმად ეფლობა ძილში, როგორც კამეჩი — ტალახში, მერცხალს ღამურა ურჩევნია და არავის დანახვა არ უნდა გაიძვერა-მოყვარის გარდა...

● საბერძნეთში (რასაკვირველია, სხვა ქვეყნებშიც), ე. წ. ქართულ დიასპორაში ამ ბოლო 10 წლის მანძილზე დაბადებულმა ბავშვებმა, თურმე, საერთოდ არ იციან ქართული... მშობლებს კი მაინც სჯერათ, კარგად რომ მოიქცნენ, დაღუპვას რომ გადაარჩინეს შვილები; არადა, მხოლოდ დააჩქარეს, გნებავთ, გარდაუვალი გახადეს მათი დაღუპვა, რადგან ისინი უკვე საბერძნეთის მომავალს ეკუთვნიან და, ადვილი შესაძლებელია, სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, როდესმე დაუპირისპირდნენ კიდეც საქართველოს... აი, რამდენად საზარელია სულიერი, გენეტიკური სიკვდილი, თუნდაც შიმშილით სიკვდილთან შედარებით.

ძვირფასო მეგობრებო, შემოგვიერთდით გაზეთ „პატრიოტის“ მეგობართა კლუბში.
ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით:
593 44 04 01; 597 93 93 79; (2) 14 40 19; (2) 34 28 97.
რედაქციის მისამართი: თბილისი, დ.აღმაშენებლის გამზ., 164, II სართ.

# სამშობლოსათვის აქ, სამშობლოში, უნდა იბრძოლო

**„საერთო გაზეთის“ სტუმარია მინისტრი დიასპორის საკითხებში ბატონი გელა დუმბაძე.**

**„ს.გ.“: — ბატონო გელა, საზოგადოება თქვენ გიცნობთ როგორც ინიციატივიან, სიახლის მოყვარულ, სახელმწიფოებრივად მოაზროვნე ადამიანს. ვფიქრობთ, ასეთი ადამიანის ყოფნა ხელისუფლებაში ქვეყნისთვის სასარგებლოა.**

**თქვენ რამდენიმეჯერ გამოხვედით ტელევიზიით, მაგრამ მოდით, კიდევ ერთხელ, ამჯერად ჩვენს მკითხველებს გააცანით თქვენი გეგმები.**

**გელა დუმბაძე**: — დასაწყისიდანვე ვიტყვი, რომ, როცა დიასპორაზე არის საუბარი, უნდა ვთქვათ, რომ ყველა დიასპორას თავისი სპეციფიკა აქვს — არსებობს ისტორიული დიასპორა, არსებობს ახალი ემიგრაცია და ა.შ.

ისტორიული დიასპორაა ის ადამიანები, რომლებიც სხვა ქვეყნის მიერ ტერიტორიების დაპყრობის შემდეგ აღმოჩნდნენ უცხო ქვეყნის მმართველობის ქვეშ.

საბჭოთა კავშირის ნგრევის შემდეგ ქვეყნიდან გასულ ადამიანთა დიდი ნაკადი არის ჩვენთვის ახალი დიასპორა.

უახლოეს ხანებში სამუშაოს საძიებლად უცხოეთში წასული არალეგალები ჩვენ არ გვეხება, მაგრამ მაინც ვცდილობთ, დავეხმაროთ, თუნდაც პროვაიდერის ფუნქცია შევასრულოთ, ან ჯანდაცვის სამინისტროებთან, ან მიგრაციის კომიტეტთან, რომელიც ახლახან შეიქმნა შს სამინისტროში.

გასულ კვირას თურქეთის რესპუბლიკაში ვიყავი. უპრეცედენტო ვიზიტი იყო — კვირის განმავლობაში 15 ქალაქი მოვიარეთ. ვნახეთ ისტორიული ქართული დიასპორა. ვიყავით ტაო-კლარჯეთში. მოვინახულეთ იშხანი, ხახული, ოშკი, ოპიზა და ა.შ. ამ ვიზიტით, საუბრებით, ურთიერთგაგებით, ის საქმე გაკეთდა, რომ დიასპორის წარმომადგენლების მნიშვნელობა გაიზარდა იმ ქვეყანაში.

მიხარია, რომ მოვახერხე და უკრაინიდან ჩამოვიყვანე 130 ბავშვი, რომლებმაც ანაკლიაში დაისვენეს. ქვეყანამ გააკეთა ძალიან კულტურული, ჰუმანიტარული აქტი, რადგან უკრაინას ჩვენთვის არაერთხელ აქვს დახმარება გაწეული ჩვენთვის ისტორიულად რთულ პერიოდებში.

არ ვაპირებ ჩემს შემდგომ მივლინებებს კომფორტულ ქვეყნებში, დავუშვათ, როგორიც არის ესპანეთი, აშშ და ა.შ. პირველ მივლინება მექნება ფერეიდანში, მინდა მოვიწვიო ის ფერეიდნელები, რომლებიც საქართველოში ცხოვრობენ. მითხრეს, რომ 60 ფერეიდნელი ცხოვრობს საქართველოში. ვაპირებ, თითოეული მათგანი გავიცნო პირადად.

ნოემბრის ბოლოს საინგილოში მივდივარ.

მე გარკვეულ ხანს აზერბაიჯანში საქართველოს საელჩოში ვმუშაობდი და ინგილოების პრობლემები ჩემთვის კარგად არის ცნობილი, მით უმეტეს, რომ ალიბეგლოში ილ. ჭავჭავაძის სახელობის თეატრში ჩემი სპექტაკლი „ღამის სტუმარი“ დაიდგა.

წელან დიასპორათა სპეციფიკაზე ვსაუბრობდი და მინდა თქვენმა მკითხველმა კარგად გამიგოს, მაგალითად, რუსეთში, სადაც ჩვენი საელჩო არ არსებობს, მე არ მეძლევა საშუალება იქ ჩასული მილიონობით ქართველი მოვინახულო, მოვეფერო და გავესაუბრო. სამაგიეროდ, მაგალითად, საბერძნეთში ჩასული ჩვენი მოქალაქეების პრობლემები კარგად ვიცი და იმ ქალბატონების საქციელს შემიძლია სოციალური გმირობა ვუწოდო. ქედმოხრით ვუძღვნი მათ პატივს თქვენი გაზეთის მეშვეობით.

დაახლოებით მილიარდნახევარი დოლარი შემოდის მათი გზავნილების სახით. ახლა ვაპირებთ გადმოგზავნა გავაიაფოთ და საპილოტე გეგმის მსგავსად, შევეცადოთ ბანკთან შევათანხმოთ, რომ შეღავათიანი გახდეს ეს პროცესი. ბევრ სხვა თემაზეც აქტიურად ვმუშაობთ.

12-დან 18 ოქტომბრამდე დაგეგმილი გვაქვს დიასპორული კვირეული, რომელიც დიასპორულ ინვესტიციებს შეეხება.

**„ს.გ.“: — გახსოვთ, ალბათ, როცა ბიძინა ივანიშვილმა პოლიტიკაში შემოდგა ფეხი, ერთ-ერთი პირველი, რაც თქვა, იყო ეს: შვილი დედამ უნდა გაზარდოსო. შვილი დედამ რომ უნდა გაზარდოს, ყველამ ვიცით, მაგრამ ამ ადამიანმა თქვა ის, რომ თუ შვილი დედამ არ გაზარდა, ის მოქალაქედ ვერ ივარგებს.**

**რამდენი ბავშვია დღეს საქართველოში, რომლებიც უდედოდ იზრდებიან?! წყდება კავშირი არა მარტო შვილსა და მშობელს შორის, არამედ უფრო ღრმა პროცესი მიდის.**

**გელა დუმბაძე**: — სამწუხარო ამბავია, რომ საზოგადოებასა და ოჯახში ქალის დომინირების საკითხი იწევს წინა პლანზე და მამაკაცის როლი კნინდება. ამას ქვეყანამ უნდა მიხედოს.

აი, მაგალითად, ჩვენ 1 აგვისტოს გავხდით საერთაშორისო დიასპორული ჩართულობის ალიანსის წევრი. ეს ორგანიზაცია აშშ-ში შეიქმნა და ამერიკელები თვითონ მიხვდნენ, რომ დიასპორა ეს არის უზარმაზარი ძალა. ამერიკაში კი არა კენიაში მიხვდნენ, სომხეთში, აზერბაიჯანში ჩემს კოლეგას აზერბაიჯანში 400 მლნ მანათი აქვს ბიუჯეტიდან. ეს ნახევარ მილიარდ დოლარს შეიცავს.

**„ს.გ.“: — თქვენს სამინისტროს რამდენი გაქვთ?**

**გ. დუმბაძე**: — 800 000 ლარი, შემდეგ წელს მილიონ ლარს გვპირდებიან. ეს ზღვაში წვეთია, მაგრამ ჩვენ ვითვალისწინებთ, რომ სახელმწიფო ბიუჯეტი არც ისე ძლიერია.

ჩვენ ახალგაზრდა დემოკრატიის სახელმწიფო ვართ, ბევრი რამ ახლა შენდება. ახალი სქემები მოდის, ახალი რეკომენდაციები იგივე ევროსაბჭოსაგან და ა.შ. თუმცა მაინც დიდი იმედი მაქვს, რომ ყველა მივა იმ დასკვნამდე, ხალხიც, ხელისუფლებაც, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ჩვენს დიასპორასთან მჭიდრო, აქტიური ურთიერთობა.

დღეს ციფრულ სამყაროში ერთიანი სივრცეა შექმნილი, რაც ურთიერთობის ახალ ფორმებს და საშუალებებს გულისხმობს.

თუ არ დაუძახე, თუ არ მოეფერე, ტელევიზიაში არ მოიწვიე, გაზეთში არ დაბეჭდე, ის უახლოვდება სხვას და ნელ-ნელა ხდება, მაგალითად, უცხოელი მწერალი, როგორც ჩხარტიშვილი გადაიქცა აკუნინად. თავის დროზე, როცა გული ჰქონდა გახსნილი, ვინ დაუძახა, ვინ შეწუხდა?!

ამიტომ, ჩვენ რომ არ ვიქცეეთ დახურულ ორგანიზაციად, გვსურს შევქმნათ საზოგადოებრივი საბჭო და თქვენნაირი ხალხი მოვიწვიოთ. აქ იქნება დარბაზი, შევიკრიბებით და ვისაუბრებთ კომპლექსურ თემებზე.

დიასპორის კონცეფცია, რომელიც ახლახან ჩამოვაყალიბეთ, სულ მალე დაიბადება, ერთი თვის განმავლობაში აუცილებლად, რადგან ფაქტობრივად, მზადაა უკვე. ჩვენ პირველებმა დავდეთ, სხვათა შორის, მედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის კონცეფცია, რომელიც ჩვენს ვებ-საიტზე არის გამოტანილი.

ერთ-ერთი პირველი ვიქნებით ჩვენ, ვინც დიასპორისადმი ზოგად ხედვას დადებს ინტერნეტსივრცეში. ერთი თვის განმავლობაში აუცილებლად იხილავთ ამას.

ყველა ეთერს და მედიასაშუალებას ვიყენებთ. მე მინდა ჩვენი სამინისტრო გახდეს დიასპორების ნომერ პირველი დამცველი და დარწმუნებული ვარ, ასეც იქნება.

მე ვიცი ეს საკითხები, 1998 წლიდან ვმუშაობ ამ თემებზე.

დიასპორის სამინისტრო ჯერ არც კი იყო შექმნილი, როცა 2004 წელს საგარეო საქმეთა სამინისტროში დიას-



**გელა დუმბაძე —**

**დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი.**

**იყო საბავშვო ესთეთიკურ-საგანმანათლებლო სასწავლებლის დირექტორი; კითხულობდა ლექციებს სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებსა და საშუალო სკოლებში. სხვადასხვა პერიოდში მუშაობდა საგარეო საქმეთა სამინისტროს დიპლომატიურ თანამდებობებზე, აგრეთვე საქართველოს საელჩოებში: მინიჭებული აქვს უფროსი მრჩევლის დიპლომატიური რანგი.**

**მისი პირველი კრებული „ყვითელი ტროლეიბუსი“, გამოიცა 1996 წელს, ხოლო ნოველების მეორე კრებული „მე მორბენალი“ - 2006 წელს. ავტორის პიესები დადგმულია სხვადასხვა თატრებში.**

**გატაცებულია ფერწერით. მისი ნამუშევრები გამოფენილია ქ. თბილისში გალერეა „Artgaller line“-ში. 2012 წლის ივნისში ქ. კიევის გალერეა „Artholl“-ში.**

შეხვედრა სტუდენტებთან



პორის სამმართველოს უფროსი გახლდით.

მე დღესაც ენერგიას არ ვზოგავ იმისთვის, რომ ყველას ვუმასპინძლო. ყველას მინდა მივმართო: ვინც ჩამოვა უცხოეთიდან, ყველამ გააღეთ კარები და შემოდით. პირადად მიგიღებთ. ხშირად შეგვაწუხეთ, არ მოგვასვენოთ, რომ წინ წავწიოთ საქმე.

გვინდოდა მასწავლებლების ჩართვა ჩვენს პროექტებში. პორტუგალიაში, იტალიაში, სხვაგან, წავა და ქართულს ასწავლის ეს მასწავლებელი, წარმოიდგინეთ, რა კარგი რამ იქნება ეს.

ჯერჯერობით, ვერ ხერხდება, მაგრამ, იმედია, განვახორციელებთ ამ ჩანაფიქრს.

ახლა უცებ გამახსენდა, ნანახი გექნებათ ფილმი „ვიღაცამ გუგულის ბუდეს გადაუფრინა". იქ „დანიძლავდებიან", ვინ ამოგლეჯს შადრევანს. ფილმის გმირს, რომელიც შადრევნის ამოგლეჯას ცდილობს და ვერ ახერხებს, დასცინიან. ის ამბობს სიტყვას, რომელიც ჩემი დევიზი გახდა: მე შევეცადე მაინც...

**„ს.გ.": რუსეთში, ჩვენს მეზობელ სახელმწიფოში, ალბათ, ყველაზე მეტი ქართველია წასული, ძირითადად, სამეგრელოდან და აფხაზეთიდან. იქ თაობები არის დაბადებული, რომლებსაც საქართველო საერთოდ არ უნახავთ. მოწყვეტილნი არიან მთლიანად ქართულ კულტურას. მათ არ იციან ქართული, არ იცნობენ საქართველოს ისტორიას. რით შეიძლება ამ პრობლემას ეშველოს?**

**გელა დუმბაძე**: — მე დიდი იმედი მაქვს, ჩვენი სამინისტროს გარდა, ამ საკითხებს სხვა უწყებებიც მიხედავენ. მაგრამ ერთი რამის თქმა შეიძლება, სახელმწიფო ხედვა, იგივე რუსეთთან ურთიერთობის ფორმები, მკაფიოდ უნდა იყოს ჩამოყალიბებული.

ჩვენ ერთი პერიოდიდან მოვდივართ — ეროვნული მოძრაობა, 1987 წელი და ა.შ. და გეხსომებათ, თქვენ რუსეთთან ჩვენი დამოკიდებულებები და სხვ. ახლა სხვა თაობა მოდის, ამბობენ: რას ერჩით რუსეთს, ჩვენ აქ მშვენივრად გვაცხოვრებენო.

2007-09 წლებში რუსეთში ვმუშაობდი და წარმოიდგინეთ, იმ პერიოდშიც კი ძალიან კარგი დამოკიდებულება იყო ქართველების მიმართ.

აქედან გაგზავნილ მესიჯებს რუსეთისთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. როცა სააკაშვილი გამოდიოდა და პუტინს ლილიპუტინს ეძახდა, მაშინ ქეჩოში ურტყამდნენ იქ ქართველებს და ისე ექცეოდნენ, როგორც ნახირს.

ძალიან ადვილია შიდა ბაზრისთვის ხმამაღალი განცხადებები და ქულების ჩაწერა, მთავარია, ნებისმიერი ქართველი, რუსეთში ყველაზე ღრმა სოფელშიც კი თავს გრძნობდეს დაცულად და შენი ნათქვამის გამო ყური არ აახიონ.

საქართველოს მოქალაქეებს სააკაშვილი აქ უწყობდა პროვოკაციებს და ეს ამბავი დღესაც გრძელდება. „ნაცმოძრაობა" აგრძელებს ისევ სააკაშვილის პროვოკაციებს.

ახლა დაიწყეს, ვლადიმერ ხომერიკი აგენტიაო. შეიძლება ასეც არის, ამის შესახებ არაფერი ვიცი, მაგრამ რას ნიშნავს ასეთი საუბრები?



ხომერიკი ჩემთან ბრძანდებოდა, ზურაბ აბაშიძემ მოიყვანა. როგორც გავიგე, მას მიესვლება რუსეთის გარკვეულ წრეებში. საქართველოს ხელისუფლებას ყველგან უნდა ჰქონდეს დიალოგი. ჩემთვის მნიშვნელოვანია ის, რომ ქვეყანას, რომელსაც ჰქვია საქართველო, როგორ და რითი დაუჭერენ მხარს.

სხვათა შორის, ვლადიმერ ხომერიკმა გააკეთა იმის ორგანიზება, რომ ქართული პოეზიის ანთოლოგიას გამოსცემენ რუსულად და ამის გამო აგენტის იარლიყი მივაკეროთ?!

არ ვიცი, მაგრამ მას, ალბათ, უყვარს რუსეთი, მაგრამ ამის გამო ის ქართველი აღარ არის?! ვიღაცას სინგაპური იყვარს, ის სინგაპურის აგენტია?!

**ამას აკეთებენ ის ადამიანები, რომლებიც თვითონ არიან აგენტები.**

**ასეთი ლაპარაკი არ შეიძლება. იმის შიშით, რომ ვინმემ აგენტი და გამყიდველი არ უწოდოს, კარგი საქმის კეთების ხალისი არ უნდა დავუკარგოთ ადამიანებს.**

ბატონმა ზურაბ აბაშიძემ, ბატონმა ხომერიკმა და მე იმ შეხვედრისას ვისაუბრეთ, რომ, აუცილებელია, ჯანსაღი დიალოგი გაიმართოს ახალ თაობებს შორის, რუსეთში მყოფ ქართველებსა და საქართველოში მყოფებს შორის, ეს შეხედულებები გაუზიარონ, რეალურად იგრძნონ, რომ ისინი საჭირო არიან ამ ქვეყნისთვის და დაიწყონ ფიქრი იმაზე, რაც ვერ დაალაგა ჩვენმა თაობამ, შეძლონ და დაალაგონ თვითონ.

აი, დავიწყეთ საუბარი დიასპორის საკითხებზე და გადავედით გლობალურ თემებზე. მე ერთი სურვილი მაქვს — ჩვენ უნდა შევქმნათ პოლიტიკური თამაშის ახალი წესები და დავნერგოთ ქვეყანაში ახალი პოლიტიკური ფილოსოფია.

**„ს.გ.": — ერთია პოლიტიკური ფილოსოფია და მეორეა პოლიტიკური სინტაქსი. როგორ შეიძლება ადამიანს სურდეს პოლიტიკაში შემოსვლა და არ იცოდეს პოლიტიკა, თან ყოფელივე ამას ცდილობდეს აგრესიით.**

**გელა დუმბაძე**: — სულმნათმა აკაკი ბაქრაძემ თქვა: ჩვენ, ქართველებმა გამოვუშვით ჯინი ბოთლიდან. სამწუხაროდ, ქართველებმა გავაკეთეთ ის, რომ პოლიტიკა გავხადეთ სალაყბო თემად, არადა, პოლიტიკა რთული რამაა.

ქართველთა უმრავლესობა რაღაც გამოთქმას იშველიებს, რომ, თითქოს, „პოლიტიკა ბინძური საქმეა". პოლიტიკა არის ძალიან რთული, ცოდნაზე და ფილოსოფიაზე დაფუძნებული, მაგრამ გაიხსენეთ, რა თქვა ვაცლავ ჰაველმა: „პოლიტიკა კრისტალურად სუფთა ადამიანებმა უნდა აკეთონო". პოლიტიკა არის ღრმა ცოდნაზე და ფილოსოფიაზე დაფუძნებული რთული ხელოვნება.

პოლიტიკოსი ყოველგვარი ანგარებისგან თავისუფალი უნდა იყოს.

ხალხს მაგალითით უნდა აძლევდეს პოლიტიკოსი.

პატიოსანი იყავი, გულწრფელი, ეს ნიშნავს დიდ პოლიტიკას.

**„ს.გ.": — დიდი მნიშვნელობა აქვს ყოველივე ამის ფართოდ აფიშირებას.**

**გელა დუმბაძე**: — ბევრი რამ კეთდება დღეს საქართველოში, თუმცა ტელევიზიებით მხოლოდ მკვლელობები შუქდება. დღეს საქართველოში გზებიც კეთდება, სასოფლო-სამეურნეო პროექტებიც ხორციელდება, სახელმწიფომ გაფუჭებული ვაშლიც კი ჩაიბარა, რაც შეეხება რთველს 150 მლნ-ზე მეტი ლარი შემოვიდა უკვე.

**„ს.გ.": — ჯანდაცვის სფეროშიც მნიშვნელოვანი რეფორმები გატარდა.**

**გელა დუმბაძე**: — დავით სერგიენკოს სახით საქართველოს დღეს ჰყავს ძალიან მნიშვნელოვანი სპეციალისტი. უჭკვიანესი, რაფინირებული ადამიანი, შესანიშნავი მინისტრი.

**„ს.გ.": — არაფრით არ შეიძლება პიარის უგულებელყოფა. რასაც აკეთებ კი არა, რისი გაკეთებაც გინდა, ისიც უნდა აჩვენო ადამიანებს, სხვანაირად როგორ დაამყარებ კავშირს მოსახლეობასთან? ქვეყნის ცხოვრება ხომ პოლიტიკოსის, ხელისუფლებისა და მოსახლეობის მჭიდრო ურთიერთობაში უნდა დაიბადოს?!**

**გელა დუმბაძე**: — ახლა საშუალება მაქვს და მინდა მოვუწოდო მედიის წარმომადგენლებს — პირველად, როცა მე დავინიშნე, ვთქვი ხმამაღლა: მედია არის ჩვენი საზოგადოების წევრი და ყველა ადამიანი, ყველა ჟურნალისტი, როცა ასრულებს საქმეს, იფიქროს შვილებზე, რას მოუტანს მისი საქციელი მის შთამომავლობას.

არის ქვეყნები, სადაც პირდაპირ არის ჩადებული მედიასტრატეგიაში ის მომენტი, რომ კონკრეტულ გადაცემაში პოზიტივს უნდა დაეთმოს 70%, ნეგატივს — 30%. ჩვენთან არის პოზიტივი 10%, ნეგატივი — 90%. სისხლიანი დანის ჩვენება, ატირებული ბავშვების, კივილის და უბედურების, რა ტენდენციაა ეს?!

**„ს.გ.": — სააკაშვილის ყველაზე დიდი დანაშაული ის არის, რომ მან თავიდან ბოლომდე გააუპატიურა მედიასივრცე.**

**გელა დუმბაძე**: — ჩვენ ვართ საზოგადოების მეტ-ნაკლებად გამოცდილი ნაწილი, ამიტომ ჩვენ უნდა ვიმსჯელოთ ამ საკითხებზე. მე არ მეშინია ცვლილებების, არც თანამდებობის დაკარგვის. კარგად არ იმუშავებს გელა დუმბაძე? — უნდა გათავისუფლდეს.

**„ს.გ.": — ცუდი ტენდენცია წამოვიდა, ის, რომ უბრალო მოქალაქეს არაფრით არ შეუძლია დაუკავშირდეს მინისტრს ან მის მოადგილეს. ხიდი ჩატეხილია.**

**გელა დუმბაძე**: — წლების წინათ მობილური რომ მქონდა, ის მობილური მაქვს დღესაც და ვერ იტყვის ვერავინ, განსაკუთრებული შემთხვევების გარდა, რომ მე ზარზე არ მეპასუხოს.

ხალხისთვის გასაგები უნდა იყოს ხელისუფლების წარმომადგენლების ფუფუნების მიზეზები.

მაგალითად, მე კარგა ხანს არ მყავდა მანქანა, 137 ნომერი მარშუტკით დავდიოდი.

მე, პირველ რიგში, მიყურებს ჩემი შვილი და შვილიშვილი. თუ მართალი არ ვიქნები, მათ თვალებში ვერ შევხედავ.

„ენა, მამული, სარწმუნოება" — თქვა ილიამ.

„ღმერთი, სამშობლო, ადამიანი" — თქვა მეორე ილიამ, უწმიდესმა და უნეტარესმა. ეს ფორმულა ერთი და იგივე შინაარსისაა. სამშობლო არის ცოცხალი ორგანიზმი, ეს მარტო მიწა არ არის. ხალხთან თუ არ ხარ მართალი, მშობელთან, მაშინ ღმერთთან ვერ მიხვალ.

კვლავ ჩემს სამსახურს დავუბრუნდები. აქ, ამ სტრუქტურაში მოსვლისას განვაცხადე, რომ აქ არის პატარა საქართველო, აქ, ამ სტრუქტურაში ვიმუშაოთ სამშობლოსთვის.

აქ, სამშობლოში უნდა იბრძოლო სამშობლოსთვის, უნდა იბრძოლო იქ, სადაც ხარ — საწერ მაგიდასთან, დაზგასთან, ვენახში, ტრიბუნაზე... თუ ეს არ გაიაზრა ყველა ქართველმა, ღმერთმა ნუ ქნას და შეიძლება სამშობლო დავკარგოთ.



მოამზადა
**ანა ბადაჭკორიამ**

# ამ ცხრა წლის განმავლობაში საქართველო ჯვარს ეცვა, მაგრამ ჯვარცმის შემდეგ ხომ აღდგომა მოდის?



გვესაუბრება პოეტი
**დათო მაღრაძე:**

**— დათო, ბოლო კვირა ქვეყნისთვის საკმაოდ დაძაბული აღმოჩნდა, „თავისუფალი ზონისა“ და „თავისუფალი თაობის“ დაპირისპირებამ საზოგადოება შეაშფოთა, პოლიტიკოსები ძალადობის ესკალაციაზე ალაპარაკდნენ. ამავდროულად, ახლახან, ახალი მთავრობის მოსვლიდან ორი წელი შესრულდა. როგორ აფასებთ მოვლენებს დღევანდელი გადმოსახედიდან?**

— ორი წლის მანძილზე, ქვეყანაში, საკმაოდ ბევრი სასიკეთო ცვლილება მოხდა. მოლოდინი ძალიან დიდი იყო. საქართველოში 9 წლიანი რეჟიმი ბატონობდა, მოსახლეობის დიდმა ნაწილმა არჩევნებზე რეჟიმის წინააღმდეგ მისცა ხმა და კიდეც გაიმარჯვა. „ნაციონალებისგან“ ხშირად გვესმის — წარსულზე საუბარს მოვეშვათ და მომავალზე ვიფიქროთო. თუ საბჭოთა, შორეულ წარსულზე საუბარს არ უნდა შევეშვათ, რატომ არ უნდა ვისაუბროთ ახლო წარსულზე? თუ საბჭოური ინერცია აქტუალურია, მაშინ რატომ დაკარგა აქტუალობა ახლო წარსულში ავტორიტარულ რეჟიმზე საუბარმა? ამას ერთი მარტივი ახსნა აქვს — 9 წლიანი რეჟიმის შემოქმედნი დღეს ცოცხალნი არიან და თავიანთ ავკაცობაზე, დანაშაულზე საუბარი არ სურთ. ამიტომ, ცდილობენ საუბარი წარსულში გადაიტანონ და საზოგადოების ყურადღება იმ დანაშაულობებზე მიაპყრონ, რაშიც მათი მონაწილეობა არ იკვეთება, რითაც თავიანთი დანაშაულობების გადაფარვას ცდილობენ. ანუ სააკაშვილის ტერორის გადაფარვა სტალინის რეპრესიებით უნდათ. თუ საბჭოთა წარსულს ვეხებით, მაშინ მითუმეტეს, უნდა ვისაუბროთ ახლო წარსულზეც, რათა თავში აღარავის მოუვიდეს ის აკადროს სამშობლოს და საკუთარ მოსახლეობას, რაც „ნაცმოძრაობამ“ გააკეთა. თუ წარსულზე ფიქრს შევწყვეტთ, ის მოგველის, რაც ჩვენმა დიდმა წინაპარმა გვითხრა — ქვეყანა, რომელიც თავის წარსულს ივიწყებს და სახელს ვერ არქმევს, მას მომავალი არ აქვს. „ნაცმოძრაობას“ არათუ პოლიტიკაში მონაწილეობის მიღების, არამედ საერთოდ, პოლიტიკაზე საუბრის ზნეობრივი უფლებაც კი არ აქვთ. რაც შეეხება ცვლილებებს: ვიბრძოდით მედიის თავისუფლებისთვის და გავათავისუფლეთ კიდეც. **დღეს, ხელისუფლება, მედიას აღარ აკონტროლებს, არ ერევა მის საქმიანობაში. მაგრამ, ამ ადამიანებს ვერანაირად ვერ გავათავისუფლებთ იმ შეკვეთისგან, რომელსაც თავისი სურვილისამებრ ასრულებენ. მედია ხელისუფლებისგან კი გავათავისუფლეთ, მაგრამ მათ თავისუფლებაში ცხოვრება არ იციან და ყოფას მონობაში აგრძელებენ. ოღონდ, ეს მათთვის ბედნიერი მონობაა. თავიანთი მონური მდგომარეობით აღტაცებულნი არიან, უკეთესი ვერ წარმოუდგენიათ, არ უსწავლიათ და არ იციან. ახლა, მთავარია, თავისუფლებაში ცხოვრება ვისწავლოთ.** პრობლემა ისაა, რომ ყველა ამ სასიკეთო ცვლილების შესახებ ხელისუფლება ხალხს ვერ ესაუბრება. მათ რომ ჰკითხოთ ბევრი „პიარშიკი“ ჰყავთ, მაგრამ ხალხამდე ამ სასიკეთო ცვლილებების შესახებ ინფორმაცია არ მიდის. დიდ სიკეთეს მცირედადაც ვერ წარმოაჩენენ. მგონია, რომ ეს ნიჭიერების პრობლემაა. უნიჭობა რომ არ ვახსენო, ამიტომ, ამ პრობლემას, ნიჭიერებას ვუწოდებ. შეიძლება ადამიანს კემბრიჯის უნივერსიტეტი ჰქონდეს დამთავრებული, მაგრამ ეს ნიჭიერებას არ ნიშნავს. მაგრამ მთავარი პრობლემა რაც მაწუხებს, შემდეგია: „ნაცმოძრაობა“ ხელოვნურად ნარჩუნდება, რა თქმა უნდა, ხმების ოდენობა, რაც არჩევნებში მიიღეს, გაყალბებულია. საერთაშორისო პოლიტიკურ ასპარეზზე მყოფი ხალხიც უწყობს ხელს, რათა „ნაცმოძრაობა“ ხელოვნურად შენარჩუნდეს. გოგა ხაინდრავას ძალისხმევით, ყველამ დავინახეთ ვინ აღმოჩნდა, რა მოტივაციები ამოძრავებდა კარლ ბილდტს. „ნაცმოძრაობის“ როგორც ოპოზიციური ძალის ხელოვნურად შენარჩუნება, ჩვენს ქვეყანას, განვითარებაში უშლის ხელს.

**— ახლა ახსენეთ, „ნაცმოძრაობას“ ხელოვნურად ვინარჩუნებთო, ვისი ბრალია ეს?**

— ვინ უწყობს ხელს „ნაციონალების“ ხელოვნურად შენარჩუნებას? — საერთაშორისო სტრატეგიული ჯგუფები. მაგალითად, სენატორი მაკკეინი. ვინ არის ქართველი ხალხი მაკკეინის წარმოდგენაში? ხომ საინტერესოა რა არის მისთვის საქართველო? ჩემს დაკვირვებას გაგიზიარებთ: თუ ჩვენ რუსეთთან კონფლიქტში შევალთ და მას საქართველოს, ქართველ მოსახლეობას დავაბომბინებთ, მაშინ მაკკეინი ხმამაღლა ყვირის რომ ქართველია. ხოლო თუ ჩვენ საკუთარ მიწა-წყალს მოვუფრთხილდებით, დიპლომატიით, პოლიტიკური კულტურით მივაღწევთ ასოცირების ხელშეკრულებას ხელი ისე მოვაწეროთ, რომ რუსეთთან საომარ ვითარებაში არ შევიდეთ, მაშინ მაკკეინი აღარ არის ქართველი, მაკკეინს უკვე აწუხებს, როცა სამშობლოს ვუფრთხილდებით. იმიტომ, რომ რუსეთის აგრესორობა მუდმივად თვალსაჩინო უნდა იყოს. მაკკეინის წარმოდგენაში ჩვენი ქვეყნის ერთადერთი ფუნქციაა მის ინტერესებს მსხვერპლად შევეწიროთ. გამოდის, რუსეთთან კონფლიქტს თავი უნდა შევწიროთ, რათა მაკკეინის ქვეყნის ინტერესებს გავუფრთხილდეთ და მათ საშუალება მიეცეთ უფრო მეტი სანქციები, შეზღუდვები დაუწესონ რუსეთს, ვიდრე აქამდე უწესებდნენ. განსხვავებით ძველისგან, ეს ხელისუფლება, პირველყოვლისა, საქართველოს მოქალაქის ინტერესზე ფიქრობს და მერე სტრატეგიული პარტნიორების. „ნაციონალები“ კი სხვისი სამშობლოს საამებლად საკუთარს სწირავდნენ.

**— „ნაცმოძრაობას“ დიდი ფინანსური რესურსი აქვს და რამდენად შესაძლებელია სოკოებივით მომრავლებული არასამთავრობოების დასაფინანსებლად თანხას იმიტომ ხარჯავდეს, რომ ქვეყანაში არეულობა დაგეგმოს?**

— ამის საფრთხე არ არსებობს. დღეს საქართველოში არ არის იმის მოტივაცია, რომ ხალხი ხელისუფლების წინააღმდეგ დაირაზმოს. „ნაციონალებს“ აქვთ ამის უსუსური მცდელობა, მაგრამ ეს უშედეგოდ დასრულდება.

**— ის ფაქტი, რომ ორ ახალგაზრდულ დაპირისპირებულ ფრთას შორის პოლიციის კორდონი დგას, რათა მათ ერთმანეთი არ დაჭამონ, დამაფიქრებელი არაა?**

— ვიმეორებ, ვერაფერს მიაღწევენ. ხედავ, როგორ იქცევა პოლიცია — ადამიანებს აშველებს, არ აძლევს მათ ერთმანეთის ბეგვის და ცემის უფლებას. იგი ღირსეულად გამოიყურება. 9 წლის მანძილზე პოლიცია გვწამლავდა, გვცემდა, დაგვდევდა. მისი ერთ-ერთი ფუნქცია იყო განსხვავებული აზრი ხელკეტით, მომწამლავი გაზით ჩაეხშო. ის, რაც დღეს ხდება, გეთანხმები, მათ მიერ დაფინანსებულია, მაგრამ ფინანსები ვერაფერს იზამს, თუ მას ნიადაგი ადამიანის ფიქრში, განცდაში არ აქვს. ეს არაა ახალგაზრდების დაპირისპირება. ვინაა ახალგაზრდა, კობა ხაბაზი?

**ადრე „ნაციონალების“ ერთი ლიდერი ამბობდა სულს ამოგხდითო, ახლა ტელე-არხის ხელმძღვანელი გამოვიდა და მოსახლეობას უთხრა ჯოჯოხეთს მოგიწყობთო. რომელ ევროპულ ქვეყანაში წარმოგიდგენია ტელევიზიის ხელმძღვანელმა მოსახლეობას უთხრას, ჯოჯოხეთს მოგიწყობთო და იგი თავის**



**ადგილზე დარჩეს?!** დემოკრატიულ სივრცეს დემოკრატიაშიც გავცდით. დამწყები კათოლიკე ხომ რომის პაპზე დიდი კათოლიკეა. ან თანამშრომლებმა როგორ უნდა დატოვონ ხელმძღვანელად ის ადამიანი, რომელიც მოსახლეობის დიდ ნაწილს ჯოჯოხეთის მოწყობით ემუქრება. აქვე, ერთი რამ უნდა ვთქვა: მომწონს, როდესაც ხელოვანი პრობლემას შემოქმედებითი პროექტით უპირისპირდება. მაგალითად, სრულიად უნიკალურია უცნობის ღვაწლი რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლაში. მაგრამ, სამწუხაროდ, ამაზე არ საუბრობენ.

როცა პოეტი რეჟიმს ეწირება, ქვეყანა გამარჯვებული რჩება. პრეცენდენტი იქმნება — პოეტი ეწირება რეჟიმს, ქვეყანა იმარჯვებს, ე.ი. საზოგადოება სუნთქავს, ანუ სამართლიანობისთვის ბრძოლა, თავგანწირვა არსებობს. მაგრამ ივანიშვილის პასუხისმგებლობა სხვა იყო, მისი დამარცხებით ქვეყანა სამუდამო უფსკრულში მიდიოდა. ბოლო ბასტიონის დანგრევით, საქართველოს მომავალი დაიშლებოდა. ანუ, ჩემი მსხვერპლშეწირვა საქართველოს მომავალს გამოადგებოდა, მისი მარცხი დაანგრევდა ბოლო ბასტიონს. ბატონი ბიძინას დამარცხება, ავტომატურად, სამშობლოს დამარცხებას ნიშნავდა. ამიტომ მას აბსოლუტურად ზუსტად უნდა გაეთვალაყველაფერი და გათვალა კიდეც. ეს ძალიან მნიშვნელოვანია.

**— როცა 9 წლიანი რეჟიმის შედეგებზე ვსაუბრობთ, ხომ არ დაუშვა ხელისუფლებამ შეცდომა მას პოლიტიკური შეფასება რომ არ მისცა? საქმე იქამდე მივიდა, „ნაციონალები“ დღეს უკან დაბრუნებაზე ღიად იმუქრებიან.**

— ჩვენ ვერც ვერავის დავიჭერთ და ვერც გავათავისუფლებთ. სწორია ხელისუფლება ამაში რომ არ ერევა, კანონმა თავის საქმე უნდა აკეთოს. ხელისუფლების ვალია კანონი აღასრულოს, მისი მორგება, ქვეყნისთვის, დამანგრეველია. მკრეხელობად ნუ ჩამომართმევ, მაგრამ ეს იმას ჰგავს, ადამიანებს რომ მიაჩნიათ, თითქოს ქრისტე ღმერთი აგზავნის მათ ჯოჯოხეთშიც და სასუფეველშიც. ქრისტე ღმერთი არავის არსად არ აგზავნის, ყველა ადამიანი საკუთარ თავს თავის ცხოვრებით აგზავნის. რაც შეეხება რეჟიმის პოლიტიკურ შეფასებას, რა თქმა უნდა, ეს აუცილებლად უნდა მოხდეს.

შესანიშნავი მწერალია სემუელ ბეკეტი, რომელმაც „გოდოს მოლოდინი“ დაწერა — ელოდებიან გოდოს, როდის მოვა და ქვეყანას გადაარჩენს. ახლა პარიზში დადგეს სპექტაკლი „გოდო მოვიდა“. მოვიდა გოდო, მაგრამ ისევ არაფერი ხდება. ეს გოდოც ჩამოჯდა და კიდევ ვიღაცას ელოდება, რაც ჩვენს დღევანდელ სულიერებისაგან დაცლილ ეპოქას ძალიან ჰგავს. სადაც მივდივარ ყველგან მეკითხებიან — გვეშველება რამე? არ მესმის ხალხი რას ელოდება, რა უნდა მოხდეს ისეთი, ჩათვალონ რომ ეშველათ — უფალი უნდა გამოეცხადოთ, საწვავი უნდა გაიაფდეს თუ იბერია გაბრწყინდეს?

**— თქვენი აზრით, რა უნდა მოხდეს?**

— ამაზე სულ ვფიქრობ. საქართველოში არიან ხალხი ვინც ლიბერალობენ და ვინც ტრადიციონალისტობენ. სინამდვილეში, არც ერთია ტრადიციების და არც მეორე ლიბერალური ღირებულებების მცველი, ორივე ბედკრული საქართველოს შვილებია. მაგრამ რაშია განსხვავება? — ჩემი აზრით, განკითხვაში. ლინგვისტურ უთანხმოებას აქვს ადგილი — ტრადიციების მცველებს ჰგონიათ, რომ განკითხვა ქართულად მოხდება, ლიბერალებს კი ჰგონიათ, რომ ინგლისურად. მენტალური სხვაობა დიდად არ შეინიშნება. საქართველოში, ყველაზე უგემოვნო სახლებს, ინტერიერებს რა დაარქვეს — ევრო-რემონტი ხომ? ახლა, ევროასოცირების ხელშეკრულებას რომ მოვაწერეთ ხელი, ევროქართველები გავხდით? აი, სად ვართ. ფიქრის, განცდის, სულიერების განვითარების გზაზე ძალიან დავმუხრუჭდით.






**— როგორ წარმოგიდგენიათ, როგორი უნდა იყოს საზოგადოების რეაქცია ამ დროს?**

— საზოგადოება სახეს უნდა ინარჩუნებდეს. ერთი უკიდურესობა ხომ არის მლიქვნელობა და ლაქიობა, რითაც სავსეა გუშინდელი, გუშინწინდელი დღე და ალბათ ხვალინდელიც. მეორე უკიდურესობა იცი, რა არის? — ხელისუფლებას უნდა აგინო და მაშინ „კაი ტიპი“ ხარ. იმსახურებს თუ არა, მაინც უნდა აგინო და მაშინ „კაი ტიპი“ ხარ. რატომ არის კარგი ტიპობა ხელისუფლების დაუმსახურებელი გინება, რა ვნებაა ეს? დღეს, ამ უკიდურესობების პრანჭვა-გრეხვა გვაქვს სახეზე. ჟურნალისტები იმ ხალხს პატიჟებენ ვინც ესვეცკებათ, ნაწილი სკანდალისტობს, ნაწილი სვეცკაობს. მათ პატიჟებენ, ვინც ეპრესტიჟებათ, მათთან ფამილარობენ და ჰგონიათ, რომ იმ ადამიანთან ერთად, ვინც მოიწვიეს, თავადაც მაღალ საფეხურზე ავიდნენ. წუთისოფელი ამ პრანჭვა-გრეხვაში გადის. ამ დროს ჩვენთან სერიოზული ფასეულობები იქმნებოდა. უნდა ვეცადოთ, ეს ხალხი, პრანჭვას არ გადაჰყვეს. ამ კულტურას სულ თავიდან უნდა მიახლება, ყველა გენერაცია თავიდან უნდა მიეახლოს. ხშირად გამიგია, „ვეფხისტყაოსანი“ წაკითხული მაქვსო. ასე ხომ არაა. მთელი ცხოვრება რაღაცას კითხულობ. ჯვრის მონასტერზე ხომ არ იტყვი, აღარ წამოვალ, უკვე ნანახი მაქვსო. ის თუ შენში მუდმივ აღტაცებას არ იწვევს, მუდმივად არ გეძახის მაღალი სულიერებისკენ, ასე არაფერი გამოვა. თუ მხოლოდ „ნანახი“ გაქვს, ველარ განვითარდები. თუ „ვეფხისტყაოსანი“ უკვე „წაკითხული“ გაქვს და ურთიერთობა დაამთავრე, ეს მეტყველებს, რომ წიგნი ტყუილად აიღე ხელში, ტყუილად ნახე ჯვრის მონასტერი. საქართველოში, კულტურის სივრცეში, უმნიშვნელოვანესი ამბები მოხდა და ხდება. აქვე, ერთი ძალიან მნიშვნელოვანი რამ მინდა ვთქვა: „საერთო გაზეთში“ მეგრული და სვანური ენების შესახებ ვახტანგ ხარჩილავას და ზაურ კალანდიას წერილები წავიკითხე და ძალიან გამიხარდა. ამას დიდი სწავლა არ უნდა, თუ ადამიანს ოდნავ ემოცია და სასმენი აპარატი გამეცადინებული გაქვს, ადვილად მიხვდები, რომ ეს ერთი ენიდან წამოვიდა. არსებობს პროისტორიული ქართული ენა, საიდანაც მეგრულ-ჭანური, სვანური და დღევანდელი ჩვენი სასაუბრო და სალიტერატურო ქართული განვითარდა, ერთი ნიადაგიდან წარმოიშვა. სვანური და მეგრული ენა საგანძურია, რასაც მოფრთხილება და შენარჩუნება უნდა. ასევე, თუშური დიალექტი ქვეყნის საგანძურია. ევროპის ძალიან ბევრ ფესტივალზე მიმიღია მონაწილეობა, თითქმის ყველგან, დიალექტზე ვინც წერს იმ მწერლებისთვის ცალკე, განსაკუთრებული პრიზია დაწესებული. ყველგან უფრთხილდებიან ამას. საქართველოში მავანს ჰგონია, რომ ეს დიდ საფრთხეს იწვევს. საფრთხეს კი არ იწვევს, არამედ გამდიდრებს, გავსებს და შენს თვალსაწიერს მრავალფეროვანს ხდის. ნურავის ეშინია ამის, პირიქით, ეს სიამაყის და ჩვენი დიდი კულტურის მანიშნებელია.

**— წელან ახსენეთ, ხელისუფლების გინებას, მავანი „კაი ტიპობად“ თვლისო. სხვათა შორის, ჩემი დაკვირვებით მასმედიით ივანიშვილის ლანძღვაც შემოვიდა მოდაში. ეს რას ემსახურება?**

— სიმართლე გითხრათ, არ ვიცი რა იხარშება მათ ტვინებში. რატომ ითვლება ხელისუფლების გინება „კაი ტიპობად“, რომ მერე თავიანთი უზრდელობით თავი მოიწონონ? წელან იმიტომაც ვახსენე, რომ უზრდელობა არ ნიშნავს სითამამეს. უკულტურობა არ ნიშნავს გამბედაობას. შაზოგადოება, სადაც ხელისუფლების შემგინებელი კაი ტიპად გრძნობს თავს, ვერ განვითარდება. როცა ნარმანია კენჭს იყრიდა, ვთქვი: თბილისელობა პროფესია არ არის და ამ კაცს იმაში ნუ დაძრახავთ, რომ თბილისელი არაა-მეთქი. ეს საძრახი არაა. ყოველთვის მაღიზიანებდა ხალხის ის ნაწილი, ვინც თბილისელობა პროფესიად გაიხადა და ეს იყო მათი ერთადერთი უხილავი პედესტალი, საიდანაც დანარჩენ საქართველოს ზემოდან უყურებდნენ. ესაა გაამპარტავნებული ხალხის ყოვლად უნიადაგო ამბიცია. თბილისს თავის ხიბლი აქვს, მაგრამ ვინც თბილისელობა პროფესიად გაიხადა მათ ამ ხიბლის შესახებ არ იციან. არც არათბილისელობა წარმოადგენს დიდ ფასეულობას ან საერთოდ, რაიმე ფასეულობას.

**— როდესაც ზემოთ თქვით, საზოგადოების პრობლემა ისაა, რომ ყველაფერი „ნანახი“ და „წაკითხული“ აქვს?**

**— კი, საზოგადოებას სერიოზული პრობლემა აქვს, მას ყველაფრის ეშინია. ჩემი მხრიდან უმადურობა იქნება ამ საზოგადოებას შეშინებული დავარქვა, მაგრამ წიგნიერების კუთხით, გათვითცნობიერება გვაკლია. რაც თავი მახსოვს, განათლების რეფორმა ტარდება. ერთი შეკითხვა მაქვს: როცა სოლომონ დოდაშვილი პედაგოგი იყო, ნიკოლოზ ბარათაშვილი კი მოწაფე, მაშინ ვარგოდა სწავლა? სახელმძღვანელო, პედაგოგი, მოწაფე — ყველაფერი ვარგოდა. ეს ღვთაებრივი სამკუთხედია — ოსტატი, შეგირდი და სახელმძღვანელო. რის რეფორმას ატარებენ? — რომელიც უფრო უკან დაგწევს, ბევრ ინფორმაციას მოგცემს და სულიერებისგან დაგცლის? ეს ზღვარი, კულტურასა და ცივილიზაციას შორის, ძალიან მნიშვნელოვანია. მიმაჩნია, რომ ცივილიზაცია კულტურას იერუსალიმში დაუპირისპირდა, სადაც რომი ქრისტეს დაუპირისპირდა და იგი ჯვარს აცვა. მაგრამ კულტურას ღვთაებრივი თვისება აქვს, იგი აღდგა. ჯვარცმის მერე ხომ აღდგომა მოდის.**

**თამარ შველიძე**
555 23 28 24

# განძის მცველი



შალვა ამირანაშვილი

1884 წელს პეტერბურგის მკვიდრი, ბესარაბიელი თავადების შთამომავალი სტეპან საბინ-გუსი ტფილისში თითქოსდა აქ მყოფი ძმის სანახავად ჩამოვიდა. საბინგუსს ხელთ ჰქონდა სინოდის დოკუმენტი, რომლითაც მას, როგორც მხატვარს, მონასტრების მოწყობილობათა გაახლება ევალებოდა. „განმაახლებელი“ სინოდისგან ბოძებული ქაღალდით აშინებდა მღვდლებს და სამონასტრო სალაროდან იპარავდა ხატებს, რარიტეტულ მოჭედილობებს, რომლებიც ამშვენებდა მინანქრის მედალიონებს, ტიხრული მინანქრის საუკეთესო ნიმუშებს. ქართველები დიდად ვერც ეწინააღმდეგებოდნენ, თუმცა იყო გამონაკლისი შემთხვევა, როცა ძლივს გადაურჩა მღვდლისა და მრევლის რისხვას და გაქცევით უშველა თავს. ფსევდომხატვრის საქმიანობის ამბავი გახმაურდა, მაგრამ საბინ-გუსი არ გაუსამართლებიათ. იგი ქართველებს ბრალსაც კი სდებდა, თავიანთ ქონებას არ უფრთხილდებიან და მათი აღწერილობაც კი არ გააჩნიათო. აშკარაა, რომ იგი კოლექციონერებსა და ეგზარქოსებს შორის შუამავლობდა და, სავარაუდოდ, ქართული საეკლესიო ძეგლების ნიმუშები სწორედ მისი მეშვეობით აღმოჩნდა რუს კოლექციონერებთან.

„მეფის რუსეთის დანაშაულის“ გამოსასწორებლად და საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილების აღსასრულებლად შეიქმნა რუსი და ქართველი მეცნიერებისგან შემდგარი საგანგებო კომისია, რომელმაც ხანგრძლივი მუშაობის შემდეგ, 1922 წლის აგვისტოში მიიღო დადგენილება: **„ქართული წარმოშობის ყველა რეგალია და სიძველე, რომელიც დაცულია რუსეთის სრ ფედერაციის მუზეუმებსა და საცავებში, მათი ქართული**



მთავარანგელოზ გაბრიელის ხატის ფრაგმენტი, XI ს.

**წარმომავლობის დასაბუთების შემდეგ, უნდა გადაეცეს საქართველოს სს რესპუბლიკას“.**

ქართველი მეცნიერებიდან კომისიის მუშაობაში მონაწილეობდნენ ქართული მეცნიერების თვალსაჩინო წარმომადგენლები: კორნელი კეკელიძე, აკაკი შანიძე, პავლე ინგოროყვა, სარგის კაკაბაძე და ასეთი ავტორიტეტული კომისიისთვის უჩვეულოდ ახალგაზრდა – 23 წლის შალვა ამირანაშვილი, რომელმაც სწორედ იმ წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ამავე კომისიაში რუსეთის მეცნიერებათა აკადემიას წარმოადგენდნენ ნიკო მარი, მისი შვილი იური, რომელიც დიდ დახმარებას უწევდა ქართველებს, აკადემიკოსები ოლდენბურგი, ბენედიქტოვი და ბარტოლდი.

შალვა ამირანაშვილს, ბედის განგებით, არა მარტო რუსეთში მოუწევს ქართული სიძველეების ძებნა და მათი საქართველოში დაბრუნება. საფრანგეთში გახიზნული ქართული საგანძური სამშობლოში მისი უშუალო მონაწილეობითაც ჩამოვა.

* * *

პედაგოგის ოჯახში დაბადებულ შალვას წიგნის სიყვარული ბავშვობიდანვე გაუჩნდა. ოჯახი ერთხანს ონში ცხოვრობდა, ხოლო მას შემდეგ, რაც ნიკო ნიკოლაძემ, ფოთის იმდროინდელმა თავმა, თავისი უდიდესი ძალისხმევით აღდგენილ ქალაქში თანამემამულეებს უხმო სამუშაოდ, იასონ ამირანაშვილის ოჯახი პერსპექტივაგაჩენილ ქალაქში დასახლდა. ფოთის კლასიკურ გიმნაზიაში სწავლისას შალვა შემთხვევით გადააწყდა განცხადებას, რომ ფოთში მცხოვრები გერმანელი პედაგოგი მსურველებს ძველებრაულის, სანსკრიტისა და სხვა მკვდარი ენების შესწავლას სთავაზობდა. სწავლების საფასურის გადახდა ოჯახს არ შეეძლო, ამიტომაც შალვამ გიმნაზიის დაწყებითი კლასების მოსწავლეების მომზადება და მათგან აღებული თანხით ძველი ენები შესწავლა გადაწყვიტა. მას ენების ათვისების განსაკუთრებული ნიჭის წყალობით, გარდა ჩამოთვლილისა, ისწავლა სპარსული, არამეული, ფალაური (ძველსპარსული), არაბული, ფრანგული, გერმანული, რუსული ენები.

შალვა ამირანაშვილი ახალგახსნილი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის სტუდენტი გახდა ხელოვნების ისტორიისა და თეორიის განხრით. ის, ასე ვთქვათ, პირველი უნივერსიტეტელი იყო და მისი კურსიც – დედაუნივერსიტეტის პირველი გამოშვება. ისმენდა ივანე ჯავახიშვილისა და გიორგი ჩუბინაშვილის ლექციებს. საინტერესოა, რომ შემდგომში ქართული ხელოვნების ორ კერას, საქართველოს ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტს მასწავლებლის – გიორგი ჩუბინაშვილის სახელი მიეკუთვნება, ქართული ხელოვნების მუზეუმს კი მოსწავლის – შალვა ამირანაშვილის). ექვთიმე თაყაიშვილს სწორედ უნივერსიტეტში დაუახლოვდა

...სტუდენტებს კოჯრის მიდამოებთან მომდგარი წითელი არმიის წინააღმდეგ საბრძოლველად თავად ივანე ჯავახიშვილმა მოუწოდა. ამ სტუდენტურ რაზმში შალვა ამირანაშვილიც ირიცხებოდა, მაგრამ ვიდრე ბრძოლები დაიწყებოდა, მთავრობამ საქართველოს განძეულობის უცხოეთში გახიზვნა გადაწყვიტა. ექვთიმე თაყაიშვილმა კოჯრიდან გამოიხმო შალვა ამირანაშვილი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო სამუზეუმო ექსპონატების შეფუთვის პროცესში – ზედმიწევნით აღწერდა და აღნუსხავდა მათ. მათთან ერთად მუშაობდა იროდიონ სონღულაშვილიც. სულ 46 ყუთი შეფუთეს, ხოლო ნივთების სამ პირად შედგენილი ვრცელი ჩამონათვალი ასე გაანაწილეს: ერთი პირი ექვთიმე თაყაიშვილს გადასცეს, მეორე – განძს გააყოლეს, ხოლო მესამე აქ დარჩა. გაჩნდა მოსაზრება, რომ ქართულ განძს შუა ხანს მიტანებულ ექვთიმესთან ერთად ახალგაზრდა შალვაც გაჰყოლოდა. ეს ვერ მოხერხდა, რადგან შალვა კოჯრიდან გაციებული დაბრუნდა, თავს ვერ მიხედა, ფილტვების ანთებით გაურთულდა და თბილისში დარჩენა მოუხდა.

* * *

შალვა ამირანაშვილი საფრანგეთის გზას არ დადგომია, თუმცა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, 24 წლის შემდეგ უცხოეთში გახიზნული ქართული საგანძურის საქართველოში დაბრუნება-ჩამოტანის დიდი და საპატიო მისია, შემდგომში საქართველოს მეჭურჭლეთუხუცესად წოდებულ ექვთიმე თაყაიშვილთან ერთად დაეკისრება.

მანამდე კი... თბილისში დარჩენილმა საქართველოს ხელოვნების ისტორიის შესწავლა, სიძველეების მოძიება-გადარჩენა ცხოვრების მიზნად დაისახა. ხელოვნების ისტორიკოსებს, ამ დარგის ექსპერტებს იგი ანგარიშგასაწევ ახალგაზრდა სპეციალისტად მიაჩნდათ და ამიტომაც შეიყვანეს რუსეთიდან დასაბრუნებელი ქართული საგანძურის სიის დამდგენ ავტორიტეტულ კომისიაში.

მას შემდეგ, რაც სიები დაზუსტდა, **„კომისიის ქართველ წევრთა უმრავლესობა საქართველოში დაბრუნდა, ხოლო მე რუსეთში დავრჩი იმ კოლექციების შედგენა და მიღებაში მონაწილეობისათვის, რომელთა შესახებ გარკვეული შეთანხმება იყო მიღწეული. იური მარმა და მე შევადგინეთ სია საქართველოსათვის გადაცემული იმ ქართულ ხელნაწერებისა, რომლებიც დაცული იყო რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის სააზიო ინსტიტუტში. ქართული ხელნაწერების ძვირფასი კოლექციის ძირითადი ნაწილი, რომელიც ლენინგრადში იყო დაცული, ჩამოტანილ იქნა საქართველოში და ამჟამად ეს კოლექცია ამშვენებს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკად. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდებს“,** – წერდა მოგვიანებით შალვა ამირანაშვილი.

საქართველოს კუთვნილი ისტორიული დოკუმენტების, ქართული ოქრომჭედლობისა და მინანქრით შემკული ძვირფასი ნივთების მოსაძიებლად შალვა ამირანაშვილმა კიდევ ორი წელი დაჰყო რუსეთში. ეს არის წინააღმდეგობებით სავსე ორწლიანი ეპოპეა, თავგადასავალი ქართული საგანძურის ძებნისა, რომელიც საინტერესო ეპიზოდებით არის აკინძული, მათ შორის, სტალინთან შეხვედრითაც.



მოლიმარი მთავარანგელოზი XI ს.

ქართველ მეცნიერებს განსაკუთრებით აინტერესებდათ ეგრეთ წოდებული „ბოტკინის კოლექციის“ ბედი; მოკლედ მიმოვიხილოთ, რას წარმოადგენდა ეს კოლექცია და მივხვდებით, რატომ ითხოვდა საქართველოს მხარე მათ დაბრუნებას და რატომ ეძებდა მას ასე თავდაუზოგავად შალვა ამირანაშვილი.

*მიხაილ ბოტკინის, კარგი მხატვრისა და ხელოვნებათმცოდნის ცხოვრების ძირითადი საქმე კოლექციონერობა იყო. მისი კოლექციის ყველაზე მნიშვნელოვანი ნიმუშები შეტანილია 1911 წელს სანქტ-პეტერბურგში გამოცემულ წიგნში (ეს კატალოგი მცირე ტირაჟით დაიბეჭდა, მაშინვე ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცა და მისი შეძენა საქართველოს ეროვნულმა ბიბლიოთეკამ გამოცემიდან ასი წლის შემდეგ შეძლო). მათ შორის არის ქართული ხელოვნების ნიმუშები. საქართველოდან მოპარული ქართული ტიხრული მინანქრის უნიკალური ნამუშევრები კატალოგში შეგნებულად შეტანილია როგორც ბიზანტიური მინანქარი. არსებობს ვარაუდი, რომ ჩვენი წერილის შესავალში ნახსენებმა ქუთაისის გენერალ-გუბერნატორმა მიჰყიდა მას ხახულის ღვთისმშობლის სამკარედის ძირითადი ნაწილი.*

*ბოტკინის კოლექციაში ინახებოდა ბიზანტიური ხანის ძველქართული ჭედურობის ნიმუშები, ფაქტობრივად, ქართული ჭედურობის „ოქროს ხანის“ შედევრები შემოქმედის, ზარზმის და სხვა მონასტრებიდან.*

*ბოტკინი 1914 წელს გარდაიცვალა, მისი უნიკალური კოლექციის მფლობელი მეუღლე გახდა, რომელმაც 1917 წლის თებერვლის რევოლუციის დროს, რუსული მუზეუმის მესვეურთ ქმრის დანატოვარი ნივთების შენახვის თხოვნით მიმართა. ხელმოწერილი შეთანხმებით, თუ კოლექციას ერთი წლის შემდეგ არ წაიღებდნენ, იგი მუზეუმის საკუთრება გახდებოდა. ასეც მოხდა – 1917 წლის მაისში ბოტკინის ქვრივი გარდაიცვალა, ხოლო მიხაილ ბოტკინის მიერ რუსეთში ნაყიდი თუ ევროპაში მოგზაურობისას შეძენილი ხელოვნების ნიმუშების უნიკალური კოლექცია მუზეუმის საკუთრება გახდა. შემდგომ წლებში იგი განაწილდა სხვადასხვა მუზეუმში, მათ შორის ერმიტაჟშიც.*

გელათის, მარტვილის, ჯუმათის და სხვა ტაძრებიდან გატაცებული ქართული შედევრების, ტიხრული მინანქრისა თუ ჭედურობის ბრწყინვალე ნიმუშების დაბრუნებას ითხოვდნენ ქართველი მეცნიერები, მათ შორის შალვა ამირანაშვილი. მან შეიტყო, რომ „ბოტკინის კოლექცია“ სახელმწიფო განძთსაცავში ინახებოდა. მისი დირექტორი კი, არაერთი თხოვნის მიუხედავად, უარს ეუბნებოდა საცავებსა თუ კატალოგებში ქართული ნივთების მოძიებაზე – მხოლოდ ხუთი წლის შემდეგ, საფუძვლიანი კლასიფიკაციის შემდეგ შეგვეძლება გიპასუხოთ, ეს კოლექცია ჩვენთან ინახება თუ არაო. საქმეს შეგნებულად აჭიანურებდნენ, ვერ ელეოდნენ ქართულ სიმდიდრეს, უტიფრად აცხადებდნენ, საქართველოში არ გყავთ შესაბამისი კვალიფიკაციის სპეციალისტები, რომლებიც მათს მოვლას შეძლებენო.

უზომოდ შეწუხებულმა შალვამ გადაწყვიტა, რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის სამდივნოდან გამოეთხოვა მთავრობის დადგენილების დამოწმებული ასლი „საარქივო მასალებისა და სამუზეუმო კოლექციების საქართველოსათვის გადაცემის შესახებ“.

**„როცა ამ დადგენილების ასლები მივიღე და გამოვედი ცენტრალური აღმასრულებელი კომი-**

ტეტის სამდივნოდან, რომელიც იმ დროს კრემლის ერთ-ერთ სასახლეში იმყოფებოდა, სრულიად მოულოდნელად სასახლის მახლობლად შევხვდი ი. სტალინს, ა. ენუქიძესა და ა. სვანიძეს. მე კარგად ვიცნობდი ა. სვანიძეს, რომელიც ჩემი სტუდენტობის დროს საქართველოს მუზეუმის ბიბლიოთეკის გამგედ მუშაობდა. იგი განსაკუთრებით დაინტერესებული იყო საქართველოს უძველესი ისტორიის საკითხებით... პირადად მე გარკვეული ყურადღებით მეპყრობოდა. მან თავაზიანად გააცნო ჩემი საქმიანობა ი. სტალინსა და ა. ენუქიძეს და მკითხა, როგორ მიმდინარეობდა კოლექციების მიღების საქმე. მე დაწვრილებით მოვახსენე საქმის ვითარება და კერძოდ შევჩერდი იმ დაბრკოლებაზე, რომელიც აფერხებდა მ. ბოტკინის კოლექციების მიღების საქმეს. ა. სვანიძემ მაშინვე მიმართა ი. სტალინს: „ამხანაგო სოსო, გთხოვთ დაეხმაროთ ამ ახალგაზრდას“. ი. სტალინმა უბის წიგნაკი ამოიღო, თავისი ტელეფონის ნომერი ჩაწერა, ფურცელი გადმომცა და მითხრა: „ხვალ დილით 11 საათზე დამირეკეთ და მაცნობეთ საქმის ვითარება“.

ალბათ, ძნელი არ არის წარმოვიდგინოთ, რა მოუთმენლად ელოდა შალვა ამირანაშვილი დილას — მთელი ღამე თეთრად გაათენა და სამუშაო საათების დაწყებამდე მივიდა სახელმწიფო საგანძურში. დირექტორმა დაინახა თუ არა, მკაცრად და კატეგორიულად უთხრა: **„ყმაწვილო, გირჩევთ ნუ კარგავთ დროს, ვიმეორებ, რაც უკვე გითხარით, მხოლოდ ხუთი წლის შემდეგ გაირკვევა ის საკითხი, რაც თქვენ ასე გაინტერესებთ“.**

შალვა ამირანაშვილმა დირექტორს ტელეფონზე დარეკვის ნებართვა სთხოვა:

„უშუალოდ **დაველაპარაკე ი. სტალინს. რომელსაც ქართულად ვაცნობე საქმის ვითარება. მან მაშინვე მიპასუხა ქართულადვე: „დაიცადეთ, პასუხს მიიღებთ“.**

სტალინი სამთავრობო ტელეფონით დაუკავშირდა საგანძურის დირექტორს, რომელიც მოულოდნელობისგან გაფითრებული უსმენდა თანამოსაუბრეს, ხოლო ლაპარაკის დამთავრებისთანავე უხმო თავის მოადგილეებს, განყოფილების გამგეებს და გასცა განკარგულება, ქართველი მეცნიერი სასწრაფოდ იმ საცავში წაეყვანათ, სადაც ბოტკინის კოლექცია იყო დაცული.

**„საბედნიეროდ, ქართული მინანქრის კოლექცია მთლიანად აღმოჩნდა. შევადგინე მათი სია და მიღება-ჩაბარების აქტი. კოლექციაში აღმოჩნდა გელათიდან წაღებული ღვთისმშობლის ხატი მინანქრისა, რომელიც ერთ დროს ამშვენებდა ხახულის კარედი ხატის ცენტრალურ ნაწილს; იქ იყო აგრეთვე ჯუმათისა და შემოქმედის ტაძრების მინანქრის ხატები, ჯვრები და სხვა განძეულობა. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ, ეს განძეულობაც საქართველოში ჩამოვიტანეთ და ამჟამად ქართული მინანქრების ეს ძვირფასი კოლექცია, სხვა ეროვნულ განძეულთან ერთად, საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმშია დაცული“**, — წერს შალვა ამირანაშვილი.

საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილება მხოლოდ ქართული



თამარ მეფის ჯვარი

წარმოშობის ისტორიული ნივთების დაბრუნებას ითვალისწინებდა, ამიტომაც ხშირი იყო შემთხვევები, როცა საქართველოდან გატანილ ნამუშევრებზე აცხადებდნენ, ქართული წარმოშობის არ არისო. მაგალითად, საგანგებო დისკუსია გაიმართა ქართული ხელოვნების XI საუკუნის თვალსაჩინო ნიმუშის, საფარის ეკლესიის კანკელთან დაკავშირებით, რომელზეც რუსი მეცნიერები აცხადებდნენ, ბიზანტიურიაო. ამ პაექრობაში ჩაერთო შალვა ამირანაშვილი, როგორც ექსპერტი საქართველოს ხელოვნებათმცოდნეობის დარგში. მან დაასაბუთა, რომ ღვთისმშობლის დაბადების კომპოზიციაში ღვთისმშობლის დედა ხის მოჩუქურთმებულ სარეცელზე წევს, რაც მხოლოდ ქართული ხელოვნებისთვის არის დამახასიათებელი.

**„მ. პოკროვსკის 1923 წლის 19 ივლისის განკარგულებით, საფარის კანკელის, წებელდისა და ბედიის ტაძრის ქანდაკებანი საქართველოს გადაეცა და ამჟამად ყველა აღნიშნული ძეგლი საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმს ამშვენებს“.**

ქართული კულტურის სიძველეთა საქართველოსთვის დაბრუნების სასიხარულო ამბავი შალვა ამირანაშვილმა დაწვრილებით მისწერა პარიზში მყოფ ექვთიმე თაყაიშვილს, რომელიც უზომოდ გაახარა მომხდარმა და რომელმაც ქართველ მკვლევარს დამატებით აცნობა, საბჭოთა კავშირის რომელ მუზეუმსა თუ საცავში იყო ქართული ნიმუშები. ექვთიმე თაყაიშვილი იმედს გამოთქვამდა, რომ საფრანგეთში წაღებული განძიც მალე დაუბრუნდებოდა საქართველოს.

ეს „მალე“ მხოლოდ ორ ათეულ წელზე მეტი ხნის შემდეგ დადგება. ცალკე ამბავია, თუ რა გადახდა თავს საფრანგეთში გატანილ ქართულ განძს და მის მცველსა და გუშაგს ექვთიმე თაყაიშვილს. ამჯერად მის საქართ-



ბერთის ოთხთავის მოჭედილობა. ბეშქენ ოპიზარის. XII ს.

ველოში დაბრუნებასთან დაკავშირებულ პერიპეტიებსა და შალვა ამირანაშვილის მონაწილეობას გავიხსენებთ.

შალვა ამირანაშვილი 1943 წელს საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად აირჩიეს და მოსკოვში აკადემიის სესიებზე დასწრება უხდებოდა. 1944 წლის ოქტომბერში აკადემიის ჯიხურში შეძენილი გაზეთიდან შეიტყო, რომ იგეგმებოდა საფრანგეთის მთავრობის მეთაურის გენერალ შარლ დე გოლის მოსკოვში ჩასვლა და იოსებ სტალინთან შეხვედრა. შალვა ამირანაშვილი მიხვდა, რომ ქართული სამუზეუმო განძეულის საფრანგეთიდან საქართველოში დაბრუნების საკითხი სწორედ ასეთი მაღალი დონის შეხვედრაზე უნდა გადაწყვეტილიყო:

**„საბჭოთა კავშირის უმაღლეს მთავარსარდალს,**

**მარშალ იოსებ ბესარიონის ძეს სტალინს**

**გთხოვთ, საფრანგეთის მთავრობის თავმჯდომარესთან, გენერალ შარლ დე გოლთან შეხვედრის დროს აღძრათ საკითხი, საქართველოდან 1921 წელს საფრანგეთში გატანილი ქართველი ერის საკუთრების, ისტორიული სამუზეუო განძეულობის საქართველოში დაბრუნების შესახებ.**

** უღრმესი პატივისცემით,**

**შალვა იასონის ძე ამირანაშვილი,**

**საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, საქართველოს სსრ ხელოვნების მუზეუმ „მეტეხის“ დირექტორი.**

**1944 წლის 22 ოქტომბერი.**

სტალინის სახელზე შედგენილი წერილი გახსნილი კონვერტით იმავე დღეს ჩააბარა კრემლის კომენდატურაში.

ერთი თვეც არ იყო გასული, როცა თბილისში ჩამოსული შალვა ამირანაშვილი სასწრაფოდ გამოიძახეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივან კანდიდ ჩარკვიანთან. აღმოჩნდა, რომ საკავშირო მთავრობას ნოემბრის დასაწყისში უკვე მიეღო დადგენილება ქართული ეროვნული განძის საქართველოში დაბრუნების შესახებ. ამ საქმის ინიციატორს ამიტომაც უხმეს ცკ-ში: დაუყოვნებლივ უნდა გამგზავრებულიყო მოსკოვში ცკ-ის საერთო განყოფილების გამგე პეტრე შარიასთან ერთად, შემდეგ კი — საფრანგეთში საქართველოს განძეულობის მისაღებად და ჩამოსატანად.

ცნობილია, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ ქართული განძის შესანახად საფრანგეთის ბანკს მხო-



წყაროსთავის ოთხთავის მოჭედილობა. ბექა ოპიზარი

ლოდ ერთი წლის საფასური — 2 500 ფრანკი გადაუხადა. თანხის გადაუხდელობის გამო, საფრანგეთის მთავრობამ ამ ქონების, როგორც უპატრონო განძის კონფისკაცია მხოლოდ ცამეტი წლის შემდეგ მოახდინა. ცნობილია ისიც, რომ საფრანგეთის მოხელეებმა ყუთები გახსნეს და მათი მოკლე აღწერილობა შეადგინეს. უპატრონოდ გამოცხადებული ნივთების ბედზე უზომოდ წუხდა ექვთიმე თაყაიშვილი, რომელსაც აღარ ეძლეოდა საშუალება, ჯეროვნად დაეცვა ნივთები.

**„დღეს ვარ, ხვალ აღარ ვიქნები და ჩემთვის მეორე სიკვდილი იქნება, თუ ის ნივთები ან მისი ნაწილი დაგვეკარგება... მათი დღევანდელი მდგომარეობა მტანჯავს, ვერ ვმშვიდდები, მანამ ის ნივთები საქართველოს არ დაუბრუნდება და მუზეუმს არ ჩაბარდება“, —** სწერდა საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატის სამეცნიერო დაწესებულებათა სამმართველოს უფროსს ვუკოლ ბერიძეს და სთხოვდა, როცა საფრანგეთის მთავრობა მათი მიღების ნებას დაგვრთავს, მუზეუმის ორიან სამი თანამშრომელი გამოგზავნეთო.



ახალგორის განძი

ამ წერილის დაწერიდან კიდევ ცხრა წელი გაივლის და მხოლოდ 1944 წელს გაჩნდება მისი დაბრუნების რეალური შესაძლებლობა. შალვა ამირანაშვილისა და პეტრე შარიას საფრანგეთში გამგზავრების სამზადისი უკვე დაწყებულია. 3 დეკემბერს ერთკვირიანი ვიზიტით საბჭოთა კავშირში ჩამოვიდა საფრანგეთის მთავრობის თავმჯდომარე დე გოლი. ორ ქვეყანას შორის ხელშეკრულება გაფორმდა და იგი გაზეთებშიც დაიბეჭდა. პირადი შეხვედრისასა სტალინს გენერალ დე გოლთან საფრანგეთში დაცული საქართველოს განძეულობის შესახებაც უსაუბრიათ და მისგან ქონების დაბრუნების პირობაც მიუღია.

1945 წლის 12 იანვარს მიმღები კომისია — შალვა ამირანაშვილი და პეტრე შარია, საფრანგეთს გაემგზავრა. თეირანის, კაიროს, მარსელის, დიჟონის გავლით პარიზში ჩაფრინდნენ, სადაც საბჭოთა კავშირის საელჩოს წარმომადგენლები ელოდებოდნენ.

**„ვინახულეთ ექვთიმე თაყაიშვილი, რომელიც სსრკ გენერალური კონსულის ბინაში ცხოვრობდა. იგი მოუთმენლად ელოდა ჩვენს ჩასვლას. ვერ აგიწერთ მის სიხარულს.**

**— როგორ დაბერებულხარ, ძლივს გიცანი, — იყო მისი პირველი სიტყვები. იგი ამ დროს უკვე 82 წლისა იყო...“ —** იხსენებდა მოგვიანებით შალვა ამირანაშვილი.

კოლექციების აღწერას და თბილისიდან ჩატანილ სიებთან შეჯერებას სამიოდე კვირა დასჭირდა — ყველა კოლექცია, ნივთი თუ დოკუმენტი სრულად იყო შენახული. ჯერ კიდევ ომი მძვინვარებდა და ასეთი საგანძურის ტრანსპორტირება უთუოდ დიდ რისკს უკავშირდებოდა. მიუხედავად ამისა, მოსკოვიდან სამი თვითმფრინავი გაგზავნეს პარიზში. ერთში საბჭოთა საელჩოს დოკუმენტები ჩატვირთეს, დანარჩენ ორში — ქართული საგანძური, აიყვანეს მცველები და 5 აპრილს საქართველოსკენ გამოეშურნენ. ამჯერად, რომის, კაიროს და თეირანის გავლით და 12 აპრილს თბილისის აეროდრომზე დაეშვნენ.

**„ექვთიმე თაყაიშვილი მეტად ღელავდა ამ ხანგრძლივი საჰაერო მოგზაურობის დროს. ეს იყო მისი პირველი მგზავრობა თვითმფრინავით. მან ჯერ კიდევ წამოსვლისას ჩამომართვა სიტყვა, რომ თუ გზაში რამე ცუდი მოუვიდოდა, არსად არ დავტოვებდით და ცოცხალსა თუ მკვდარს სამშობლოში ჩამოვიყვანდით. საბედნიეროდ მან ეს ხანგრძლივი მოგზაურობა კარგად აიტანა, ხოლო სამშობლოს ნახვამ მეტი მხნეობა და სულიერი ძალა შესძინა“.**

მიმღებმა კომისიამ, რომელსაც აკადემიკოსი სიმონ ჯანაშია ხელმძღვანელობდა, ჩამოტანილი განძეულობა შეამოწმა და აღწერა; მისი სრული სია 1946 წელს ბროშურის სახით დაიბეჭდა კიდეც რუსულად.

ხელნაწერები და საარქივო დოკუმენტები სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებას (ამჟამად — ხელნაწერთა ინსტიტუტი) გადაეცა, არქეოლოგიური კოლექციები — სახელმწიფო მუზეუმს, ხოლო ხელოვნების ნიმუშები — ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმს.

ჩვენ არაფერი გვითქვამს შალვა ამირანაშვილის სამეცნიერო რეგალიებზე, არც მის „ნამდვილ სახლზე“ — საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმზე, რომელსაც იგი 36 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა, არც მისი ინიციატივით გამართულ საერთაშორისო გამოფენებზე, რომლებიც ქართული ისტორიისა და კულტურის მსოფლიოსთვის გაცნობას ემსახურებოდა... დიდი ერისკაცის დიდი ბიოგრაფია ერთ საგაზეთო დიდ წერილშიც კი, რასაკვირველია, ვერ ჩაეტეოდა.

**ელზა ნაბახტეველი**

# მოვიაროთ და მოვუაროთ საქართველოს

### ბოლნისის სიონისკენ

თბილისიდან გასულები 20-25 კმ-ში შევუყევით აღმართს და უსიამოვნოდ უცნაური სუნი გვეცა, იმგვარი, პირღებინებაზე ფიქრი რომ მოეძალება ადამიანს. რა შეიძლება ყარდეს გაშლილ სივრცეში ასე საშინლად? — მომაკვდავი კუმისის ტბა უკვე მკვდარი თევზებითა და წყალმცენარეებით. არადა, არცთუ დიდი ხნის წინ გახლდით კუმისის ტბასთან მდებარე აგარაკზე და ლივლივებდა ტბა, პატარა კაპარჩხინები რეზო ძიას მიერ გაკეთებული ვიწრო არხით ეზოშიც კი შემოდიოდნენ... რატომ შეეზღუდა ტბას ალგეთის და სრულად შეუწყდა მტკვრის წყლის მიწოდება, ვის და რა ინტერესი შეიძლება ჰქონდეს, დაბეჯითებით ვერავინ ამბობს, ფაქტი მხოლოდ ის არის, რომ სიმყრალე კარგა შორ მანძილზეც იგრძნობა, ტბა კი, რომლის ფსკერი სამკურნალო ტალახით იყო ცნობილი, მასში მობინადრეებიანად კვდება. 20 აპრილიდან თევზაობის სეზონი იწყებოდა, მხოლოდ ანკესის ჩაგდება უნდოდა (1 ანკესი 4 ლარი ღირდა) და საზანი, კარპი, სქელშუბლა („ტალსტალობიკი“), სარკისებრი კობრი, ხრამული, წვერა, ჭანარი, გველანა, კაპარჩხინა (კარასი), თეთრი ამური და გამბუზიაც (მალარიის კოღოს მტერი) კი ამოყვებოდა... თეთრი ამური 60-იან წლებში სპეციალურად ჩამოიყვანეს რუსეთიდან და გააშენეს, რადგან ერთი, რომ საკვებად გემრიელია და მეორე — ტბის „დამლაგებელია“, წყალმცენარეების უსარგებლო ნარჩენებისგან ასუფთავებს. კითხვა უპასუხოდაა დარჩენილი: — მაინც, რა „დააშავა“ კუმისის ხელოვნურმა ტბამ, რატომ აშრობენ გამიზნულად, აუცილებლად მასშიც ეკლესია (ჟინვალის, წალკის, სიონის წყალსაცავების მსგავსად) უნდა ყოფილიყო ჩაძირული რომ გადარჩენილიყო?!



ქუმისის ტბა

წალკის რაიონის მშვენიერი, მაგრამ გაუდაბურებულ-დასასუფთავებელი გარემოს ნახვის შემდეგ დარწმუნდება კაცი, რომ ვერაფრით შეადრის ერთმანეთს ჟანგბადით სავსე წალკის რაიონს უჟანგბადო, დახრუკულ, მაგრამ სიცოცხლით სავსე ამ მხარეს! „ქარნი ხორშაკნი და წყალნი მავნებელნი“ — გაახსენდება იაკობ ხუცესის სიტყვები ჩრდილსდანატრებულ და მწყურვალ მოგზაურს, რომელიც რაჭისუბანშიღა (სავანეთი) ამოისუნთქებს, მჟავე წყალთან, ისიც, ალბათ, იმ შემთხვევაში, თუ მისი ორგანიზმი მინერალური წყლის ქიმიურ შემადგენლობას მიიღებს (ორ მამაკაცზე უარყოფითად იმოქმედა).

2002 წლის საქართველოს მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის სურათის მიხედვით 4 601,5 საქართველოს მოქალაქიდან 284, 8 აზერბაიჯანელი იყო აღრიცხული, კონკრეტულად ქვემო ქართლში კი ამგვარი პროცენტული განაწილება იყო: ქართველები — 44,71%; აზერბაიჯანელები — 45,14%; სომხები — 6,39; ბერძნები — 1,49% და 2,2% სხვა. დღეს რა მონაცემებია, უცნობია, მაგრამ კატეგორიული რეალობა ასეთია — აღნიშნული მხარის გარკვეული მონაკვეთები მხოლოდ წარწერებით მიახვედრებს ადამიანს, რომ აქაც საქართველოა. საუბარი არ არის მხოლოდ არაქართველ მოსახლეობაზე, მოვლილი კარმიდამოები და მინდორ-ველები, სისუფთავე და საჭირო ადგილზე სანაგვე ბუნკერები, საეჭვოა, მხოლოდ ადგილობრივი მმართველობის დამსახურება იყოს... ადგილზე გასაყიდად გამოტანილი ხილ-ბოსტნეულის გამყიდველები (არაქართველი) ყოველ ნაბიჯზე ისხდნენ გზებზე და ვერსად, ვაგლახად დაგდებულ ხახვის ერთ ნაქურჩალს ვერ ნახავდა მოკირკიტე თვალი, არათუ დახვავებულ ნაგავს...

### ბოლნისის სიონი

ბოლნისის სიონი ადრინდელი ფეოდალური ხანის ქართული არქიტექტურის იმ ძეგლთაგანია, რომლისთვისაც ფასადური გადაწყვეტა უკანა პლანზეა გადაწეული და ყურადღება შიდა სივრცის გადაწყვეტაზეა გამახვილებული. ბოლნისის სიონზე არსებული სამი უძველესი წარწერის გამო მის შესახებ იმდენი ინფორმაცია არის ჯერ კიდევ სკოლიდან მიწოდებული, ვფიქრობთ, მკითხველმა არ მოიწყინოს, ამდენად, მხოლოდ იმას შევმატებთ, რაც შესაძლოა, მიზეზთა გამო ყველამ არ იცოდეს.

ბოლნისის სიონში, პირველად ქართულ არქიტექტურაში, გვხვდება სკულპტურული გამოსახულებანი (ხარის თავი, სხვადასხვა ფრინველი და ცხოველი) და ქრისტიანული სიმბოლოს, ჯვრის სხვადასხვაგვარი გამოსახულებანი, მაგალითად, ბოლოებგაფართოებული ჯვარი წრიულ ჩარჩოში, რომელიც „ბოლნური ჯვრის“ სახელით გავრცელდა.

ბოლნისის სიონის მშენებლობის დასაწყისი და დასრულება აღნიშნულია მეორე წარწერაზე, ქრონოლოგიური დანიშნულების შემორჩენილი სიმბოლოებითაა გადმოცემული, რომ ტაძარი შენდებოდა 15 წლის განმავლობაში და დამთავრებულია 351 წელს. 1975 წელს გამოსულ „ენციკლოპედიაში“ კი სხვაგვარად არის განმარტებული იგივე წარწერა, რომ მისი მშენებლობა დაწყებულა 479 წელს და დამთავრებულა 15 წლის შემდეგ, 493-494 წელს. ძალიან მარტივად მოხერხდა ყალბი თარიღის დასაბუთება (ყველა დროში რატომ აყალბებს „ვიღაც“ საქართველოს ისტორიას?!) — მეფე მირიანის სპარსი სიძის სახელი მიაკუთვნეს სპარსეთის მეფეს, რომელიც ტაძრის დამთავრებისთვის 10 წლის გარდაცვლილი იყო და ამგვარად, IV საუკუნის პირველ ნახევარში აშენებული ტაძრის თარიღი V საუკუნის მეორე ნახევარში გადაიტანეს, ანუ ბოლნისის სიონი აშკარად გადასათარიღებელი აღმოჩნდა.

### ბოლნისის რაიონი

არქეოლოგიური კუთხით, როგორც სპეციალისტები ამბობენ, მთელი ბოლნისის რაიონი გადასათხრელია, თუმცა, მიუხედავად რაიონის მდიდარი მიწისქვეშა წარსულისა, მავანთათვის მაინც კატეგორიულად წარმოუდგენელია, უძველესი ქართული კულტურის არსებობის აღიარება. „გაოგნებული ვარ იმ ამბით, რომ განზრახულია პრეისტორიული ხანის სამთო ძეგლის განადგურება; საყდრისი წარმოადგენს მსოფლიოში უძველეს ოქროს მაღაროს, უნიკალურ კულტურულ მემკვიდრეობას, რომელიც იმსახურებს როგორც დაცვას, ასევე მომავალ კვლევებს. გთხოვთ, დაუყოვნებლივ შეაჩეროთ ნებისმიერი სამთო წარმოება ძეგლზე“, — ამონარიდი პროფესორ ვილჰელმ კრულის ოფიციალური წერილიდან. კურიოზია, მაგრამ ასეა, იქ, სადაც დღესაც ოქროს მოიპოვებენ, „არ სჯერათ“, რომ ორიოდე ნაბიჯზე ოქროს მაღარო ჰქონდათ გაწყობილი ათასწლეულების წინ ჩვენს წინაპრებს...

გასული საუკუნის 60-იან წლებში არქეოლოგიურმა ექსპედიციამ ბოლნისის სიონის მახლობლად გამოავლინა ანტიკური ხანის კრამიტსამარხები, სამხრეთ-დასავლეთით მდებარე გორაზე კი ციხესიმაგრის ნანგრევები, ქვითკირით ნაგები ბურჯებიანი გალავანი. ბოლნისის სიონის ჩრდილო-დასავლეთით, „ლამაზ გორაზე“ ექსპედიციამ შეისწავლა V-VIII საუკუნეების სამონასტრო კომპლექსი; ბოლნისის რაიონში სხვადასხვა დროს ექსპედიციამ აღმოაჩინა ანტიკური ხანის რკინის სადნობი სახელოსნოს ნაშთები სოფელ ქვემო ბოლნისში; ფეოდალური ხანის სახელოსნოს ნაშთები მდინარე წუღრუღაშენის ხეობაში, ნასოფლარ გომბათთან; XVII–XVIII სს სახელოსნოების ნაშთები სოფელ ბოლნისთან მდინარე რკინისწყალზე; ბოლნისის რაიონის სოფელ ნახიდურში, არუხლოს ნამოსახლარზე, საქართველოს ეროვნული მუზეუმისა და გერმანიის არქეოლოგიის ინსტიტუტის გაერთიანებულმა ექსპედიციამ გამოავლინა ძვ. წ VI ათასწლეულით დათარიღებული საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობები უცნაური ფორმის არხებით, რომელთა დანიშნულება ჯერ კიდევ უცნობია.



ქვეშის ციხე

### ქვეშის ციხე

მდინარე მაშავერას მარცხენა სანაპიროზე, ველზე უეცრად ამოზიდული კლდიდან ქვეშის ციხე გადმოსცქერის მიდამოს. ციხე, ფაქტობრივად, მიუვალია და ისეთ ადგილზე მდებარეობს, საიდანაც მარტივად გააკონტროლებდა სამშვილდიდან ტაშირისა და ზურტაკეთ-ჯავახეთის მიმართულების გზებს. ქვეშის ციხესიმაგრის არსებობა წინაფეოდალური ხანიდან ითვლება, რომელიც „სომხურ გეოგრაფიაში“ VII საუკუნის ქვეშის ხევის ცენტრად მოიხსენიება (IX საუკუნეში დმანისის გაქალაქების შემდეგ დაკარგა ცენტრის სტატუსი)

XII საუკუნის ბოლოს, წარმატებული ლაშქრობის შემდეგ თამარ მეფემ ქვეშის ციხე და ქვემო ქართლის კიდევ ორი ციხესიმაგრე, ორბეთი და კაენი, საგანმგებლოდ გადასცა საქართველოს მსახურთუხუცესს ვარდან დადიანსა და მის შვილს. როგორც თამარ მეფის ისტორიკოსები გადმოგვცემენ, მიუხედავად იმისა, რომ დადიანს მნიშვნელოვანი მამულები და ძლიერი ორბეთის ციხეც ჰქონდა, რეზიდენციად მაინც ქვეში აურჩევია, როგორც მიუვალი და ძლიერი ციხე.

მართლაც მიუვალი ციხეა და მისი ქონგურებიდან როგორც ხელისგულზე გადაშლილი, ისე მოჩანს ვრცელი მიდამო ყველა მხარეს. როგორც ისტორია გვამცნობს, ვარდან დადიანი თამარ მეფის საწინააღმდეგოდ მოწყობილ აჯანყებას ჩაუდგა სათავეშიგგიორგი რუსის სასარგებლოდ და თამარმა ქვეშის ციხე ერთგულ თორელთა საგვარეულო საგამგებლოდ გამოაცხადა. ამ დროიდან ქვეშელებად იწოდებოდა თორელთა ის განშტოება, რომელიც ამ ციხეს ფლობდა — ასეთები იყვნენ ჯავახიშვილები, რომელთაც ბაგრატ VI-ისგან გამოუსყიდიათ ქვეშის ციხე. გამოსყიდვის სიგელიდან ჩანს, რომ იმ დროისთვის ქვეში ინარჩუნებდა თავის პოლიტიკურ მნიშვნელობას, რასაც ხელს უწყობდა მასზე გამავალი სავაჭრო გზა, რომლის გამოც ქვეში ერთგვარი საბაჟო იყო. ჯავახიშვილებს დიდხანს არ დარჩენიათ ქვეშის ციხე, ქართლში დაწინაურდნენ ბარათაშვილები და მათ გამგებლობაში გადავიდა.

მას შემდეგ, რაც შაჰ-აბას I-მა ქართლს მდინარე დებედას ხეობა ჩამოართვა და იქ ბორჩალოს თურქმანული ტომი ჩაასახლა, მაშავერას ხეობის ციხეებმა კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა შეიძინეს. XIX საუკუნის დასაწყისში ქვეშის ციხე უკვე რუსებმა დაიკავეს და კავკასიის მთავარმართებლის ტორმასოვის ჯარის ნაწილი იდგა.

ციხესიმგრე მთლიანად შემოზღუდულია მძლავრი, ტეხილი ქვისგან კირხსნარით შედუღაბებული ნაგები გალავნით. ციხეს ერთადერთი შესასვლელი აქვს, რომლის თავზეც წაშლილი წარწერაა. ციხის შიგნით საუკუნეების ნანახი 1,5-იანი სიგანის კიბე ხელუხლებლად არის შემორჩენილი; შემორჩენილია ასევე, კვარდებით დამუშავებული კარის პატარა ეკლესია და გარეთ, კლდეშივე გაჭრილი წყლის პატარა რეზერვუარები. ეკლესიის კარის თავზე ინტერიერში ჩადგმულია VI-VII სს სტელების სტელები კვარცხლბეკზე აღმართული ბოლნური ჯვრებისა და მცენარეების რელიეფებით. როგორც ჩანს, ეკლესია რამდენჯერმე აღუდგენიათ, ხოლო იმ სახით, რაც დღესაა, სავარაუდოდ XVIII საუკუნეში უნდა აღედგინათ.

**(გაგრძელება იქნება)**



ბოლნისის სიონი

გაგრძელება. დასაწყისი იხ. წინა ნომერში

# ალისტრახოები და დეზინფორმაციის სახედარზე უკუღმა შემჯდარი საზოგადოება, ანუ ალისტრახო, აუუუუ...



ალისტრახო როხვაძეს რა დამავიწყებს, მაგრამ ეს, მართლაც პატივცემული გვამი და როგორც ასეთ დროს იტყვიან, საკუთარი სტომაქის პატივისმცემელი, ალისტრახო, ამ დღეებში ერთმა ამბავმა გამახსენა.

ქართულ სინამდვილეში ალისტრახოები ჩვეულებრივი მოვლენა გახდა და ეს დალოცვილები, რატომღაც, მაინცდამაინც ჟურნალისტიკას ეტანებიან.

ალისტრახო როხვაძის აჩრდილმა ჩემს თვალწინ მაშინ გაიელვა, როცა გასულ კვირას ჟურნალისტს სასტიკად სცემეს. ცოდვა გამხელილი ჯობიაო და ცოტა არ იყოს შემეშინდა: ვაითუ, ვინმე დამხვდეს ბნელ კუთხეში და კარგა გვარიანად მიმბეგვოს „პატრიოტობის" და „ჟურნალისტობის" ვიღაცებისთვის დასამტკიცებლად-მეთქი.

არადა, როგორც მასწავლეს, არაა ცემა-ტყეპა და ფურთხი ჟურნალისტის საქმე. ამიტომ, ახლა მე რომ უტყუარ ჭეშმარიტებაზე დავიწყო საუბარი, ჟურნალისტი და ჟურნალისტიკა ხალხს და საზოგადოებას ზრდის და გზას უკვალავსო, ვფიქრობ, დროის კარგვა იქნება, რადგან ყველამ კარგად ვიცით ეს ამბავიც.

ნაცების ტელევიზიად უკვე საყოველთაოდ აღიარებული „რუსთავი-2"-ის გადაცემა „P.S."-დან კვირას ჟურნალისტიკის კიდევ ერთმა ალისტრახომ გამოყო თავი და მას შემდეგ, რაც ამ „ბნელი ქართველების" გონებაში სინათლიუს შემტანის როლი იკისრა, ახალი მტერი ამხილა და ციხის კადრების ავტორი რუსეთის სახელმწიფოს საიდუმლო სამსახურებთან კავშირში დაადანაშაულა.

სახელმწიფოს წინააღმდეგ მოქმედებაში დადანაშაულებულს, სავარაუდოდ, პროკურატურა მიხედავს. მაგრამ საინტერესო ის არის, სატელეფონო საუბრები, რომელიც 2012 წლის 1 ოქტომბრის შემდეგ ადრესატსა და სახელმწიფო სტრუქტურის — პროკურატურის მაღალჩინოსნებს შორის მიმდინარეობდა, იმ საუბრების აუდიოჩანაწერები როგორ მოხვდა ჟურნალისტის ხელში.

სქემა მარტივია — მაშინ, როცა ნაცხელისუფლების სათავეში „დემოკრატიის შუქურა" მიშა იდგა და აცხადებდა, რომ უკანონო მოსმენები ისჯება, მოსასმენი აპარატურა, ცხადია, ნაცების ხელში იყო და ყველა სატელეფონო ზარს იწერდა და ინახავდა. ჩანაწერები, სავარაუდოდ, სოდში ან კუდში ინახებოდა, ხოლო ეს 5 000 აუდიოფაილი, ასევე სავარაუდოდ, „ნაციონალების" სოდმა ან კუდმა გადასცა კონკრეტულ პირს, რომელიც ახლა ამ ჩანაწერების გამომზეურებით ახალი სკანდალის აგორებას და „რუსეთის აგენტების" გამოაშკარავებას ცდილობს.

და რა მტკიცდება ამით, ის, რომ ციხის კადრების ავტორი რუსეთის აგენტი იყო? ვისი აგენტიც არ უნდა ყოფილიყო, ის არაადამიანური წამება და დამცირება, რაც ქართულ ციხეებში ხდებოდა, არის ფაქტი და „ნაციონალებმა" არაერთხელ დაამტკიცეს, რომ იყვნენ ამის გამკეთებელი.

ბოლოს და ბოლოს, მიხეილ სააკაშვილმაც ხომ აღიარა კარანტინის კადრებზე, რომ ეს იყო სისტემური დანაშაული?! სხვათა შორის, „ჯალათი ბედუკაძე" კარანტინის დასჯაში არ მონაწილეობდა. ის მაშინ ქვეყნის გარეთ იყო... მაგრამ ვიღაცები მაინც ცდილობენ რაღაც დაამტკიცონ.

აი, ასეთი ჰიბრიდული ნაცჟურნალისტიკა გვაქვს ჩვენ, მედიაფრანკენშტეინები, რომლებიც ჯანსაღი საზოგადოების გონები ასამღვრევ ინფორმაციებს უშვებენ თავიანთ მედია-ლაბორატორიებიდან, ფსიქოლოგიური ზეწოლის ხერხებს ხვეწენ.



ზოგიერთი ბილწსიტყვაობს, ლანძღავს, ენას უყოფს და ამცირებს ოპონენტს და ამით თითქოს გულს ფხანს მუდმივი გაურკვევლობის და მოლოდინის რეჟიმში მყოფ საზოგადოებას. ფხანა კი ქეცმა იცისო, ილია ჭავჭავაძე ამბობდა. დღეს ჩვენ ამათ ხელში ქეციანი საზოგადოება გამოვდივართ, რომლებსაც ზონდერჟურნალისტები პრესა-ტელევიზიიდან დეზინფორმაციულ სახედარზე ხან უკან შეგვსვამენ, ხან — წინ...

ხალხი ბრძენია, ბოლოს და ბოლოს, ყველაფერს ხვდება და ჟურნალისტებს აგდებით რომ მოიხსენიებს ხოლმე, სწორედ იმის ბრალია, ქუჩის მატრაბაზივით რომ ელაპარაკებიან პრესითა და ტელევიზიით.

არც ერთი, თუნდაც „ბნელი საზოგადოება" არ დააფასებს ასეთ ჟურნალისტს, რომლის კოლექტიური სახელი, სინამდვილეში, ალისტრახო როხვაძეა.

ეს ე. წ. „პროფესიონალები" ჟურნალისტიკიდან პოლიტიკაში გადასვლას ლამობენ და ეს არაერთხელ განუცხადებიათ ხმამაღლა. თქვე კაი ადამიანებო, ბოლოს და ბოლოს. ან ჟურნალისტი იყავით, ან პოლიტიკოსი, ან ძველი ბიჭი, ან პოლიტიკოსობას ეცით პატივი, ან ჟურნალისტიკას, ან კაი ბიჭობას?!..

ხან ის რომ გინდა და ხან ეს — როგორაა ახლა ეს საქმე?!

ერთმა ახლობელმა მიამბო: წლების წინ ჩემს სოფელში ერთი ხელწამკრავი კაცი ცხოვრობდა. ყველამ იცოდა მისი ამ ხასიათის შესახებ და როცა სტუმრობდა ვინმეს, ყველა ხელებში უყურებდა ხოლმე.

ერთ დღეს ერთ ჩემ მეზობელს ქალაქში მოუწია წასვლა. არ იცოდა, სახლ-კარი ვისთვის დაეტოვებინა. კარგად უწყოდა, რაც უნდა ვინმეს ეთვალთვალა, ის ხელმრუდი მაინც ააწაპნიდა რამეს. იფიქრა, იფიქრა და ბოლოს იმ ქურდ მეზობელს უთხრა: გრიშა, შენზე უფრო პატიოსანი ამ არემარეში არავინ მეგულება, მიმიხედე ოჯახს, ერთი კვირით ქალაქში მივდივარო.

როგორც გითხარით, გრიშას სასტიკად ჰქონდა სახელი გატეხილი და, ცხადია, ეს არ სიამოვნებდა. ჰოდა, იმის დასამტკიცებლად, რომ კარგი კაცი იყო, იმ ერთ კვირას და არც მერე, არასოდეს, იმ კაცის ეზოდან არაფერი მოუპარავს, რადგან ის მეზობელი იყო კაცი, ვინც გრიშას ენდო.

ეს ამბავი იმიტომ მოვყევი, რომ გრიშას მაგალითის გამოყენება განვიზრახე ცოტა ხნის წინათ და ქება და ყვავილები მივუძღვენი ერთ ჩემს ე. წ. კოლეგას და ე. წ. ჟურნალისტს, რომელსაც პირში უცინიან ხოლმე და ზურგს უკან ენას უყოფენ. ადგა ეს ჩემი ე. წ. კოლეგა და ვინაა შენი „სიმპათიურიო", უკან მომიგდო „საჩუქარი" და ლამის ჩემს მაკომპრომეტირებელ ფაქტებად გამოიყენა მისდამი გამოჩენილი ქველმოქმედება...

ფუი, ეშმაკს...

ერთხელ მოვიქეცი არაგულწრფელად და ისიც უკან მომიბრუნდა. მადლობა იმ ჩემს ე. წ. კოლეგას, კარგი გაკვეთილი იყო, აღარ ვაპირებ, აწი, ასეთი რამ დავწერო არც ღიად, არც შინაურობაში.

ამიტომ ძალიან მალე ვაპირებ ზოგიერთი მედიასაშუალების და მისი ხელმძღვანელების უკან ვინც დგას, რა მიზანსაც ისახავს და რატომ, ყველაფერი ღიად და ყველა დავასახელო, მეგობრებიც, „პერსონალური მეგობრებიც", დამფინანსებლებიც, მხარდამჭერები და წამქეზებლებიც. რომლებიც, ამ ე. წ. მედიარეპორტიორებს როგორც ერთ დიდ ქვევრს, ისე რომ ჩასძახებენ და თვითონ რომ ამოსძახებს და მერე ნიშნისმოგებით რომ აკანტურებს თავს...

ამას წინათ ინგა გრიგოლიამ თქვა: ჟურნალისტიკაში პედაგოგობიდან მოვედიო. ინგა გრიგოლიათი თუ ვიმსჯელებთ, ყოფილი პედაგოგები არცთუ ურიგო ჟურნალისტებად ყალიბდებიან, ხოლო ყოფილი პოლიციელები, ყოფილი გვარდია-მხედრიონელები — ალისტრახოებად.

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18

# როდის გამოიძიებს საქართველოს პროკურატურა იმ უმძიმეს დანაშაულს, რაც მიხეილ სააკაშვილმა 2008 წლის აგვისტოში ჩაიდინა?

*ინტერვიუს მიზანია საზოგადოებას აჩვენოს ექს-პრეზიდენტ სააკაშვილის მიერ საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული ავანტურის ანატომია, რომლის ფინალიც 2008 წლის ომი იყო („საერთო გაზეთმა“ წინა ნომრებში ამ თემას პუბლიკაციები უკვე მიუძღვნა) „საერთო გაზეთი“ უშიშროების ყოფილ შეფს, „დემოკრატიული მოძრაობა-ერთიანი საქართველოს“ წარმომადგენელს* ***ირაკლი ბათიაშვილს*** *ესაუბრა.*

**— ბატონო ირაკლი, 2008 წლის ომი სპონტანურად, გაუთვალისწინებელი შეცდომების გამო, მოწინააღმდეგე მხარის პროვოკაციული ნაბიჯების გამო დაიწყო, თუ წინასწარ გათვლილი გეგმის მიხედვით? 2005 წელს**



ავანტურისთვის, როდესაც 2006 წელს კოდორის ხეობა, აბსოლუტურად, შეგნებულად განაიარაღა. ახლა, მე არ ვიცი, ვინმე თუ თვლის, რომ სააკაშვილი იმდენად სულელი იყო, რომ ამ ყველაფერს აკეთებდა ისე, რომ არაფერი ესმოდა, ან ვერაფერს ხვდებოდა, რა თქმა უნდა, ფსიქიურად სააკაშვილი ყოველთვის პირდაპირ რუსეთის სადესანტო და რეგულარული ნაწილების შემოტევისგან. 2002 წელს, როდესაც რუსებმა დესანტი ჩამოსხეს პირდაპირ აჟარაში, მაშინ ალყა დაარტყეს კოდორელებმა, საოცრად ეფექტურად იმოქმედეს და აიძულეს ისინი განიარაღებულიყვნენ და წასულიყვნენ. აი, ეს ძალა განაიარაღა სააკაშვილმა. ამას დაემატა ის, რომ კოდორის ხეობაში ჯარის შეყვანით მიშამ დაარღვია 1994 წლის შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ, რომლის მიხედვითაც კოდორის ხეობაში არ შეიძლებოდა ჯარი შეგვეყვანა. ანუ რა მოხდა, სამართლებრივი თვალსაზრისით, ფორმალურად საბაბი მისცეს რუსეთს იქ შემოჭრის, გესმით? ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი. ახლა ნახეთ, დაარღვიეს ეს შეთანხმება (რუსეთს იქ შემოჭრა უნდოდა, მაგრამ საბაბს ეძებდა და საბაბი მისცეს), სექტემბერში უკვე რუსეთმა შეძლო და გაეროს უშიშროების საბჭოს მიაღებინა დოკუმენტი, სადაც დაგმობილია სპეცოპერაცია, რომელიც ჩატარდა კოდორის ხეობაში. და გაეროს უშიშროების საბჭოში დოკუმენტს ასე ადვილად ვერ იღებენ. აი, ყველაფერი ხელისგულზე დევს, ეს იყო პირდაპირ შეთქმულება. რუსეთს შეეძლო ეს სპეცოპერაცია საერთოდ არ დაეშვა, რადგან ჯვარზე მისი სამშვიდობო ჯარები იდგა. მათ კი სპეციალურად გაუშვეს, გზა გაუხსნეს. მათ სჭირდებოდათ ეს, განიარაღებულიყო იქ ის ხალხი, ვისაც ამ ხეობის დაცვა შეეძლო და ფაქტი ყოფილიყო, რომ დაირღვა სამშვიდობო შეთანხმება. აი, ეს იყო ნიადაგის მომზადება შემდგომ იმისთვის, რაც განხორციელდა 2008 წლის აგვისტოში, როდესაც უკვე 2008 წლის აგვისტოში რუსეთის შიდა ქართლში და მთელ დასავლეთ საქართველოში შემოჭრასთან ერთად, რუსეთი სეპარატისტებთან ერთად შემოვიდა კოდორის ხეობაში და ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე, ერთი გასროლის

„ასეთ დროს საომარი სიტუაცია ცხადდება ქვეყანაში, რაც სააკაშვილმა არ გააკეთა. ეს უმძიმესი დანაშაულია, ხალხო. პროკურატურას ვეკითხები გამოსაძიებელი არის თუ არა ეს?“.

გარეშე საქართველოს ხელისუფლებამ ჩააბარა ეს ხეობა უზარმაზარი შეიარაღებითა და მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობით, დიახ, ხონჩით მიართვა. ახლა მოდი და ნუ იფიქრებ, რომ ეს არ იყო შეთქმულება, ძალიან ძნელი წარმოსადგენია. მე, თავის დროზე, უშიშროების შეფი ვიყავი და არ მიყვარს გადაჭრით რაღაცის თქმა, მაგრამ ეჭვს არ ღძრავს, რომ ეს ყველაფერი, ეს ავანტურა იყო წინასწარ დაგეგმილი.

რაც შეეხება 2008 წლის აგვისტოს მოვლენებს, აქ შევხედოთ საქმის ვითარებას ასე. 2008 წლის დასაწყისში მოხდა კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარება აშშ-ს და ევროკავშირის ქვეყნების უმრავლესობის მიერ. კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარება ჯერ კიდევ კითხვის ნიშნის ქვეშ იყო 2008 წლამდე. აქ დაეჯახა ერთმანეთს აშშ -ს, ევროპისა და რუსეთის ინტერესები და ა. შ. 2008 წელს იქნა გადაწყვეტილება საბოლოოდ მიღებული. და კრემლში იყო ერთმნიშვნელოვნად გადაწყვეტილი, რომ თუ კოსოვოს დამოუკიდებლობას აღიარებდნენ, მაშინ რუსეთი მიიღებდა საპასუხო მოქმედებებს. ცხადია, ხომ საპასუხო მოქმედებები რა უნდა ყოფილიყო?! აი, ჩვენ დავინახეთ კიდეც, რა იყო რუსეთის საპასუხო მოქმედება, კერძოდ, სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარება, მაგრამ ამ შემდგომი გარიგების საფუძველზე, ან დიდი ფულის საფასურად მოხდა, ასე ძალიან პრიმიტიულად რომ ვთქვათ. **ფაქტია, კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარების მერე რამდენიმე თვეში სააკაშვილმა დაიწყო ცხინვალის დაბომბვა, რა თქმა უნდა, ეს რუსეთის მიერ იყო ჩაწყობილი და რუსეთი გამზადებული იყო, რომ შემოჭრილიყო საქართველოში, მაგრამ ომი დააწყებინა სააკაშვილს. დღეს არავინ უარყოფს მსოფლიოში, არც ერთი სახელმწიფო, რომ პირველი სამხედრო მოქმედებები დაიწყო სააკაშვილმა. ტალიავინის დასკვნა კი არ არის, ის არის ევროკავშირის კომისიის დოკუმენტში ნათქვამი და ეს არის უმნიშვნელოვანესი. დიახ, მიშამ დაიწყო პირველი სამხედრო მოქმედებები, იქ პირდაპირ წერია და ეს სერიოზული დოკუმენტია**. იქ რუსეთი სერიოზულად არის დადანაშაულებული მთელ რიგ იმპერიალისტურ ქმედებებში, მაგრამ ის, რომ ამან პირველმა დაიწყო მაპროვოცირებელი მოქმედება, ეს ერთმნიშვნელოვნად ცხადია. დასავლეთის პრესაში წერია - რუსეთს სჭირდებოდა შემოჭრის საბაბი, ამან ეს საბაბი მისცა, რუსეთი შემოიჭრა. ეს იყო სამ-



**სააკაშვილი ამკვიდრებს ტერმინს სამხრეთ ოსეთი, შემდეგ სამხრეთ ოსეთში საპრეზიდენტო არჩევნებს ნიშნავს, ამ ნაბიჯით, ფაქტობრივად, ცნობს სამხრეთ ოსეთის, როგორც სახელმწიფოებრივი სუბიექტის ლეგიტიმურობას...იყო თუ არა ეს მოსამზადებელი პერიოდი, საბოლოოდ 2008 წლის ომი და რუსეთის მიერ ჩვენი ტერიტორიების დამოუკიდებლობის აღიარება მივიღეთ?!**

— რა თქმა უნდა, 2008 წლის ომი წინასწარ იყო დაგეგმილი, დაუგეგმავად, ნამდვილად, არაფერი მომხდარა. მე მგონი, ჩვენს საზოგადოებას კარგად ესმის, რომ სამხედრო მოქმედებები დაუგეგმავად არ ხდება. ვიმეორებ, ეს იყო დაგეგმილი, შეიძლება ცუდად დაგეგმილი, მაგრამ დაგეგმილი სამხედრო მოქმედებები, თანაც ის უნისონში აღმოჩნდა რუსეთის გეგმებთან. დიახ, აბსოლუტურად უნისონში აღმოჩნდა სააკაშვილის გეგმები რუსეთის გეგმებთან და გამოსაძიებელია საქართველოს პროკურატურის მიერ როგორ მოხდა, რომ ყველაფერი აღმოჩნდა უნისონში რუსეთის გეგმებთან. ჯერ კიდევ 2008 წლის აგვისტოს ომამდე სააკაშვილმა, ფაქტობრივად, ნიადაგი შეამზადა მთელი ამ, ასე რომ ვთქვათ, საქართველოსთვის საბედისწერო გაუწონასწორებელი იყო და არის და ეს ყველამ ვიცით, მაგრამ, მოდით, გულუბრყვილოები ნუ ვიქნებით და ნუ ვიფიქრებთ, რომ ის საერთოდ მოქმედებდა ისე, რომ არ ესმოდა, რა შედეგები შეიძლება მოეტანა მის მოქმედებებს, ასე ნამდვილად ვერ იქნება. 2006 წლის ივლისში, როდესაც მათ განახორციელეს ე.წ. სპეცოპერაცია კოდორის ხეობაში, კერძოდ, შეიარაღებული ძალებისა და შს სამინისტროს ძალების ურიცხვი ქვედანაყოფის, თითქმის სრული ქვედანაყოფის შეყვანა და მოახდინეს იქ ადგილობრივი ბატალიონი „მონადირის“ განიარაღება, მანამდე კი, ეს ბატალიონი კანონგარეშე გამოაცხადეს და მთელი მოსახლეობა განაიარაღეს, ამით მათ, ფაქტობრივად, წინასწარ განსაზღვრეს კოდორის ხეობის ბედი.

**— მანამდე კი კოდორის ხეობას ზემო აფხაზეთი დაარქვეს...**

— დიახ, თუმცა მთავარი იყო, რომ მათ განაიარაღეს იქ ის ხალხი, რომელიც წლების განმავლობაში (1993 წლიდან) ძალიან ეფექტურად და გმირულად იცავდა ხეობას, იგივე ემზარ კვიციანი და უამრავი სხვა ადამიანი, მებრძოლები. დიახ, იცავდნენ, ხან ჩრდილო კავკასიელების, ხან სეპარატისტების, ხან ბაგრამიანის ბატალიონის, ხანაც

„2008 წლის ომი წინასწარ იყო დაგეგმილი, ვიმეორებ, ეს იყო დაგეგმილი, შეიძლება ცუდად დაგეგმილი, მაგრამ დაგეგმილი სამხედრო მოქმედებები, თანაც ის უნისონში აღმოჩნდა რუსეთის გეგმებთან“.

რამ ამისთვის მათ სჭირდებოდათ ომი და ომის პროვოცირება და ეს საქმე მათ გაუკეთა მიხეილ სააკაშვილმა. რის სანაცვლოდ? აი, ეს არის პროკურატურის გამოსაძიებელი მომავალში. დიახ, რის სანაცვლოდ გაკეთდა, რა გარიგების, რაიმე ადრინდელი გარიგების საფუძველზე თუ რადღიანი სამარცხვინო ომი. მე მგონი, სამი დღეც არ გაგრძელდა, ასეთი ომი საქართველოს ისტორიას არ ახსოვს, დიახ, ასეთი სამარცხვინო მოვლენა, რომ 3 დღეში ჩვენ წავაგეთ ომი. და მე მინდა გავიხსენო ერთი რამ, რუსეთი იგოეთთან ხელისუფლებამ კი არ გააჩერა, ამას

ევროკავშირსა და მთელ მსოფლიოს უნდა ვუმადლოდეთ, რომელმაც აიძულა კრემლი ეს არ გაეკეთებინა. და თუკი იქ 3 დღე მიდიოდა ეს რაღაც ბრძოლა, დასავლეთ საქართველოში, სამეგრელოში და კოდორის ხეობაში ისე შემოვიდა რუსის ჯარი, რომ საერთოდ უბრძოლველად, ერთი ტყვიის გასროლის გარეშე მთელი დასავლეთ საქართველო აიღო იმის დალოცვით, ბაქრაძე როა, დათო. მან, ფაქტობრივად, აკურთხა რუსის ჯარი, მოგვმართა მოსახლეობას, აბა კარგად იყავით, ღმერთი იყოს თქვენი მფარველი, რითიც გინდათ იმით დაიცავით თავიო. ალბათ, თითო ჩემოდანი მას და მის ოჯახს ჩალაგებული ჰქონდა, რომ გაქცეულიყო. აი, ასეთ სახელმწიფოში ვცხოვრობდით სულ რამდენიმე წლის წინ. საკუთარი მოქალაქეების სისხლის გუბეებს აყენებდნენ და როდესაც საქმე საქმეზე მიდგა და აგრესორის მოგერიებას შეეხო, მთელი ხელისუფლება გამზადებული იყო გასაქცევად. მე ერთმნიშვნელოვნად ვერ ვიტყვი, რომ ეს შეთქმულება იყო, მაგრამ სახეზეა მთელი რიგი ფაქტები. ვიმეორებ, ეს არის სერიოზულად გამოსაძიებელი საქართველოს პროკურატურის მიერ.

**— სამწუხაროდ, ხელისუფლება და შესაბამისი სტრუქტურები არ იძიებენ იმ გარემოებებს, რომლებიც 2008 წელს წინ უძღოდა, საინტერესოა რატომ არ იძიებენ?!**

— მე არ მაქვს საქართველოს პროკურატურასთან შეხება და ვერ გეტყვით ამას. როდესაც აგვისტოს ომს ეხება საქმე და იგივე ევროკავშირის კომისიის დასკვნაში არის მითითებული, რომ სამხედრო მოქმედებები და ცხინვალის დაბომბვა სააკაშვილმა დაიწყო, მიშამ კი მოინდომა საზოგადოების დაბოლება, რომ მას კი არ დაუწყია, რუსეთი შემოიჭრა ჯერ და ხელისუფლება იძულებული იყო, მიემართა თავდაცვითი ზომებისთვის. აქ გეტყვით რა სისულელე გამოსდის. ე.ი. გამოდის, რომ თუ რუსეთი შემოიჭრა და მიშამ ეს იცოდა ( ასე აცხადებს ხომ) ისმის კითხვა, რატომ არც ერთი განცხადება არ გაკეთდა ქვეყანაში და არც საერთაშორისო საზოგადოების მიმართ ამის შესახებ, არც 6-ში, არც 7-ში და არც 8-ში? ასეთ დროს საომარი სიტუაცია ცხადდება ქვეყანაში, ეს მთლად დანაშაულია ხალხო. გამოდის, შემოიჭრა რუსეთი და ეს მალავს ამას, გამიგეთ? მსოფლიოსაც უმალავს და ეს მთლად უარესია. დიახ, იძახის ისინი შემოიჭრენო, გამოდის დამალა და ჩაბარა. პროკურატურას ვეკითხები გამოსაძიებელი არის თუ არა ეს? ეს კაცი პირველი წავიდა იმ პროვოკაციაზე, რომელიც რუსეთს აწყობდა, ანუ პირველმა დაიწყო სამხედრო მოქმედებები, თუ მართლაც და რუსეთი შემოიჭრა პირველი და ამან დამალა ამის შესახებ? მივმართვ თქვენი გაზეთის საშუალებით პროკურატურას - გამოიძიოს ეს ვითარება.

**— ექსპერტების აზრით, კოდორის ხეობის განიარაღება და აფხაზეთზე გადაცემის სცენარი საქართველოში არ დაწერილა, თუმცა ამ ჯგუფს, რომელმაც ეს სისრულეში მოიყვანა, 50 მილიონი გადაუხადეს, შუამავალი თემურ ალასანია იყო, ის აგვარებდა ფინანსურ უზრუნველყოფასო....**



„გაირკვა, რომ კვიციანის ლიკვიდაციის ბრძანება იყო გაცემული მათ მისი დაჭერა კი არა, ლიკვიდაცია უნდოდათ. როგორც იკვეთება სწორედ იმ ჯგუფს უნდა მოეხდინა მისი ლიკვიდაცია, რომელმაც რომან დუმბაძის მკვლელობა მოახდინა“.

— ვინ გადაუხადა? მოდით, ამოვიდეთ იქიდან, რომ მაშინ კოდორის ხეობაში ეს ოპერაცია იყო პირდაპირ რუსეთის გეგმაში, დიახ, ასე გამოდიოდა. არც არის გამორიცხული, რომ სააკაშვილს ფული აეღო. სააკაშვილი საიდანაც სარგებელს იღებდა და ვისი მეშვეობითაც შეეძლო თავისი ხელისუფლება და ტახტი განემტკიცებინა იმას ემსახურებოდა და იმის ინტერესებს ატარებდა, კერძოდ, ბუშის ადმინისტრაციის, როგორც მათი ემისარი საქართველოში. ხოლო თუ საჭირო გახდებოდა და რუსეთთან გარიგების გზით შეეძლებოდა გაემაგრებინა თავისი ხელისუფლება, მაშინ რუსეთისგან აიღებდა ფულს. უარს არაფერზე ამბობდა, ეს იყო მისი სტილი. ასე მოახდინეს მათ ვარდების რევოლუცია. შევარდნაძეს თავის დროზე საინტერსო რამეები აქვს ჩემთვის ნათქვამი, ვთქვათ, იგივე დაფინანსებას საიდან იღებდა სააკაშვილი და რამდენი ჰქონდა დაფინანსება ამერიკის გარკვეული წრეებიდან, მაგრამ ასევე რუსებისგანაც, რადგან მაშინ, როგორც ჩანს, ორივეს აწყობდა შევარდნაძეს მოშორება. ანუ ის უარს არც ერთზე არ ამბობდა. რუსეთში რომ დარბოდა, ეს დაფიქსირებულია ოფიციალურად. იმ პერიოდში იგორ გიორგაძის ბრონირებული მანქანით რომ დადიოდა, ესეც ვიცით. ახლა იგორ გიორგაძე თავისი ნებით ვერ გააკეთებდა ამას, ისევე, როგორც ,,ვარდების რევოლუცია“ ამერიკის ინტერესებში იყო, რომ მომხდარიყო. ვარდების კი არა, ჩვენი გაუბედურების რევოლუცია იყო ეს. ასე რომ, მე არათუ უარვყოფ ამ 50 მილიონზე, (უბრალოდ, არ ვიცით საიდან და ვისგან აიღო) არამედ, დარწმუნებული ვარ, რომ აიღო, რადგან რაღაცის საფასურად მოხდა ეს ოპერაცია. ეს ისე მოულოდნელად დაიგეგმა, სწრაფად არა, მოულოდნელად, 2 თვით ადრე მე ვიცოდი უკვე, რომ ისინი გეგმავდნენ ამას და გაოგნებული ვიყავი. მე რაზე დამიჭირეს, ჯერ ერთი მტრად მთვლიდნენ, მეორეც გამოვედი და ღიად ვთქვი არ შეიძლება ამის გაკეთება-მეთქი, ჯარის შეყვანა არ შეიძლება-მეთქი, უნდა მოხდეს ყველაფერი მშვიდობიანი მოლაპარაკების გზით-მეთქი და მომიშორეს ამის გამო. ვიმეორებ, ვინმე რომ ჩასულიყო იქ ხელისუფლებიდან მთელი კონფლიქტი ზუსტად ერთ საათში დამთავრდებოდა, მაგრამ ამათ ეგ არ უნდოდათ, ამათ უნდოდათ სისხლისღვრა. **ახლა ახალი ფაქტები ამოვიდა კოდორის ხეობასთან დაკავშირებით კვიციანის სასამართლო პროცესის მსვლელობისას. მოწმეების, მფრინავების ჩვენებებია, სადაც ამბობენ, რა ბრძანებები ჰქონდათ მიღებული მაშინდელი გენერალური შტაბიდან. მართალია, თავდაცვის მინისტრი, მაშინ ოქრუაშვილი იყო, მაგრამ ოქრუაშვილი ამას თავისით ვერ გადაწყვეტდა, ეს სააკაშვილისგან მოდიოდა. მას უნდოდა, რომ მიწასთან გაესწორებინათ სოფელი ჩალთა და მათ ეს არ გააკეთეს. რომ გავფრინდით, დავინახეთ, რომ იქ ბავშვები დარბოდნენო და ვერ გააკეთეს ეს, აი, ამისთვის დააპატიმრეს და კარცერში ჰყავდათ. ასევე გაირკვა, რომ იყო ბრძანება მიცემული კვიციანის ლიკვიდაციისა. მათ მისი დაჭერა კი არა ლიკვიდაცია უნდოდათ. როგორც იკვეთება, სწორედ იმ ჯგუფს უნდა მოეხდინა მისი ლიკვიდაცია, რომელმაც რომან დუმბაძის მკვლელობა მოახდინა. აი, ასეთ სიბინძურესთან გვქონდა საქმე. და იმის მაგივრად, რომ ეს ხალხი ცოტა ხანს მაინც გაჩუმდეს, ახლა მაქსიმალურად გააქტიურებულია, გონორზე არიან, რაღაცის იმედი აქვთ. მარგინალი ძალაა, მაგრამ სიტუაციის არევა რომ შეუძლია, ცხადია. ფულიც აქვთ და გარკვეული მხრდაჭერაც საზღვარგარეთიდან, არა რუსეთიდან.**



**— თავდაცვის მინისტრის ირაკლი ალასანიას პოზიცია როგორი იყო, თქვენ რა ინფორმაცია გაქვთ? საუბარია იმაზე, რომ სწორედ ის ეწინააღმდეგება და ბლოკავს კვიციანის ციხიდან გათავისუფლებას...**

— ვინაიდან ერთ-ერთი დარტყმის ობიექტი აღმოვჩნდი ყველას როლი მახსოვს. მაშინ ალასანია აფხაზეთის მთავრობის თავჯდომარე იყო და მინდა გითხრათ ის ოფიციალურად წინააღმდეგი იყო ,,მონადირის“ გაუქმებისა და განიარაღების. ის არ იყო იმ ოპერაციის ჩატარების მომხრე, ასე ჩანდა, რომ არ იყო, თუმცა, როგორც აფხაზეთის მთავრობის თავჯდომარეს, მას არაფერი გაუკეთებია იმისთვის, რომ ხელი შეეშალა. მან უბრალოდ, გამოხატა თავისი პოზიცია და მეტი არაფერი. არადა მას უნდა განეჭვრიტა, როგორც პოლიტიკოს, ადამიანს, რომელიც იკავებდა პოსტს აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარე, რა შედეგები შეიძლება მოეტანა ამ ოპერაციას თავად კოდორის ხეობისთვის. იმ კოდორის ხეობისთვის, ანუ აფხაზეთის იმ ნაწილისთვის, რომელსაც ვაკონტროლებდით. მხოლოდ კოდორის ხეობას ვაკონტროლებდით ჩვენ და ეს იყო უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული თვალსაზრისით. ხომ უნდა დაფიქრებულიყო ? გასაგებია, მიშას ხელქვეითი იყო თანამდებობიდან გამომდინარე, მაგრამ რა არის იცით, როცა ქვეყნის ბედი წყდება და კრიტიკული მომენტია შენ რისკზე უნდა წახვიდე და შენი თანამდებობა და თანამდებობრივი ინტერესები გვერდზე გადადო და გააკეთო ის, რაც საჭიროა. თუ საჭირო იყო ის უნდა გამოსულიყო და ეთქვა, რომ ეს დაუშვებელიაო და შეწინააღმდეგებოდა ამას. მან კი თქვა ეს თავიდან, მაგრამ რეალურად არაფერი გაუკეთებია. როცა ელჩი იყო არ გვახსოვს, რომ გაეროში რაიმე განცხადება გაეკეთებინა კოდორის ხეობასთან დაკავშირებით. ანუ ის არ მოვიდა წინააღმდეგობაში ხელისუფლებასთან. არადა, ირაკლი ალასანია უჭკუო ადამიანი არ არის, გონიერია და თავისუფლად შეეძლო განეჭვრიტა, რა შეიძლებოდა მოჰყოლოდა ამ დანაშაულებრივ ავანტურას კოდორის ხეობაში. მე არ მაქვს ინფორმაცია, მტკიცებულება ვინ ეწინააღმდეგება კვიციანის გათავისუფლებას, მაგრამ ფაქტია, რომ დღეს ემზარ კვიციანი ზის ციხეში, რაც არის ჩვენი სირცხვილი. ადამაინი, რომელიც წლების განმავლობაში იცავდა კოდორის ხეობას, შეუნარჩუნა საქართველო, სანამ იქ იყო, პლუს მსხვერპლი იყო იმ საშინელი რეჟიმის ზის ციხეში, ხოლო, ვინც კოდორის ხეობის ავანტურის მთავარი მოთავეები იყვნენ - სააკაშვილი და სხვანი თავს მშვენივრად გრძნობენ. ერთი ვანო მერაბიშვილი ზის ციხეში, თუმცა მას ბრალი არც აქვს წაყენებული კოდორის ხეობასთან დაკავშირებით. საერთოდ, კოდორის ხეობასთან დაკავშირებით საქმის გამოძიება არ წარმოებს, არ არის დაწყებული და დღის წესრიგშიც არ დგას. მთვარი ავტორები ამ ვანტურის იყვნენ სააკაშვილი, მერაბიშვილი და ოქრუაშვილი. გესმით, გამოძიება არ არის დაწყებული კოდორის ხეობის მოვლენებთან დაკავშირებით, გეგონება არაფერი მომხდარიყოს, ვითომც არაფერი, უბრალოდ, რა დღეშიც იყო ემზარ კვიციანი წინა რეჟიმის პირობებში იგივე მდგომარეობაშია დღეს. აი, მხოლოდ ეს არის. მინდა მივმართო პრემიერ-მინისტრს და მთავარ პროკურორს დაფიქრდნენ ამ ვითარებასთან დაკავშირებით. ეს არის ალმაშფოთებელი, თუ ამას იმიტომ აკეთებენ, რომ ნაცების რიდი აქვთ, ვაიმე, ნაცები რას იტყვიან, კვიციანი რომ გავუშვათო, მაშინ კარგად ყოფილა ჩვენი საქმე.

**ქეთი ხომერიკი**
592 53 53 03

## სკანდალური ისტორიები კრიმინალური სამყაროს ლაბირინთებიდან

# როგორ გაძარცვა საქართველო „სუკმა“, შევარდნაძემ და მისმა კლანმა?



დავით გაგნიძე

**„საერთო გაზეთი“ აგრძელებს ინტერვიუების ციკლს პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკ დავით გაგნიძესთან. ჩვენი რესპოდენტი პროფესიით ეკონომისტია და წინამდებარე სტატიაში იმ აქტუალურ საკითხებზე ვისაუბრებთ, თუ როდის დაიწყო საქართველოს გაჩანაგების პროცესი, რა იყო ამის წინაპირობა და რატომ მივედით იმ უმძიმეს მდგომარეობამდე, რომელშიც დღეს ვიმყოფებით. დავით გაგნიძე კომუნისტების მმართველობის პერიოდიდან მუშაობდა სამართალდამცავ სტრუქტურებში, აქედან გამომდინარე, კარგად არის ინფორმირებული რეალურად რა ხდებოდა გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან მოყოლებული ჩვენს ქვეყანაში.**

**დავით გაგნიძე**: „საბჭოთა კავშირის დაშლის პროცესში გარკვეული წვლილი ქართველებსაც გვაქვს შეტანილი, რამაც 1991 წელს სახელმწიფო დამოუკიდებლობის აღიარებამდე მიგვიყვანა.

მაგრამ რა მოხდა შემდეგ, როგორ წარიმართა ეს პროცესები? ჩვენ ხომ პრაქტიკულად, დამოუკიდებლობის ძახილისა და მისთვის ბრძოლის გარდა, წარმოდგენა არ გვქონდა შემდგომში რა უნდა გაგვეკეთებინა ქვეყნის განსავითარებლად. იმის მაგივრად, რომ ეკონომიკის აღორძინებაზე გვეზრუნა, ლამაზი, გულისამაჩუყებელი სიტყვების რახარუხით ერი გავაბრუეთ და გავამათხოვრეთ. ეს იმიტომ დაგვემართა, რომ ჩვენ ძირითადი გამოგვრჩა.

- **რას გულისხმობთ?**

- სანამ ჩვენ თავისუფლების მოსაპოვებლად ვიბრძოდით, კომუნისტური პარტია თავის ერთგულ სუკ-თან (სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი, იგივე „კაგებე“) ერთად დროს უქმად არ კარგავდა და ყველა სამინისტროს, განსაკუთრებით სამართალდამცავ სტრუქტურებს თავისი ერთგული კადრებით აკომპლექტებდა. ამ ყველაფერს საქართველოს სუკ-ის ის თანამშრომლები ახორციელებდნენ, რომლების შემდგომში „წარმატებული“ ბიზნესმენები გახდნენ, უფრო სწორად, საკავშირო სუკ-ის გაუქმების შემდეგ ისინი მსხვილ საწარმოებისა თუ კერძო ფირმების უშიშროების სამსახურებში გადაანაწილეს, ეს კონტიგენტი ხელფასებსაც ამავე საწარმოებში იღებდა, რადგან სახელმწიფო ოფიციალურად ველარ უხდიდა. ობიექტურობა მოითხოვს, რომ ამ მოვლენების შეფასებისას ისიც გავაანალიზოთ, რეალობაში რა ხდებოდა. საბჭოთა კავშირის ფორმალური დაშლისთვის, რუსეთში 80-იანი წლების შუა პერიოდიდან ემზადებოდნენ, რადგან ქვეყანა აშკარად დამუხრუჭდა, დაიწყო რყევები. იმავე პერიოდში თავად რუსეთში ჩამოყალიბდა სამი სერიოზული ძალა, პირველი, ეს იყო კომუნისტური პარტია და მისი ერთგული დამცველი პირმშო სუკი; მეორე, ლიბერალები, რომელთაც აშკარად სურდათ საბჭოთა იმპერიის დაშლა და დაპყრობა (ძირითადად ეს სიონისტური (მასონური) ძალები იყვნენ, რომლებიც სხვადასხვა ლოზუნგით ცდილობდნენ მოსახლეობისთვის თავგზის აბნევას) და მესამე, პატრიოტული ძალები, რომლებმაც იცოდნენ, ყოველ შემთხვევაში, ხვდებოდნენ მაინც რა ხდებოდა, მაგრამ ძალა არ შესწევდათ უცებ „გამოფხიზლებული“ ხალხისთვის წინამძღოლობა გაეწიათ. სახელმწიფოს მთელი სიმდიდრე პირველი ძალის ხელში იყო, მათ სურდათ ადრე თუ გვიან იმპერიის აღორძინება, მაგრამ იდეოლოგიურად გაკოტრებულნი აღმოჩნდნენ. მიუხედავად ამისა, კომუნისტებს ხელი არ ჩაუქნევიათ, მიზნის მისაღწევად გასაიდუმლოებული მოქმედება დაიწყეს, ამ პროექტის ნაწილი იყო პარტიის ქონების შენარჩუნებაც. კომუნისტები ტყუილად არ ამბობდნენ, კადრები წყვეტენ ყველაფერსო, ეს ლოზუნგი შემდეგაც გამოიყენეს და სინამდვილეში საბჭოთა ხალხის კუთვნილი მთელი ქონება თავიანთ ერთგულ პერსონებს, მათ მიერვე „დანიშნულ“ მილიონერებსა და მილიარდერებს ჩაუგდეს ხელში, მეთვალყურეებად კი სუკ-ის გამობრძმედილი კადრები დაუნიშნეს. იგივე მოხდა საქართველოშიც, რომელსაც კრემლი ვერაფრით შეელეოდა.

საქართველოს ხელისუფლებაში საკვანძო თანამდებობებზე დანიშნული, ასევე ეკონომიკური ბერკეტების მქონე ნაძირალების მოვალეობას წარმოადგენდა შემდეგი: საქართველოში მიმდინარე მოვლენების შესახებ ინფორმაციების მოპოვება და ცენტრში, ანუ მოსკოვში გადაგზავნა; ქვეყანაში მოქმედი საწარმოების დანგრევა-გაპარტახებისთვის ხელის შეწყობა; კრიმინოგენური სიტუაციის ხელოვნური დაძაბვა; ეროვნული ხელისუფლების წევრთა მიმართ ჭორების გავრცელება, რათა ხელისუფლებასა და მოსახლეობას შორის ბზარი გაეჩინათ; სამხედრო გადატრიალებისთვის ნიადაგის მომზადება. სანამ ჩვენ დამოუკიდებლობის საქმის წარმატებულად გადაწყვეტით ვიყავით დაკავებული, რუსეთის „წითელ ფრთას“ ფაქტობრივად, ყველაფერი გადაწყვეტილი ჰქონდა და შესაფერის დროს ელოდა. ჩვენ სულ ტყუილად გვეგონა, რომ კომუნისტები არჩევნებით დათმობდნენ საქართველოს, მათ მხოლოდ ფორმალურად დათმეს ხელისუფლება. ჩვენ დამოუკიდებლობისთვის ბრძოლას მაშინ უხილავ მოწინააღმდეგესთან, კომუნისტურ პარტიასა და სუკ-თან ვაწარმოებდით, თუმცა მოგვიანებით გაირკვა, რომ ეს ტანდემი ალიანსში იყო აშშ-თან. მათი საბოლოო მიზანი იყო, თვითონ საქართველოს მოსახლეობა მიმხვდარიყო რუსეთის შემადგენლობაში ყოფნის აუცილებლობას და თავისი ნებით გადაედგა ეს ნაბიჯი, თანაც სამუდამოდ. რას აკეთებდა ამ დროს ევროპა? არაფერს, ჩვენთვის არავის ეცალა, რადგან თვითონ ევროპას იპყრობდნენ და დაიპყრეს კიდეც საბოლოოდ მასონებმა და გლობალისტებმა, ლიბერალთა იდეოლოგები სწორედ ისინი არიან. ყველაფერი ისე მოხდა, როგორც ჩვენს ჩრდილოელ მეზობელს სურდა, 1991 წლის სამხედრო გადატრიალება დაიწყო, საქართველოს მოსახლეობის უმეტესობა შორიდან უყურებდა ამ სისხლიან მოვლენებს, გვეგონა ეს დამანგრეველი პროცესები ჩვენ არ შეგვეხებოდა. ტყუილად კი არ თქვა კონსტანტინე გამსახურდიამ, როდესაც ერს ამდენი მოღალატე ჰყავს, ალექსანდრე მაკედონელიც ვერ გაამარჯვებინებსო. სწორედ ამ პერიოდიდან იწყება საქართველოს ნგრევა-გაჩანაგება, საქართველოს აღარ ჰყავდა მოსახლეობაზე ორიენტირებული ხელისუფლება, სამაგიეროდ ედუარდ შევარდნაძე შებრძანდა წარმატებით მთავრობაში და ახალი ინტრიგების ხლართვა დაიწყო, მოგეხსენებათ, ის ამის დიდოსტატი იყო. ყველაფერ ამას მოსახლეობის უკიდურესი გაჭირვება, ქვეყნის გაღარიბება უნდა გამოეწვია. აქვე ერთ მნიშვნელოვან გარემოებას მინდა ხაზი გავუსვა, ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებას საქართველოს მოსახლეობისთვის არავითარი ვალი და ვალდებულება არ დაუტოვებია,



მას არ მოუხდენია ქვეყნის ეკონომიკის გაპარტახება, ამ კუთხით არცერთი ღონისძიება არ განხორციელებულა, ვერც განხორციელდებოდა, რადგან პირველ პრეზიდენტს მხოლოდ პოლიტიკური „ძალაუფლება“ გადაულოცეს, ეკონომიკურს ისევ კრემლი ფლობდა, ოღონდ რა თქმა უნდა, ფარულად. ეკონომიკის კუთხით გამსახურდიამ ერთი მცდარი ნაბიჯი მაინც გადადგა, როდესაც რუსეთს ეკონომიკური ბოიკოტი გამოუცხადა.

- **ბატონო დავით, შევარდნაძის რა ინტრიგებზე საუბრობთ, რა მოვლენებს უნდა გამოეწვია ქვეყნის და შესაბამისად მოსახლეობის გაღატაკება?**

- დამოუკიდებელ ქვეყანას უპირველეს ყოვლისა, თავისი ფულადი მაჩვენებელი უნდა ჰქონდეს, რა დაემართა ლარის წინამორბედ ეროვნულ კუპონს, ყველას კარგად ახსოვს. სწორედ შევარდნაძის მმართველობის საწყის ეტაპზე დაიწყო ფარული პრივატიზაციის პროცესი, რომელიც ნაციონალების მმართველობისას „წარმატებით“ გაგრძელდა და ვფიქრობ, დღესაც მიმდინარეობს. მართალია ხალხს მოგვიანებით ე.წ. ვაუჩერები დაურიგეს, რომელიც ისეთი ფარსი იყო, რომ დღემდე მწარედ ვიცინით. ხალხს ანაბრები მოპარეს, რაც სწორედ საქართველოს სამანეთო ზონაში ყოფნამ გამოიწვია, შეიქმნა მრავალი კერძო ბანკი, რომლებსაც პირამიდები გაათამაშებინეს და ესეც მოსახლეობის ხარჯზე მოხდა. მიზანმიმართულად დაიწყეს უზომოდ დიდი კრედიტების გაცემა, რათა ეროვნული კუპონის ჰიპერინფლაცია მოეხდინათ. ხელოვნურად შექმნეს აუტანელი მდგომარეობა, რითაც მოსახლეობის გარკვეული მოაზროვნე ნაწილი აიძულეს საქართველო დაეტოვებინა და უცხოეთში გადახვეწილიყო. აქვე შეგვიძლია ერთი პარალელი გავავლოთ, სწორედ მეფის რუსეთი ახდენდა ქართველი მოსახლეობის ხელოვნურ გაღარიბება მე-19 საუკუნეში. დაუმორჩილებელ ერებს რუსეთი და არამარტო რუსეთი, ასე სჯიდნენ. როგორც უკვე გითხარით, რუსეთის სპეცსამსახურები საბჭოთა კავშირის დემონტაჟისთვის მზად იყვნენ, იმ დროისთვის მათ უკვე გააჩნდათ სამოქმედო გეგმა, რომელიც მთელ პოსტსაბჭოთა სივრცეს მოიცავდა. ამ გეგმის დასაწყისი იყო ყველა ჯურის დამნაშავის ციხიდან გამოშვება, ამას პრივატიზაციამდე ფასების გათავისუფლება მოყვა, რამაც მანეთის ჰიპერინფლაცია გამოიწვია, ამ პროცესს მოყვა ეკონომიკური ქაოსი. ერთი სიტყვით, ქვეყანა აირია და ბუნებრივია, ამღვრეულ წყალში ყველაზე უკეთ სუკ-ი დაიჭერდა თევზს, რადგან იმ უზარმაზარი ქვეყნის მთელს ტერიტორიაზე ერთად ერთი კარგად შეკრული, შედუღაბებული ორგანიზაცია იყო, მას ემორჩილებოდა ყველა და ყველაფერი, თუ ვინმე შეეწინააღმდეგებოდა, ის იმ დროს მოთარეშე კრიმინალების „შემთხვევითი“ ან „შეკვეთილი“ მსხვერპლი გახდებოდა.

ჰიპერინფლაციურმა პროცესებმა მოსახლეობის დანაზოგი ნაცარტუტად აქცია, თუმცა ამ ფონზე გამოჩნდნენ ახალი სახეები, რომლებიც უცებ საგრძნობლად გამდიდრდნენ. სწორედ ეს არის შევარდნაძის პირველი და ერთ-ერთი ყველაზე უმძიმესი დანაშაული. ეროვნული ფულის ერთეული წელან ტყუილად არ მიხსენებია, ქვეყანას და ბუნებრივია, მის ხელისუფალს თუ დამოუკიდებლობა გინდა, სასწრაფოდ უნდა შემოიღო საკუთარი ვალუტა, ყოფილი იმპერიის მემკვიდრის რუბლზე კი არ უნდა აწარმოო შენი ქვეყნის ეკონომიკა. შევარდნაძემ კი სამხედრო გადატრიალების შემდეგ, რომ იტყვიან, თოფის ლულები გაციებული არც იყო, რომ ქვეყანაში პრივატიზაციის პროცესი წამოიწყო. შევარდნაძის რამდენიმე წლის განმავლობაში „მოშიმშილე“ პარტიულმა ელიტამ თავის

23 gv.

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი




# გურამ პეტრიაშვილი

თვეში ერთხელ, გამჭვირვალე, მზიან დილით პატარა ქალაქს საყვირის ხმები მოეფინებოდა.

და მაშინვე აფუსფუსდებოდნენ მშობლები, ვისმა შვილებმაც ახლახან აიდგეს ფეხი.

საგულდაგულოდ დაბანდნენ ბავშვებს და გამოაწყობდნენ ფერად-ფერად ტანსაცმელში. თმას ლამაზად დავარცხნიდნენ, ოღონდ ჩაჩს აღარ დაახურავდნენ, აღარ დაგჭირდებათო.

კოხტა სახლებით გარშემორტყმულ პაწია მოედანზე მივიდოდნენ ვიწრო ქუჩებით...

მშობლები ტროტუარზე დარჩებოდნენ, ბავშვებს კი მოედნის შუაგულში აყვავებულ ყვავილებს დაანახვებდნენ.

გაბაჯბაჯდებოდნენ ბავშვები ყვავილებისაკენ.

გაიღებოდა ყველა სახლის ფანჯრები...

დასცქეროდნენ მცხოვრებნი მზის სხივებში აბრდღვიალებულ ფერად ყვავილებს და ყვავილების ირგვლივ გარინდულ ფერდად გამოწყობილ ბავშვებს.

მხოლოდ ერთი მაღალი სახლის სხვენში დატანებულ სარკმელზე არ იღებოდა დარაბები.

მშობლები ახლა სწორედ იმ სარკმელს შესცქეროდნენ. სარკმლის მაღლა, სახურავზე პაწია ალამი იყო აღმართული. ალამზე ჩიტი ეხატა.

იცოდნენ მშობლებმა, რომ ახლა დარაბებს იქით კაცი იდგა, ჭუჭრუტანიდან დასცქეროდა ბავშვებს და კეთილად იღიმებოდა...

იდგნენ ბავშვები ყვავილების წინ.

მზე ეკიდა ცაზე.

... და უცებ გაიღებოდა სარკმლის დარაბები და გამოფრინდებოდნენ იქიდან ფერადი ქუდები. იფრენდნენ ქუდები, იფრენდნენ, წრეს შემოუვლიდნენ ჰაერში, გაიფრენდნენ ფანჯრებში გადმომდგარი მაცხოვრებლების წინ და ნარნარად ეხურებოდნენ თავზე ბავშვებს...

ხტოდნენ გახარებული ბავშვები.

მოიხდიდნენ ქუდს, დახედავდნენ და ისევ დაიხურავდნენ.

ხტოდნენ და იძახდნენ, რა კარგია, რა კარგიაო.

სხვისი ქუდი არ ეხარბებოდათ.

ყველას ისეთი ქუდი ერგებოდა ხოლმე, როგორიც აუცილებლად მოეწონებოდა და მოუხდებოდა კიდეც.

არც მშობლებს მოსვლიათ ოდესმე აზრი, სხვის ბავშვს უკეთესი ქუდი ერგოო.

იცოდა თავისი საქმე კეთილმა კაცმა.

ბოლოს გამოჰყოფდა თავს სარკმელში მექუდე.

ბავშვები გაჩერდებოდნენ და სულგანაბული შეაცქერდებოდნენ.

ერთხელაც დაუკრავდა მექუდე საყვირს.

მერე თავთან მიიტანდა ხელს. სურდა ქუდი მოეხადა დამშვიდობების ნიშნად, მაგრამ ნახავდა, რომ ქუდი არ ეხურა თურმე.

— ოჰ, უკაცრავადო, იტყოდა, შეიმალებოდა და კვლავ გამოჩნდებოდა სარკმელში ქუდით ხელში.

ისროდა ქუდს ჰაერში.

იფრენდა ქუდი, იფრენდა და დაბრუნდებოდა, დაეხურებოდა მექუდეს.

მოუხდიდა ქუდს კაცი ბავშვებს.

ისინიც მოიხდიდნენ.

და უქნევდნენ ერთმანეთს ქუდებს, აქეთ — მექუდე, იქით — ბავშვები.

მერე წაიყვანდნენ მშობლები ბავშვებს.

დაჰკიდებდა მექუდე თავის ქუდს ლურსმანზე და განაგრძობდა მუშაობას.

მზე ანათებდა კვლავ...

# მ ე ქ უ დ ე

ნიავი არხევდა ჩიტიან ალამს...

... და მას შემდეგ ბავშვები ატარებდნენ იმ ქუდებს. ისე უყვარდათ, რომ რამით ლოგინშიც არ უნდოდათ ქუდის მოხდა. უფრთხილდებოდნენ, წმენდნენ სათუთად.



გაივლიდა რამდენიმე წელი, დაძველდებოდა ქუდები, მაგრამ მაინც ატარებდნენ ბავშვები, ვიდრე მთლად არ დაუპატარავდებოდათ.

შემდეგ სხვა მექუდეების შეკერილ ქუდებს იხურავდნენ.

ის მექუდე მხოლოდ პირველ ქუდებს იხურავდნენ.

ის მექუდე მხოლოდ პირველ ქუდებს კერავდა პატარებისთვის.

დიდი ხნის შემდეგ, უკვე დიდები რომ იყვნენ და თვითონ ჰყავდათ შვილები, მოქალაქენი ხშირად გადმოიღებდნენ ხოლმე კარადაში საგულდაგულოდ შენახულ თავის პირველ ქუდს და ვითომც შვილების გასართობად, დაიდებდნენ თავზე, სინამდვილეში კი მოენატრებოდათ ხოლმე იმ ქუდის დახურვა.

სხვა მექუდეებს დიდად არ ეპიტნავებოდათ, მოქალაქეებს აგრერიგად რომ უყვარდათ იმ მექუდის შეკერილი ქუდები.

იმაზე ხომ სულ გიჟდებოდნენ, ხალხი დიდ მექუდეს რატომ ეძახისო.

ვითომ ჩვენზე უკეთესი რით არისო, ბუზღუნებდნენ გულმოსულები.

თუ ქუდს რომ ისვრის კარგად, ის მოსწონთ, მაგას ჩვენც კი ვისწავლითო. დაიწყეს ვარჯიში და ზოგი ისე დაოსტატდა ქუდის სროლაში, რომ მექუდეობას თავი დაანება და ცირკში დაიწყო მუშაობა. დანარჩენები მიხვდნენ, ძალიან გადავყევით ქუდის სროლას და ხელობა გვავიწყდებაო, და მიანებეს თავი.

მერე იფიქრეს, ალამზე ჩიტი რომ ახატია, ხალხს ის მოსწონსო, და სულ ფასკუნჯებით და ფარშავანგებით აჭრელებული ალმები დაკიდეს თავიანთი სახელოსნოების აბრებზე.

არც ამან უშველათ. ბავშვების პირველ ქუდს მაინც არავინ აკერვინებდათ.

ეზოში ყვავილებიც გააშენეს და ერთმა ისიც მოახერხა, რომ მურაბების მაღაზია გაახსნევინა თავისი სახელოსნოს წინ, მაგრამ ყოველივე ამაო იყო...

მოქალაქეებს დიდ მექუდესთან იმიტომ მიჰყავდათ ბავშვები, რომ ყველა, ვინც მისი ქუდით იწყებდა სიარულს ამ ქვეყანაზე, კეთილი ადამიანი იზრდებოდა.

მშობლების მთავარი სურვილი ხომ ესაა სწორედ, შვილი კარგი გამოვიდეს.

— მაშ, მაგისი შეკერილი ქუდები კარგია? — თქვეს მექუდეებმა, — ვნახოთ ერთი მაინცდამაინც რა მოიგო, ვინც ეგ ქუდები ატარაო.

დასხდნენ და მოიგონეს ერთი კაცი, მეორე, მესამე, მეოთხე... მეასე და უცებ სიხარულით წამოიძახეს: — ეგენი ხომ ყველანი დოყლაპიები არიან, ყველა მაგათ ატყუებთო.

რაც მარტალია, მართალია, ყველა, ვინც იმ მექუდის შეკერილ ქუდს ატარებდა, ადვილად მოსატყუებელი იყო ნამდვილად.

რატომ ხდებოდა ასე?

ჯერ მექუდის საიდუმლოს გაგანდობთ.

საღამოობით, ფრთხილად, რომ არავის დაენახა, მექუდის სხვენზე ჩიტები შემოფრინდებოდნენ ხოლმე.

მექუდე ახალშეკერილ ქუდებს ბუდეებივით დააწყობდა მაგიდაზე და ჩიტები სათითაოდ ჩაფრინდებოდნენ ქუდებში.

ჩააქრობდა მექუდე შუქს და დაიძინებდნენ ჩიტები.

დილით უთენია გაფრინდებოდნენ.

ქუდში კი მათი სიზმრები რჩებოდა.

და ის სიზმრები თან დაჰყვებოდა ბავშვებს მთელი დღე.

როგორც იცით, ჩიტები ცას ხედავდნენ სიზმრადაც.

და ამიტომაც, შემდეგ იმ ქუდის პატრონს, რაზედაც უნდა დაეწყო ფიქრი, ყველაფერს ცას უკავშირებდა და მას თვალში ყველაფერს ცის ნათელი ფერის ანარეკლი დაჰკრავდა.

ხეს შეხედავდა, ცისკენ მიიწევსო.

თოვლის ფიფქები ციდან მოფრინავენო.

ბეჰემოთი რომ ბეჰემოთია, იმაზეც იმას ფიქრობდა, თვალები იმიტომა აქვს გადმოკარკლული, ცას მისჩერებია თავის გუბეში ჩაძირულიო.

და თუ ცა გახსოვს მუდამ, არ შეიძლება, კარგი კაცი არ იყო.

მაგრამ ცისფრად რომ ხედავს ყველაფერს, ის კაცი ადვილად ტყუვდება.

ეს ასეა და ამას ვერაფერი შეცვლის...

ნოქრის მიერ დაბრუნებულ ხურდას ასეთი კაცი არ ითვლის, თუ ვინმემ უთხრა „მიყვარხარო“, იმისგან ცუდს აღარ ელის და თუ მდინარეში ვინმე ყვირის — „მიშველეთო“, მაშინვე გაიძრობს შარვალს და გადაეშვება წყალში. გამოიყვანს კაცს წყლიდან, ხელოვნურ სუნთქვას ჩაუტარებს და ვერ შეამჩნევს, რომ კაცს ცბიერად ეღიმება. წავა ის კაცი, მშველელი კი ვეღარსად იპოვის თავის შარვალს. მაგრამ აზრადაც არ მოუვა, რომ მოატყუეს. იმას უფრო გაიფიქრებს, შარვალი არ მცმიაო.

ათჯერაც რომ დაკარგოს ასე შარვალი, მეთერთმეტედ მაინც გადახტება წყალში, თუკი ვინმე ყვირის „მიშველეთო“.

ესაა მისი ნაკლი, თუკი ამას შეიძლება ნაკლი ეწოდოს: მიმნდობია, ცადმაცქერალი და ცისფიქრიანი კაცი.

და ამას ზოგი დოყლაპიობას ეძახის.

მექუდეებმაც ეს სიტყვა აირჩიეს.

დიდი მექუდე დოყლაპიებს ამრავლებსო, სულ ამას ჩასჩიჩინებდნენ ყველას.

და ბავშვების მშობლებმა ყოყმანი დაიწყეს.

კი სურდათ, კეთილი შვილები ჰყოლოდათ, მაგრამ არ უნდოდათ, ისინი ვინმეს მოეტყუებინა.

მშობლების ყოყმანი რომ შეამჩნიეს, მექუდეებმა ერთი სიტყვა გამოჩხრიკეს:

დოყლაპიობით შვილები დაგეჩაგრებათო!

**გურამ პეტრიაშვილის წიგნი „პატარა ქალაქის ზღაპრები“ (გამომცემლობა „პალიტრა L“), ნინო ჩაკვეტაძის ილუსტრაციებით, იყიდება წიგნების მაღაზიათა ქსელში „ბიბლუსი“.**

# გრიპისა და გაციების მკურნალობა ფიტოთერაპიული მეთოდით

***ოქტომბრის დადგომისთანავე ქვეყანაში მოიმატა გაციებისა და გრიპის სიმპტომებმა. მედიკოსების აზრით, ვირუსების განვითარებისთვის ჯერ ადრეა, მაგრამ ცხადია, რომ არასტაბილურმა ამინდებმაც შეუწყო ხელი ამ სიმპტომების გაჩენას.***

***დღეს ანტიბიოტიკები ექიმის დანიშნულების გარეშე მიუწვდომელია, თანაც არც თუ სახარბიელო პრეპარატია ასეთი დაავადებების დროს, რადგანაც მას თავისი უკუჩვენებები აქვს.***

***როგორ გავუმკლავდეთ შემოდგომას, გაციებასა და ვირუსებს, ამ საკითხთან დაკავშირებით ვესაუბრებით ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორს, ფიტოთერაპევტ პროფესორ ოთარ წიწილაშვილს.***

**— ბატონო ოთარ, რას გვეტყვით გაციების სიმპტომებსა და მის სირთულეებზე. მით უმეტეს იმ დროს, როდესაც ამ დაავადებებისას ხშირად თავს იჩენს ფარული თუ ქრონიკულად მიმდინარე დაავადებები?**

— გაციების სიმპტომები მეტ-ნაკლებად ცნობილია, ეს არის სურდო, ცემინება, თავის ტკივილი, საერთო სისუსტე, სიცხე. ზრდასრული ადამიანი წელიწადში ერთხელ მაინც ცივდება, ბავშვები უფრო მეტჯერ. არ დაიჯეროთ, რომ გაციებას იწვევს ცუდი ამინდი ან სიცივე, კვლევებით დადგინდა, რომ ქარი და წვიმა მხოლოდ უმნიშვნელოდ ახდენს გავლენას დაავადებათა ჩამოყალიბებაზე. ისმის კითხვა, მაშ რა არის გრიპის გამომწვევი ძირითადი მიზეზი? ეს გახლავთ უპირველეს ყოვლისა ფსიქოემოციური სტრესი, ცუდი კვება, გადაღლა და ფონური ქრონიკული დაავადებები მათ შორის — ჰაიმორიტი, ალერგია, ფრონტიტი, ქრონიკული ტონზილიტი და სხვ. ეს ყველაფერი აქვეითებს ორგანიზნის იმუნიტეტს და ზრდის ინფექციის ორგანიზმში შეღწევის ალბათობას, რის შედეგადაც აქტიურდება ორგანიზმში მუდმივად მობინადრე მავნე ვირუსები.

გრიპით დაავადება წელიწადის ნებისმიერ სეზონზე შეიძლება, ცივ ზამთარშიც და ცხელ ზაფხულშიც, მაგრამ ყველაზე აქტიურ პერიოდად ითვლება შემოდგომა და ზამთარი. შემოდგომაზე დაავადების გააქტიურებას რამხენიმე მიზეზი აქვს. რადგანაც იწყება ახალი სასწავლო წელი და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში იზრდება ხალხის რაოდენობა, რაც თავისთავად ზრდის ინფექციის გავრცელების ხარისხს. იცვლება ჰაერის ტემპერატურაც, სითბო იკლებს და ცივი და მშრალი ჰაერი აშრობს ცხვირის, პირისა და თვალების ლორწოვან გარსებს, იზრდება მასში ვირუსების შეღწევის ინტენსივობა. ასე რომ, გაციების წყარო დაავადებული ადამიანის, მასთან სიახლოვე, ლაპარაკის გარდა მას შეუძლია ვირუსი გადასდოს სხვას საერთო მოხმარების საგნების მეშვეობითაც. ამიტომ აუცილებელია ასეთი ადამიანის დროული იზოლაცია და მისი ჰიგიენის დაცვა. დაუშვებელია მისი პირადი ნივთების მოხმარება, შეხებაც კი.

გრიპი გადამდებია დაავადებიდან მეორე-მეოთხე დღემდე, დაავადებულს უჭირს ცხვირით სუნთქვა, აქვს გამონადენი, სტკივა ყელი, ეწყება ცრემლდენა და თვალების წვა. ასევე გრიპის ნიშანია ტემპერატურის მომატება. თუ ვირუსი ძლიერია, იმუნური სისტემა ძალიან აქტიურდება და მობილიზდება ვირუსების გასანადგურებლად. აი, ამ შემთხვევაში იმატებს ტემპერატურა. ეს არის ორგანიზმის თავდაცვის ბუნებრივი რეაქცია და მას ხელი არ უნდა შევუშალოთ. წამლები დასაშვებია მხოლოდ მაღალი ტემპერატურის დროს.



გაციების ზოგადი ნიშნებია თავის ტკივილი, სისუსტე, უმადობა, ოფლიანობა, ზოგჯერ ღებინება, კუნთებისა და სახსრების ტკივილი. გაციება 2-დან 14 დღემდე შეიძლება გაგრძელდეს, თუ სიმპტომები 2 კვირაზე მეტხანს გაგრძელდება, სავარაუდოა სხვა ბაქტერიული ინფექციის ზედდება, ანუ დამატება.

გრიპი შეიძლება გახდეს სიცოცხლისთვის საშიშიც, განსაკუთრებით ეს ეხება ჩვილ ბავშვებსა და მოხუცებს, ასევე მათ, ვისაც იმუნიტეტი აქვს დაქვეითებული. მისი გართულებებია: პნევმონია, კრუპი, ოტიტი — ყურის ანთება, სიცხის ფონზე კრუნჩხვები.

**— როგორ შეიძლება გართულების თავიდან აცილება?**

— ამ დროს საჭიროა ძილი დღე-ღამეში 10 საათი მაინც, ჭამა მცირედი თანაც აუცილებელი საკვები, ძირითადად ცილოვანი და ნახშირწყლოვანი პროდუქტი, მაგ.: რძის ნაწარმი, ბულიონი, ხილი, ბოსტნეული. მადის დაკარგვა ამ დროს ორგანიზმის ბუნებრივი რეაქციაა, მიიღეთ თბილი სითხე, რათა შეივსოს მაღალი ოფლიანობით გამოწვეული სითხის შევსება. დაუშვებელია გაზიანი და სპირტიანი სასმელები. რთული ფორმის ვირუსებია ა, ბ, ც, ტიპის ვირუსები. ა — ტიპის ვირუსი საშუალო სიმძიმისაა, მაგრამ იწვევს მძიმე დაავადებას და ავადდება როგორც ადამიანი, ისე ცხოველი — მაგ., ფრინველი, ღორი. სწორედ ამ ვირუსით ვრცელდება შემდეგ ეპიდემია. ეს ვირუსი ადვილად ცვლის აიტიგენურ სტრუქტურას და ის სწრაფად ვრცელდება და მოსახლეობის 30-40 პროცენტს აინფიცირებს. ბ — ტიპის ვირუსსაც შესწევს უნარი ანტიგენური სტრუქტურის შეცვლისა, თუმცა, შედარებით ნაკლებად, ეს ვირუსი ეპიდემიას არ იწვევს, ლოკალური აფეთქებებით შემოიფარგლება. თუმცა, ზოგჯერ მოიცავს რამდენიმე ქვეყანას და ეს 4-5 წელიწადში ერთხელ ხდება.

გრიპის გართულებებიდან აღსანიშნავია ფილტვების ანთება, შუაყურის ანთება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაზიანება, მიოკარდიტი, მენინგიტი. ეს ყველაფერი საშიშია ბავშვებისთვის.

გრიპის გადატანის შემდეგ შეიძლება დაგრჩეთ უძილობა, სისუსტე, შრომის უნარის დაქვეითება, სწორედ ამ პერიოდში იჩენს თავს ქრონიკული დაავადებები. მაგალითად, რევმატიზმი, ტუბერკულოზი.

ვინაიდან რეცეპტის გარეშე გარკვეული წამლები მიუწვდომელია, დაავადებისას კი დრო არ იცდის, გთავაზობთ რამდენიმე ფიტოთერაპიულ რეცეპტს, რომელიც უვნებელია და მეცნიერულად დასაბუთებული.



## რეცეპტები ოთარ წიწილაშვილისგან:

### ანგინის დროს

თერმოსში ვყრით სამ სუფრის კოვზ სამყურას დაქუცმაცებულს, დავასხამთ ზედ ნახევარ ლიტრ ადუღებულ წყალს, ვაყოვნებთ 3-4- საათი და მერე ვწურავთ და ვინახავთ გრილ ადგილას.

**გამოყენების წესი:** ნაყენი გამოიყენება, როგორც სავლები პირის ღრუსა და ყელში 3-4—ჯერ დღესი (ამ რეცეპტით შეიძლება ასევე ლარინგიტის, სტომატიტის და პაროდონტოზის მკურნალობაც).

### ყურის ტკივილის დროს

ვიღებთ საშუალო ზომის უმ ჭარხალს, ვხეხავთ წმინდა სახეხზე, ვამატებთ ერთ ჩაის ჭიქა წყალს და 1 სუფრის კოვზ ნატურალურ თაფლს. ნარევს ვადუღებთ 15 წუთის განმავლობაში, შემდეგ ვწურავთ და გამოწურულ სითხეს ვახვევთ მტკივნეულ ყურზე, შემდეგ პოლიეთილენს და მერე თბილ ნაჭერს. ხანგრძლივობა 20 წუთი.

### ჰაიმორიტის რეცეპტი

ვიღებთ გამშრალ და დაფქვილ მრავალძარღვას ფოთლებს, 3 სუფრის კოვზს, ასევე დამუშავებულ 2 სუფრის კოვზ კაკლის ფოთოლს, 2 სუფრის კოვზ ფარსმანდუკს. ვასხამთ ერთ ჭიქა მდუღარე წყალს და ვაყოვნებთ თბილად შეფუთულს 1 საათით. მერე გადავწურავთ შალის ნაჭერში.

გამოყენება. აღნიშნული ნაყენით ხდება ცხვირის ნესტოების გამორეცხვა დღეში 4-5-ჯერ.

### ანგინისა და ქრონიკული ტონზილიტის დროს

ამ დაავადების მკურნალობა შესაძლებელია ყვავტყემალას ნაყოფით. ვიღებთ ამ ნაყოფს და დავფქვავთ (უმჯობესია ელექტროსაფქვავი) ვასხამთ წყალს პროპორციით 1:1. შემდეგ გამოვწურავთ წვენს.

**გამოყენება:** ვივლებთ ყელში 4-5-ჯერ ჭამის შემდეგ.

### ხველების საწინააღმდეგოდ

ვიღებთ 1 სუფრის კოვზ ევკალიპტს, ვფქვავთ და ვასხამთ 1 ჭიქა წყალს. დავახურებთ თავზე და ვადუღებთ 15 წუთის განმავლობაში. შემდეგ ვაყოვნებთ 2 საათით და გადავწურავთ.

**გამოყენება**: ვიღებთ ყლუპ-ყლუპად 2 საათის განმავლობაში.

### ოტიტის მკურნალობა:

მტკივან ყურში დღეში 3-ჯერ ვიწვეთებთ ორ-სამ წვეთ ვარდის ეთერის ზეთს.

### ყელის ტკივილისთვის

ვიღებთ თანაბარი რაოდენობით სალბის, კულმუხოს, ევკალიპტისა და გვირილის ყვავილს და წვრილად დავფქვავთ ან დავაქუცმაცებთ. შემდეგ ვიღებთ 1 სუფრის კოვზ ნარევს და ვასხამთ 1 ჭიქა მდუღარე წყალს და ვდგამთ 1 საათით წყლის აბაზანაში. ვაყოვნებთ 2 საათით ოთახის ტემპერატურაზე. შემდეგ ვიღებთ გაწურულს 2 სუფრის კოვზს, ვასხამთ ჩაის ჭიქაში და ვამატებთ ცოტა მარილს და ვავსებთ ცივი წყლით.

**მიღება:** ვივლებთ ყელში 2-3-საათში ერთხელ.

### ხველების საწინააღმდეგო რეცეპტი
**(თანდართული ყელის ტკივილით)**

ვიღებთ 1 სუფრის კოვზ ტუხტის დაქუცმაქებულ ფესვებს, ვასხამთ 100 გრ ცივ წყალს, ერთი საათის შემდეგ ვამატებთ 150 მილილიტრ მდუღარე წყალს.

ცალკე ვაკეთებთ ნარევს: დიდკბილას ფესვებს, ვირისტერფას ფოთლებს, კამის თესლს და ვურევთ (თანაბარი რაოდენობით). შემდეგ ამ ნარევის 1 ჩაის კოვზს ავიღებთ და ვყრით ტუხტის ფესფებიან ნაყენში, ვადუღებთ 1 საათის განმავლობაში, შემდეგ ვტოვებთ 2 საათით ოთახის ტემპერატურაზე.

ვწურავთ ნაჭერში.

**მიღება:** ჩაის ჭიქის დღეში ოთხჯერ.

**ეთერ კასრელიშვილი**
599 110 200

20 gv.

„წითელ ინტელიგენციასთან“ ერთად, ცდუნებას ვეღარ გაუძლო და ჩრდილოვანი პრივატიზაციის შედეგად „დათრეული“ ობიექტების სასწრაფოდ „გაპრავება“ დაიწყო. მართალია ეს პროცესი, რომელიც მერე „პრიხვატიზაციად“ მოინათლა 1992 წლიდან დაიწო, მაგრამ მანამდე, 1991 წლის 9 აგვისტოს, საქართველოს უზენაესმა საბჭომ მიიღო კანონი, რომლითაც განისაზღვრა ის ობიექტები, რომლებიც პრივატიზაციას არ ექვემდებარებოდნენ. თავიდან ხდებოდა მცირე საწარმოების პრივატიზაცია, ეს პროცესები ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურეობის სფეროში უფრო აქტიურად მიმდინარეობდა, ხსენებული ობიექტები უმეტესად იქ იყო, მაგრამ როგორც უკვე გითხარით, ფარული პრივატიზაცია ყველა დარგის საწარმოსა თუ ობიექტს შეეხო.

საპრივატიზაციო ბარათი („ვაუჩერი“) 1993 წელს საფრანგეთში დაიბეჭდა, თუმცა თავიდანვე იყო ჩადებული მისი გაყალბებისა და ფარსის მოწყობის გეგმა. ეს ყველაფერი ეროვნული ბანკიდან მოდიოდა, უშუალოდ მისი პრეზიდენტის მეთაურობით ხდებოდა, რომელიც ძალიან სწრაფად აღზევდა, ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, იგი სულ მოკლე ხანში საქართველოში ერთ-ერთ შეძლებულ პერსონად იქცა. ოპერატიული ინფორმაციების თანახმად სულ 5,7 მილიონი ცალი „ვაუჩერი“ დაიბეჭდა, სახელმწიფო კურსით თითოეული 30 აშშ დოლარი ღირდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ თითქოს საქართველოს მაშინდელი სახელმწიფო ქონება საახლოებით 171 მილიონ დოლარს შეადგენდა, ეს იმდენად სასაცილო ციფრია, რომ არცერთი ნორმალურად მოაზროვნე არ დაიჯერებს. თითქმის მაშინვე პრესაში გაიელვა ინფორმაციამ, რომ ეს „ვაუჩერები“ მთლიანი ქონების მხოლოდ 30%-ს მოიცავდა, თუ ამ ვერსია დავეყრდნობით, გამოდის მთლიანი ქონება 570 მილიონი დოლარი ყოფილა, რაც ბევრ ეკონომისტს აბსურდად მიაჩნდა. ისინი ვარაუდობდნენ, ან ქონების შეფასება იყო მიზერული, ანდა უბრალოდ რეალური ციფრი დამალეს, რადგან ქვეყანაში უკვე ჩატარებული იყო ფარული პრივატიზაცია, მე პირადად ორივე ვერსია სწორი მგონია. ამ „ვაუჩერების“ გამოშვება და დარიგება კიდევ ერთი ფარსი იყო სახელმწიფოს მხრიდან, მაღალ ეშელონებში მოკალათებულმა „სახელმწიფო მოღვაწეებმა“, კვლავ წარმატებით „დააწერეს“ საქართველოს მოსახლეობას კუთვნილი ქონება. იმ პერიოდში ის ვერსიაც არსებობდა, რომ ვიღაც-ვიღაცეებს სოციალისტური წყობის რეანიმაცია სურდათ.

დაბეჭდილი „ვაუჩერების“ ნახევარი სტანდარტს არ შეესებამებოდა, კერძოდ, 2,85 მილიონ (2.850.000) „ვაუჩერს“ დამცავი მექანიზმი არ გააჩნდა და სალებავიც შედარებით მკრთალად ეტყობოდა. ეს იმდენად თვალში საცემი იყო, რომ ექსპერტიზაც კი არ სჭირდებოდა. როგორც ოპერატიული ინფორმაციიდან ირკვეოდა, ამ ყველაფერში მავანთ ორმილიონნახევარი დოლარი „გააკეთეს“, რაც იმ პერიოდისთვის საკმაოდ დიდი ფული იყო. მოგვიანებით ფულის „კეთება“ მოსახლეობის სიების გაყალბებითაც მოხდა, ცდილობდნენ, რაც შეიძლება მეტი საქართველოს მოქალაქე დაეფიქსირებინათ, არადა მიგრაცია იმ პერიოდში უკვე ძალას იკრებდა და გამორიცხულია საქართველოში 5,7 მილიონ მოქალაქეს ეცხოვრა.

**- სიების „გაბერვა“ რა პრინციპით ხდებოდა?**

- ძირითადად სახელებითა და მისამართებით მანიპულირებდნენ, რადგან ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოში სახელ-გვარები და მისამართები მიდიოდა, მაგალითად, გიორგიზე შეიძლებოდა რამდენიმე „ვაუჩერი“ გაცემულიყო, თუ სახელს სხვადასხვანაირად შეცვლიდნენ, გოგა, გიო, გიგი, გია და ა.შ. იმ პერიოდში არსებული ინფორმაციით, „ვაუჩერი“ მიიღო დაახლოებით 3,4 მილიონმა საქართველოს მოქალაქემ, დაახლოებით 300.000 ცალი გაუცემელი დარჩა, გამოდის დაახლოებით ორი მილიონი ცალი „ვაუჩერი“ მისაკუთრებული იქნა, რაც საბოლოო ჯამში 60 მილიონ დოლარს შეადგენდა. ეს ფული ძირითადად მიისაკუთრა „ვაუჩერების“ გამცემმა კომისიამ, სახლმმართველობებმა, რომლებიც შემდგომ ამ ფულს მთავრობას და ხელისუფლებას უნაწილებდნენ. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ბაზარმა ვერ იგუა „ვაუჩერი“ და მისი ფასი 3-6 აშშ დოლარის ფარგლებში მერყეობდა. იმ პერიოდისთვის ეს მართლაც არნახული სახელმწიფო „აფიორა“ იყო, ვაიხელისუფალნი ისე გათავხედდნენ, რომ დამცავი მექანიზმიც შეიმუშავეს, კანონი მიიღეს, რომ არავის შეემოწმებინა ის უწყებები, რომლებიც „ვაუჩერებს“ არიგებდნენ, ამ ყველაფრის დამაგვირგვინებელი კი ის გარემოება იყო, რომ „ვაუჩერების“ გაცემის პროცესის დამთავრების შემდეგ, საპრივატიზაციო ბარათების გაცემის დოკუმენტაცია უნდა გაენადგურებინათ. მერწმუნეთ, ამ უბადრუკ „ვაუჩერებითაც“ შეიძლებოდა მრავალი სასიკეთო საქმის გაკეთება, მაგრამ შევარდნაძის „კლანმა“ არავის არაფერი დაუთმო ფაქტობრივად, ყველაფერი „სახლში“ წაიღო.

ანაბრების თემა ხომ ძალიან დაფარული და მოჯადოებული წრის შთაბეჭდილებას სტოვებს, მაგრამ მერწმუნეთ, მის გაშიფვრას დიდი დავიდარაბა არ სჭირდება, მხოლოდ უმაღლესი ხელისუფლების მხრიდან კეთილი ნების გამოვლინებაა საჭირო.

**მანანა სუხიშვილი**
599 51 28 24




# ჩვენ, პოლიტპატიმრები, ვთხოვთ გაეროს...



ინტერვიუ პოლიტრეპრესირებულთან, „სახალხო კრების“ წევრთან **დავით ჟღენტთან**

**— ბატონო დავით, ყოფილი პოლიტპატიმრები ბოლო ხანებში ძალიან აქტიურობთ. შეკრებებს მართავთ, რას აპროტესტებთ?**

— „ქართული ოცნების“ მთავარი დაპირება, როცა ხელისუფლებაში მოდიოდა, იყო სამართლიანობის აღდგენა და ის ხალხი, ვინც 1 ოქტომბერს გამოვიდა, ითხოვდა, გასამართლებულიყო ძველი ხელისუფლება იმ დანაშაულებისთვის, რაც 9 წლის განმავლობაში ჩაიდინეს.

ჯერ ერთი, „ნაცმოძრაობა“ უკანონოდ მოვიდა ხელისუგფლებაში და არავითარი ხავერდოვანი გადაბარება არ მომხდარა. მოხდა გადატრიალება, რომელშიც, როგორც **შევარდნაძე**, ასევე მაშინდელი უშიშროების მინისტრი **ხაბურძანია** და მისი მოადგილე, დღეს მინისტრი. ბატონი **ირაკლი ალასანიაც** მონაწილეობდა.

ირაკლი ალასანიას მე „ობიექტივის“ ეთერში ჩავერთე და დავუსვი შეკითხვა: როცა თქვენ უშიშროების მინისტრის მოადგილე იყავით, როგორ მოხდა, რომ პარლამენტში იარაღი შეიტანეს-მეთქი? — მე შევარდნაძის დაცვა მევალებოდაო, — მიპასუხა. ჰოდა, თუ დაცვა გევალებოდათ, იარაღი რატომ იყო პარლამენტში 23 ნოემბერს-მეთქი? ამაზე პასუხი ვერ გამცა.

**— ბატონო დავით, 2 ოქტომბერს აქციაზე იყავით. ბოკერიას და დარჩიაშვილის გარდა, სხვა „ნაცნობები“ ხომ არ აღმოგიჩენიათ?**

— სხვათა შორის, მეგობრის მანქანით გამოვედი „ზონის“ ოფისის უკანა მხრიდან და თვალნათლივ დავინახე 30-40-კაციანი ჯგუფი ერთად შეკრებული, მათ შორის რამდენიმე ელიავას ბაზრობის ბიჭები. როგორც ჩანს, „ნაციონალებმა“ ძველ, ნაცად ხერხს მიმართეს და ხალხს ფული დაურიგეს, რომ მოსულიყვნენ და ბევრი გამოჩენილიყვნენ.

ჩემს აზრს ვაფიქსირებ. ეს იყო ხალხი, სპეციალურად შეკრებილი ე. წ. „მასოვკისთვის“ კრიმინალურ დაჯგუფების „თავისუფალი ზონის“ მხარდასაჭერად.

სამწუხარო ამბავი მოხდა. ჟურნალისტი და პოლიტპატიმარი ზაზა დავითაია 12 ადამიანმა სცემა, მაგრამ ჟურნალისტებისგან და მედიასაშუალებებისგან მასიური პროტესტი არ ისმის, არც არასამთავრობოები იღებენ ხმას, არადა, **ლგბტ თემის წევრს რომ უბატონოდ ხმა გასცე, ერთი ამბავი ატყდება, ყველა საინფორმაციო გამოუშვება ამას გააშუქებს და დაგმობს. პარლამენტიდან რატომ არ ისმის ჟურნალისტების ხმა, სად არიან ელისო ჩაფიძე, ანი მიროტაძე, კოკა ყანდიაშვილი ან ის პროვოკატორი ნადირაშვილი**.

ზემოთ ჩამოთვლილებზე არ ვიტყვი, მაგრამ „თავისუფალ ზონაში“ გაერთიანებული ჟურნალისტები და წინა რეჟიმის მხარდამჭერები სპეცსამსახურების გადაცმული აგენტები მგონია. ესენი არიან აგიტატორები.

მე 10 წელიწადი ვიმუშავე ტელევიზიაში და კარგად ვიცი, რა შედეგი შეიძლება მოიტანოს დეზინფორმაციამ. **როგორ შეიძლება „ნაცმოძრაობის“ პროპაგანდისთვის მუშაობდე დღეს და ჟურნალისტი გერქვას, როცა 9 წელიწადი ფასადურ დემოკრატიაში ფასადური შენობებით სიყალბეში გვაცხოვრებდნენ და ჩიტებივით კლავდნენ ყმაწვილ ბიჭებს**.

**— ადამიანს, მოქალაქეს, ჟურნალისტს სცემეს. ეს ახალგაზრდები კვლავ იმუქრებიან. რა შეიძლება ყოველივე ამას მოჰყვეს?**

— მე არ გახლავართ ქართული სახელმწიფოს მტერი, ამიტომ კიდევ ერთხელ მინდა მოვუწოდი ჩვენს ხელისუფლებას, მიიღოს ზომები! ამ დღეებში ირაკლი ღარიბაშვილმა „ზონა“ შეაფასა, როგორც დესტრუქციული ძალა. დაახლოებით ერთი კვირის თუ 10 დღის წინ შს მინისტრი გამოვიდა და თქვა: მზადდება სახელმწიფო გადატრიალება. მოთავეები არიან „ნაცმოძრაობა“ და მისი მომხრეებიო.

როცა ასეთი განცხადებები კეთდება და რეაგირებას ვერ ვხედავთ. ეს „დესტრუქციული ძალა“ კიდევ უფრო აქტიურდება და აგრესიაზე გადადის. იმაზეც ლაპარაკობენ, რომ უკრაინელი მებრძოლები, რომლებმაც სისხლის ტბები დააყენეს მშობლიურ უკრაინაში, „ნაცები“ მათ ჩამოყვანას გეგმავენ საქართველოში.

ხელისუფლებამ უნდა იმოქმედოს კანონით და კანონიერად. უნდა დააკავოს დესტაბილიზატორები და მათი მოთავეები.

სამწუხარო ის არის, რომ დეზინფორმაციაში ჩართულია არა მხოლოდ „რუსთავი-2“, არამედ, ფაქტობრივად, ყველა ტელევიზია, დაწყებული საზოგადოებრივი მაუწყებლიდან დამთავრებული „აქუბარდიაას სალობიეთი“.

დიდი ეჭვი მაქვს, „ნაციონალებისგან“ იკვებებოდნენ ყველანი და ახლაც თვით კოალიციასთან არიან კავშირში.

ახლა რომ სხდებიან ტელევიზიებში და მასკარადებს აწყობენ. საკამათო ადგილი აქვთ პარლამენტში, ტელევიზიებში საზოგადოების წარმომადგენლები უნდა ვმსჯელობდეთ და ესენი უნდა გვისმენდნენ.

გახსოვთ, ალბათ, 17-დღიანი საპროტესტო აქცია გვქონდა თბილისში, პარლამენტის წინ. ჯერ ვერაფერი შედეგს ვერ მივაღწიეთ. არადა, პოლიტპატიმრებს ძალიან გვიჭირს. ერთი ყოფილი პატიმარი ამ დღეებში კინაღამ სახლიდან გამოაძევეს, რადგან პატიმრობის დროს ადვოკატის და სხვა ხარჯების გასასტუმრებლად ბინის დაგირავება მოუხდა...

ჩვენ შევადგინეთ თხოვნა, რომელიც გაეროს გაეგზავნება.

სამწუხაროდ, ჩვენი უფლებების დასაცავად გაერო გვჭირდება, არადა, რისკით და უდიდესი საფრთხის ქვეშ მყოფებმა ავირჩიეთ ეს ხელისუფლება.

**— რა თხოვნა გაუგზავნეთ გაეროს?**

— **ჩვენ, პოლიტპატიმრები ვთხოვთ გაეროს, გამოძიებული იქნას ის ვანდალიზმი, რაც ჩადენილი ჰქონდათ „ნაციონალებს“ პოლიტპატიმრების მიმართ და ქართველი ხალხის მიმართ, საერთოდ. სად და რატომ იმალება ის 26 000 ფაილი, რომელიც პირდაპირ ამხელს ამ რეჟიმს**.

**— ამდენი პრობლემა დაგროვდა, თქვენ რას ფიქრობთ, მხოლოდ სახელმწიფო არის ყველაფერზე პასუხისმგებელი და არა ხალხი და საზოგადოება?**

— დიახ, პასუხისმგებელი ვართ ჩვენ, მაგრამ საქმე ისაა, რომ, რაც ხდება და რაც შეიძლება მოხდეს, პასუხისმგებლობა მაინც ხელისუფლებას ეკისრება. მას აქვს ძალაუფლება, რომ ეს კრიმინალური დაჯგუფება ალაგმოს.

ყოველ ფეხის ნაბიჯზე არეულობებს ვხედავთ. ამიტომ მივმართავთ ხელისუფლებას, დროზე მიიღოს ზომები, თორემ ეს არის ერთგვარი წინაპირობა სხვა, უფრო მასშტაბური არეულობებისთვის.

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18

# რა ხდება ქალის ტვინში ორგაზმის დროს

ამას არავინ მოელოდა. მეცნიერებმა გამოიკვლიეს ტვინის აქტივობა ორგაზმის პროცესში. აღმოჩნდა, რომ მთავარი ზონა ტვინში არის ორი და თითოეული ზონა აქტიურდება სხვადასხვა სასიამოვნო გამღიზიანებელზე.

საინტერესოა, რომ თვითკმაყოფილება არცთუ ისე უმნიშვნელო სიამოვნება ყოფილა, რომელიც განსაკუთრებულ ტკბობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში ღებულობს. მაგრამ საოცარია, რომ თვითკმაყოფილების ზონა სექსის პროცესში საერთოდ გამოთიშულია. მეცნიერები დარწმუნდენ, რომ უმაღლესი ორგაზმისეული შეგრძნებები მაშინ მიიღწევა, როცა ქალი სექსის პროცესში მამაკაცზე მთლიანად მინდობილად მიიჩნევს თავს.

კვლევის ხელმძღვანელების სიტყვებით, ქალთა უმრავლესობის აზრით, ორგაზმი ეს არის თვითკონტროლის სრული დაკარგვა უმაღლესი სიამოვნების ხარჯზე.

მაგრამ მამაკაცთა ორგაზმი განსხვავებული ყოფილა. მეცნიერები ამტკიცებენ, რომ მამაკაცები ორგაზმის პროცესში საერთოდ არ იყენებენ ტვინს, ისინი გონების გარეშეც აღწევენ ორგანულ სიამოვნებას.



# მეცნიერებმა დაამტკიცეს სად იმყოფება ღმერთი

მისურის უნივერსიტეტის სპეციალისტებმა დაადგინეს ღმერთის ადგილსამყოფელი.

ადგილი, სადაც ღმერთი ცხოვრობს არის ადამიანის ტვინი. არა აქვს მნიშვნელობა რომელი რელიგიური აღმსარებლობის არის ესა თუ ის ადამიანი. ყველა მათგანის ფიზიოლოგიური მდგომარეობა ერთნაირია.



ამერიკელმა ნეიროფსიქოლოგებმა ადამიანის ტრანსცედენტალური მდგომარეობა შეისწავლეს.

სწორედ ეს ითვლება ღმერთთან ურთიერთობის საშუალებად. ლოცვის დროს ადამიანს ისეთი განწყობა ეუფლება, თითქოს ის არის ერთიანის და მთლიანის განუყოფელი ნაწილი. სწორედ ამ ერთიანობის პროცესში მოდის წინასწარმეტყველებები და ხდება სასწაულები.

როგორც მეცნიერები ამტკიცებენ, ამ მდგომარეობის მისაღწევად ერთადერთი საშუალება არსებობს, ეს არის ტვინის მარჯვენა ნახევარსფეროს აქტივობის შემცირება.

სწორედ ამ მეთოდს იყენებდნენ ცნობილი ადეპტები მსოფლიოს სხვადასხვა რელიგიასა და კულტურაში.

საინტერესოა, რომ რელიგიებს შორის განსხვავება ამ კუთხით მხოლოდ რიტუალებშია, რაც არის ტრანსში ყოფნის საშუალება ღვთაებრივ დიდებასთან მისაახლოებლად. ლოცვები, მედიტაცია, ფსიქოტროპული პრეპარატების მიღება, სპეციალური ცეკვები, ყველაფერი ერთისაკენ არის მიმართული.

ნეიროფსიქოლოგები იმასაც აღნიშნავენ, რომ ყველაზე იოლი გზა ღმერთთან კავშირისა არის ტვინის მარჯვენა ნახევარსფეროს მუდმივი ნახევრად უმოქმედობა, რაც შეიძლება ტრავმული ან თანდაყოლილი იყოს.

**მოამზადა ანა ვადაჭკორიამ**

# სახალხო მკურნალი (მცენარეული პანაცეა)



ქალბატონი ირმა სიხარულიძე სამედიცინო დარგის მუშაკია, მაგრამ ავადმყოფებს საუკუნეებით გამოცდილი საგვარეულო წამალ-მალამოთი მკურნალობს. იგი წარმატებით კურნავს: ოსტეოქონდროზს, პოლიართრიტს, მწვავე რადიკულიტს, კისრის, მხრის და მენჯ-ბარძაყის მუხლ-სახსრების ართრიტს; ქვედა კიდურების სისხლძარღვთა შევიწროებას, ე.წ. მარილების დაგროვებას ქუსლისა და ტერფის არეში, დისკოზს, სამწვერა ნერვის ანთებას, შიდა ქალის წნევას.

წამალი მცენარეულია და არანაირი უკუჩვენება არ აქვს.

ნანა თათარაშვილი: მე ერთ-ერთი იმათგანი ვარ ვინც საკუთარ თავზე გამოსცადა ეს წამალი. სახსრების აუტანელ ტკივილს ვგრძნობდი. სახალხო მკურალ ირმა სიხარულიძესთან. მეათე სეანსის შემდეგ ტკივილი მთლიანად გამიქრა, აღმიდგა შრომისუნარიანობა, გამიუმჯობესდა სისხლის მოძრაობა.

ქალბატონ ირმასთან განიკურნა ცნობილი მსახიობი ლეილა აბაშიძე, მსოფლიო ჩემპიონი დიტო შანიძე, დამსახურებული პედაგოგი ნანული მელიქიშვილი, რეჟისორი ლილი ჯიქიძე, მწერალი მერაბ შათირი და სხვა მრავალი.

დიტო შანიძე: ყოფილი მსოფლიო ჩემპიონი ვარ მძლეოსნობაში. ახალგაზრდობაში რამდენიმე სერიოზული ტრავმა მივიღე. ათასგვარი მკურნალობით თავმობეზრებულს განკურნების დიდი იმედი არ მქონდა. ირმა სიხარულიძესთან 20-დღიანი მკურნალობის შემდეგ კი შედეგი აშკარა იყო და მეც ვალიარე ამ წამლის ძალა.

მანანა ჩხიკვიშვილი: ექიმებმა დამისვეს ართროზის ანუ კოქსართროზის საწყისი ფორმის დიაგნოზი. თხუთმეტდღიანი კურსის შემდეგ მე, ფაქტობრივად, განვიკურნე. მთელი ცხოვრება ქალბატონი ირმას მადლიერი ვიქნები.

**მიმართეთ და ენდეთ ირმა სიხარულიძეს. მას შეგიძლიათ დაუკავშირდეთ:
ქ. თბილისი, ფოთის ქ.№2 (მეტრო წერეთელთან)
ტელ: 557 358 900, 34 21 63**

# `saerTo gazeTis~ iuridiuli konsultacia



***„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი***
***მთვარისა კევლიშვილი.***
**ტელ.: 2 79 63 91;
0 790 60 64 69;
5 93 78 64 69**

* * *

**—რა წესით ინიშნება გამასწორებელი სამუშაო, როგორ სასჯელი, და როგორია სამართლებირივი შედეგები?**

— გამასწორებელი სამუშაო ინიშნება ერთი თვიდან ორ წლამდე ვადით და მოხდილი უნდა იქნეს მსჯავრდებულის სამუშაო ადგილზე.

გამასწორებელი სამუშაოს დანიშვნისას მსჯავრდებულის ხელფასიდან სახელმწიფოს შემოსავალში დაიქვითება თანხა განაჩენით დადგენილი ოდენობით არანაკლებ ხუთისა და არა უმეტეს ოცი პროცენტისა.

თუ მსჯავრდებული ჯიუტად თავს აარიდებს გამასწორებელ სამუშაოს, ეს სასჯელი შეიცვლება თავისუფლების შეზღუდვით ან თავისუფლების აღკვეთით. ამასთანავე, დრო, რომლის განმავლობაშიც მსჯავრდებული იხდიდა ამ სასჯელს, ჩაითვლება თავისუფლების შეზღუდვის ან თავისუფლების აღკვეთის ვადაში, შემდეგი გაანგარიშებით: გამასწორებელი სამუშაოს ერთი დღე — თავისუფლების შეზღუდვის ერთი დღე; გამასწორებელი სამუშაოს სამი დღე — თავისუფლების აღკვეთის ერთი დღე.

* * *

**—ჩემი ახლობელი სასამართლო წესით გარდაცვლილად გამოცხადდა. მისი მეუღლე გათხოვდა. რამდენიმე წლის წინ ქმარი დაბრუნდა. რა ბედი ელის ქალის ქორწინებას?**

—თუკი განქორწინების შემდეგ, სასამართლოს მიერ გარდაცვლილად გამოცხადებული ან უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარებული მეუღლე გამოჩნდება,მაშინ გაუქმდება სასამართლოს გადაწყვეტილება გარდაცვლილად გამოცხადების ან უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარების შესახებ. ქორწინება შეიძლება აღდგეს მეუღლეთა ერთობლივი განცხადების შეტანით სამოქალაქო რეესტრის სააგენტოში, ხოლო თუ ისინი სასამართლოს გზით იყვნენ განქორწინებულნი — სასამართლოში. ქორწინების აღდგენა დაუშვებელია, თუკი გარდაცვლილად გამოცხადებული ან უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარებული პირის მეუღლე უკვე დაქორწინებულია სხვა პირზე.

* * *

**—არის თუ არა ვალდებული მემკვიდრე, გაისტუმროს მამკვიდრებლის ვალები?**

დიახ, ვალდებულია.

დაგიკონკრეტებთ:

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1484-მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, მემკვიდრეები ვალდებულნი არიან, მთლიანად დააკმაყოფილონ მამკვიდრებლის კრედიტორთა ინტერესები, მაგრამ მიღებული აქტივის ფარგლებში თითოეულის წილის პროპორციულად.

ამავე კოდექსის მე-2 ნაწილის მიხედვით, თუ მამკვიდრებელი მემკვიდრეებზე გადასული ვალებით სოლიდარულად მოვალე იყო, მაშინ მემკვიდრეები სოლიდარულად აგებენ პასუხს.

ამავე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, მამკვიდრებლის ვალებისათვის პასუხისმგებელნი არიან სავალდებულო წილის მიმღები მემკვიდრეებიც.

* * *

**—ჩემი ქალიშვილი განქორწინებულია მეუღლესთან. მათ ჰყავთ ერთი მცირეწლოვანი შვილი. განქორწინების დროს ჩემს ქალიშვილს არ მოუთხოვია ალიმენტის საკითხის განხილვა. შეგვიძლია თუ არა, ახლა მოვითხოვოთ ალიმენტის გადახდა ბავშვის სასარგებლოდ?**

—შეგიძლიათ. ალიმენტის მოთხოვნა ყოველთვის შეიძლება ბავშვის სრულწლოვანების ასაკის მიღწევამდე.

* * *

-—შემაქვს სასამართლოში სარჩელი ყოფილი მეუღლის წინააღმდეგ ალიმენტის მოთხოვნით. რა რაოდენობის ბაჟი უნდა გადავიხადო?

—როდესაც სარჩელი ალიმენტის გადახდა ეხება, მოსარჩელე სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ ალიმენტის გადახდისაგან თავისუფლდება.

ISSN 2233-3983

ავეჯის გადაზიდვა

593 20 46 87